ლაღი

№126 (12 196)

31 მაისი ხუთშაბათი 2007
გამოდის 1934 წლიდან

ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევრო 2008. 2 ივნისი. ლიტვა-საქართველო. 6 ივნისი. საფრანგეთი-საქართველო

საქართველო ვიდეოში ლიტვას ჩაუჯდა

EURO2008 Austria-Switzerland

ხვალიდან ჩვენი სპეციალური კორესპონდენტის პაატა თოთაძის რეპორტაჟები ლიტვიდან და საფრანგეთიდან

დავით ცაბაძე

ფრანკფურტის სასტუმრო "ჰოლიდეი ინში" დაბინავებული საქართველოს ეროვნული ნაკრები საკვალიფიკაციო ეტაპის მორიგი მატჩებისთვის მზადებას "აინტრახტის" სათადარიგო მოედანზე აგრძელებს. კლაუს ტოპმიოლერმა 22-კაციან შემადგენლობას გუშინაც ერთჯერადი წვრთნა ჩაუტარა, თუმცა ერთი განსხვავება კი იყო: თუ სამშაბათს ჩვენებს წვიმის თანხლებით მოუწიათ ვარჯიში, გუშინ გერმანიაში გამოიდარა და პირობებიც უკეთესი გახლდათ. სანვრთნელმა პროცესმა საათზე მეტხანს გასტანა. ვარჯიშის ბოლოს, მწვრთნელებმა გუნდი შუაზე გაყვეს და ორკარაც გაჩაღდა. მერე ნაკრები სასტუმროში დაბრუნდა, მოისვენა, ივახშმა და თეორიულ მეცადინეობას შეუდგა. ამ ყველაფერთან ერთად, დიდი დრო ეთმობა ლიტვის ნაკრების შესწავლასაც. ჩვენს შტაბს მეტოქის ბოლო 3 ოფიციალური მატჩისა და მალისთან ამხანაგური შეხვედრის ვიდეოჩანაწერები აქვს. დღეს ჩვენი ნაკრები ფრანკფურტში კვლავ ერთ ვარჯიშს ჩაატარებს. ხვალ დილით კი, ჩარტერული რეისით პირდაპირ კაუნასში ჩაფრინდება და მატჩისწინა ბოლო ვარჯიშს იქ გამართავს.

ფეხბურთში მდიდარი ყოველთვის ვერ იმარჯვებს

ახალგაზრდული ნაკრები ესპანეთისთვის ემზადება. ინტერვიუ **პეტარ სეგრტთან**

2



ოლიანსა და სეთურიძეს კარლ ცაისი იწვევს

შოთა ჭეიშვილმა ოლიმპის გაწვრთნა იუარა

3

www.kazbegi.com

გაზეთი...
ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

პეტარ სეგრტი

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

21-წლამდელთა ნაკრები. ინტერვიუ პეტარ სეგრტთან

ფეხბურთში მდიდარი ყოველთვის ვერ იმარჯვებს

დისციპლინა, ნიჭი, აგრესიულობა და ბალანსი. რაზე ისაუბრეს საესმა და სეგრტმა

ხუთიოდე დღეც და საქართველოს 21-წლამდელთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატის ახალ შესარჩევ ციკლში ჩაერთვება. უკვე რამდენიმე თვეა, რაც ახალგაზრდულს პეტარ სეგრტი წვრთნის, მაგრამ მისი საფეხბურთო ხედვის შესახებ ჯერ ბევრი არაფერია ცნობილი. როგორია სეგრტის ხელწერა, როგორი ფეხბურთის მიმდევარია, რა აზრისაა მეტოქეზე, რაზე ესაუბრა ესპანელ ვიზავი ინიაკი საესს... ეს ინტერვიუ სწორედ ამ და სხვა საინტერესო თემებს მოიცავს...

- მზადებაჩვეულებრივ, კარგი ტემპით მიდის. თითქმის ყველა გამორჩეული ფეხბურთელი გამოვიძახეთ შეკრებაზე, სხვათა შორის, ასაკით უმცროსებიც, რადგან 21-წლამდელთა თაობაში ერთგვარ პრობლემასთან გვაქვს საქმე.

- პრობლემაში რას გულისხმობთ?

- ამ ასაკში ცოტაა გამორჩეული. სხვათა შორის, იგივე მითხრეს სანაკრებო შტაბის წევრებმაც. როგორც გავიგე, ამ თაობას ჭაბუკობის წლებში მძიმე პერიოდი ჰქონდა. მითხრეს, რომ იმხანად საქართველოში დიდი არეულობა, შეიარაღებული დაპირისპირებაც ყოფილა. ფეხბურთისთვის კი, ცხადია, არავის ეცალა. სწორედ ამ თაობის დიდ ნაწილს თავის კლუბში სტაბილურად არ უწევს თამაში. მინდა, ეს ბიჭები დარჩენილ პერიოდში, შეძლებისდაგვარად, კარგად მოვამზადო და ვარჯიშებიც ნაადრევად ამიტომ დავიწყეთ. გარდა ამისა, მათ ძირფესვიან სამედიცინო შემოწმებებსაც ვუტარებთ.

- საინტერესოა, ფეხბურთელები როგორ გამოიყურებიან მომქანცველი სეზონის შემდეგ?

- სხვადასხვაგვარად. ზოგი ახლაც ტონუსში და კარგ კონდიციაშია, ზოგიც ცუდად გამოიყურება. მართალი გითხრათ, ამას არ ველოდი. შესაბამისად, დიდი მუშაობა მოგვიწევს საიმისოდ, რომ მომზადების სხვადასხვა დონეზე მყოფი ამ ფეხბურთელებისგან ოპტიმალური კონტინგენტი გამოვწუროთ.

- დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთის ისტორიაში, სანაკრებო დონეზე, საქართველო ესპანეთს პირველად ხვდება. ეს მომენტი, ალბათ, ორივე გუნდისთვის გარკვეული დაბრკოლება იქნება. მეტოქეზე რა ვიცით?

- ძალიან მინდა, ესპანელებს სიურპრიზი გავუკეთოთ, წარმატებით ვითამაშოთ და შედეგიანად დავიწყოთ ახალი შესარჩევი ეტაპი. ვიმედოვნებ, გუნდიც მხარს ამიბამს და ქომაგობაც არ მოგვაკლდება. ესპანელებმა თითქმის არაფერი იციან საქართველოსა და ჩვენი გუნდის შესახებ. აქ მათთვის სრულიად უცხო გარემოა. გულშემატკივართა მხარდაჭერა მეტოქის წნეხში მოსაქცევად აუცილებელია. ასე რომ, ხალხს აქტიური ქომაგობისკენ მოვუწოდებ. და ერთსაც დავამატებდი: ბედნიერი ვარ და მეამაყება, რომ საქართველოს მეორე ნაკრების თავკაცი ვარ. კარგად იცით, ხორვატიაში დავიბადე. ქართული და ხორვატული მენტალიტეტი ძალიან ახლოსაა ერთმანეთთან. მერწმუნეთ, მართლა ალაალად ვამბობ - მიყვარს საქართველო და მაქსიმუმს ვაკეთებ ქართული ფეხბურთისთვის. ხორვატიიდან გერმანიაში გადავბარგდი, სადაც 14 წელი ვიმუშავე და გერმანულ დისციპლინას ვეზიარე. ასე რომ, ქართული ნიჭით, გერმანული დისციპლინითა და ხორვატული ჭკუით, ვფიქრობ, კარგი შანსი გვაქვს ესპანელებთან მატჩში სასურველი შედეგის მისაღწევად. მართალია, ამ ასაკში ესპანეთი მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო გუნდია, მაგრამ მჯერა, პატარა საქართველოსაც თავისი წილი შანსი აქვს და სწორედ ამ შანსის გამოყენებას უნდა შევეცადოთ.

- უკვე კლაუს ტოპმიოლერის სანაკრებო შტაბში მუშაობდით, როცა 21-წლამდელებს რალფ მინგე წვრთნიდა. აქედან გამომდინარე, ამ გუნდს კარგად იცნობთ. ყველა მწვრთნელს თავისი ხედვა, ხელწერა აქვს. რა სიახლეს სთავაზობთ ქომაგებს?

- საქართველოს ნაკრებ გუნდებში მომუშავე ყველა მწვრთნელის ფილოსოფია კლაუს ტოპმიოლერისას უკავშირდება. თუმცა, რა თქმა უნდა, ყველა მწვრთნელს და მათ შორის მეც, ჩემებური ხელწერა მაქვს. ჩემეულ ფილოსოფიაში აგრესიულ თამაშს თავისი ადგილი უჭირავს. თუმცა საუკეთესო გამოსავალი იქნებოდა შემტევ და დაცვით ფეხბურთს შორის ბალანსის მოძებნა. წელანაც ვთქვი, გვჭირდება გერმანული დისციპლინისა და ქართული ტექნიკურობის, ნიჭის შერწყმა. ამ კურსის პირველი ნაწილი გაზაფხულზე, თურქული შეკრების დროს გავიარეთ. იქ ერთი შეხებით თამაშში გუნდი ჩინებულად წარმოჩნდა. ჩვენს თამაშებს სპეციალისტებიც ესწრებოდნენ და მათ ერთხმად აღნიშნეს - არ გვინახავს, ქართული გუნდი ფეხბურთს ასე დისციპლინირებულად, სწრაფად და აგრესიულად თამაშობდესო. თუმცა მიღწეულით არ უნდა დავკმაყოფილდეთ, ყოველდღიურად უნდა ვეცადოთ, რომ თამაშის ხარისხი უფრო ამაღლდეს. უკვე 6 თვეა, რაც საქართველოში ვცხოვრობ. რეგიონებშიც ხშირად მიმოგზაურია და საკუთარი თვალით მაქვს ნანახი, თუ როგორ ცხოვრობს საშუალო ფენა. ეს ხალხი ნამდვილად ღირსია იმისი, რომ ქართული ფეხბურთის რწმენა დავუბრუნოთ. თუმცა ამას მარტო ვერ შევძლებ. გუნდი უნდა ამყვეს, ერთმანეთს მხარში უნდა ამოვუდგეთ. 21-წლამდელთა ნაკრების მზადებაში გელა შეყილაძე, სერგო კოტრიკაძე, ოთარ გაბელია მეხმარებიან. ესენი ქართული ფეხბურთის სხვადასხვა თაობის გამორჩეული წარმომადგენლები არიან. ჩვენ ერთმანეთს ვავსებთ და ჩინებულ კვარტეტს ვქმნით. ჩვენ უნდა შევძლოთ და ყველას ვაჩვენოთ ქართული ფეხბურთის სიძლიერე, რომელიც კარგა ხანია მიძინებულია.

- ჯგუფის მეტოქეებზე, შანსებსა და მიზნებზე რას გვეტყოდით?

- ესპანეთში კონტაქტები მაქვს და მეტოქეზე გარკვეული ინფორმაცია უკვე შევაგროვე. რაც მთავარია, უკვე გვაქვს ვიზუალური მასალა. ინიაკი საესის გუნდი 4-2-3-1 სისტემით, აგრესიულ, ტექნიკურ და სწრაფ ფეხბურთს თამაშობს. მეტსაც გეტყვით: არ ვიცი, უბრალოდ დამთხვევა თუ გამართლება იყო, მაგრამ უეფას მწვრთნელთა კურსებზე ყოფნისას, საესი პირადად გავიცანი. ის დიდი ფეხბურთელი იყო, ახლა კარგი მწვრთნელი და თბილი, მეგობრული კაცია. მან თითქმის არაფერი იცოდა საქართველოს შესახებ და საუბრისას არაერთი კითხვა დამისვა. ყველაფერი აინტერესებდა - როგორი ქვეყანაა, რამდენად თბილი ხალხი ცხოვრობს, გულშემატკივარი დადის თუ არა სტადიონზე... ვუთხარი, რომ საქართველოში ესპანელებზე არანაკლებად უყვართ ფეხბურთი, თბილი, კონტაქტური, მეგობრული და სტუმართმოყვარე ხალხია ქართველები, თქვენს დარად, ტიპური სამხრეთელები არიან-მეთქი... ბოლოს, საესმა ღიმილით მკითხა - 5 ივნისს რა ტაქტიკით აპირებ თამაშსო. თქვენ ჩამობრძანდით საქართველოში, სტუმართმოყვარეობით კმაყოფილი დარჩებით, სათამაშო სქემას კი მოედანზე ნახავ-მეთქი, - მეც ღიმილით მივუგე. ესპანეთში ყოფნისას, კიდევ ერთმა ფაქტმა გამაკვირვა. ისინი დიდ ყურადღებას აქცევენ ჭაბუკთა ფეხბურთს, მომავალი თაობის სათანადოდ აღზრდას. თავად ვნახე მადრიდში, ცალკე ქალაქია მოედნებით, სატრენაჟორო დარბაზებით, აუზებით, სასტუმროებით, სპეციალური სამედიცინო-სპორტული დაწესებულებებით, სადაც ესპანეთის ასაკობრივი ნაკრებები გადიან მზადებას. ისიც გავიგე, რომ ესპანეთში, ნაკრები გუნდების მომზადებისთვის, ყოველწლიურად 50 მილიონი ევრო იხარჯება. ბუნებრივია, ამ მხრივ მათ ვერ შევედრებით, მაგრამ ფეხბურთში გამარჯვება ყოველთვის მდიდრის მხარეს არაა. ასე რომ, ჩვენ შეგვიძლია, ესპანელებს სიურპრიზი შევთავაზოთ და კიდევ ვიმეორებ - ეს ქომაგებთან ერთად უნდა შევძლოთ.

დავით ცაბაძე

ინტერვიუ გიორგი კახელიშვილთან

ესპანეთი ჩვენი გამოცდაა

ჩემპიონს ზესტაფონი და სიონი იწვევენ

რუსთავის "ოლიმპის" თავდამსხმელი გიორგი კახელიშვილი ჯერ კიდევ ვერ გარკვეულა, სად ითამაშებს ახალი სეზონიდან. ახალგაზრდული ნაკრების წევრს შესაძლო ტრანსფერებსა და ესპანეთთან მოახლოებულ თამაშზე ვესაუბრეთ.

- გიორგი, ესპანეთის ახალგაზრდულ ნაკრებთან შეხვედრისთვის მზადება ისე დაიწყო, ალბათ, დასვენებაც ვერ მოახერხე...

- ასეც არ იყო, ხუთი დღე დავისვენე, მაგრამ ისევ ვარჯიშები... არაფერია, კარგი თამაში გველის.

- ესპანელთა შემადგენლობას რომ გადავხედოთ, ადვილი მისახვედრია, რომ კარგ თამაშთან ერთად, უმძიმესი გამოცდაც გელით...

- ორი აზრი არ არის, რომ სერიოზული მეტოქე გვყავს და გაგვიჭირდება. მე ჯერ ისიც არ ვიცი, მწვრთნელი 18-კაციან განაცხადში შემიყვანს თუ არა, ანუ თუ შემიყვანს, მენდობა კი? დარწმუნებული ვარ, რომ თუ მათამაშებს, არც თავს შევირცხვენ და გუნდსაც დიდ სამსახურს გავუწევ.

- ალბათ, "ოლიმპში" უთამაშებლობის გამო გეპარება ეჭვი...

- უბრალოდ, წინასწარ ვერავინ იტყვის, რომ ათამაშებენ.

- ისე, რატომ დაკარგე "ოლიმპის" ძირითადში ადგილი? ტრავმა ხომ არ გაწუხებდა?

- არა, არანაირი ტრავმა. ძოძუაშვილი ხან მათამაშებდა, ხან კიდევ სკამზე მსვამდა, თორემ თავს ძალიანაც კარგად ვგრძნობდი. რას ვიზამთ, ყველა მწვრთნელს საკუთარი შეხედულება გააჩნია.

- მართალია, თითქოს გუნდიდან მიდიხარ?

- წასვლა ვის არ უნდა? მაგრამ ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე აუცილებლად უნდა ვითამაშო. "ოლიმპთან" კონტრაქტშიც ასე მიწერია და მერე ვნახოთ. სიმართლე გითხრათ, ჯერ სერიოზული წინადადება არც მიმიღია, თუ ქართულ გუნდებს არ ჩავთვლით.

- ამ გუნდებს არ დაასახელებ?

- "ზესტაფონი" და "სიონი" მიწვევენ.

- როგორც ვიცი, "დინამო" და "ამერიც" არიან დაინტერესებულნი...

- "ამერი" დეკემბერში მიწვევდა, "დინამოსგან" კი მსგავსი არაფერი მსმენია. ისე, საქართველოში გაჩერება აღარ მსურს და მოლაპარაკებებზე თავს ამიტომაც ვიკავებ. იქნებ, სადმე ნორმალურ ლიგაში მოვხვდე. დანამდვილებით მხოლოდ ის ვიცი, რომ ლიგის პირველ ეტაპზე "ოლიმპში" ვიქნები, დანარჩენიც მერე გამოჩნდება. თუ "ლოკომოტივი" ჩემპიონობისთვის იბრძოლებს, მაშინ ჩემს ძველ კლუბში დავბრუნდები.

- "ლოკომოტივის" პრეზიდენტმა, თოფურიამ გვითხრა, რომ ახალ სეზონში ასეთი ამბიცია არ ექნებათ...

- არა? მაშინ გამორიცხულია, არ დავბრუნდები.

- უკვე დასახელდა ის გუნდები, რომელთაგან ერთ-ერთი "ოლიმპს" პირველ ეტაპზე შეხვდება. შენი აზრით, რომელი მათგანია ყველაზე სასურველი და არასასურველი?

- ყველაზე ადვილი მეტოქეები სან-მარინოს, სომხეთისა და ფარერების ჩემპიონები არიან. მათ წყალწაღებულებს ვეძახი. რაც უფრო მეტ ეტაპს გადავლახავთ და მეტ გამოცდილებას მივიღებთ, მით უკეთესი. ყველაზე არასასურველი, ალბანეთისა და ბელარუსის ჩემპიონებთან შეხვედრა იქნება.

მერაბ მამულაშვილი

გიორგი კახელიშვილი

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

www.kazbegi.com

გაცხადება...
ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

21-წლამდელები. საქართველო-ესპანეთი

ხვალ ერთმანეთში გაარკვევენ

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები 21-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლისთვის მზადებას განაგრძობს. **პეტარ სეგრტის** გუნდი გუშინ 16 საათზე შეიკრიბა ტექნიკურ ცენტრ "ბასაში". სავარჯიშოდ გამგზავრებამდე, სეგრტმა თანაშემწეებთან - **გელა შეყილაძესთან, სერგო კოტრიკაძესა** და **ოთარ გაბელიასთან** ერთად, ფეხბურთელებს თეორიული მეცადინეობა ჩაუტარა. 17:30 საათზე მწვრთნელებმა ფეხბურთელებს ავტობუსში უხმეს. მალე გუნდი სულაქველიძის სახელობის საერთაშორისო საფეხბურთო აკადემიას მიადგა და ვარჯიში გამართა.

ნაკრების მწვრთნელ გელა შეყილაძის თქმით, წვრთნამ საათსა და 40 წუთს გასტანა. ნელი სირბილი მოედნის გარშემო, მოთელვა, გაწელვითი ვარჯიშები. მერე, ფეხბურთელები კონკრეტული დავალებების შესრულებას შეუდგნენ. მწვრთნელებმა შეგირდებს ჯერ მოედნის ცენტრის დაუფლებაზე გააკეთებინეს აქცენტი, ხოლო შემდეგ რამდენიმე ტაქტიკური ვარიანტი დაამუშავეს და სტანდარტულებზეც ივარჯიშეს. შეყილაძესთან საუბრიდან შევიტყვეთ, რომ 21-წლამდელებმა გუშინაც 20-კაციანი შემადგენლობით ივარჯიშეს. როგორც შევიტყვეთ, დღეს ახალგაზრდულ ნაკრებს დანიის "ვიბორგის" მცველი **გიორგი ფოფხაძე** დაემატება.

გუშინ, გვიან ღამით, შოტლანდიიდან სამშობლოში დაბრუნდა 19-წლამდელთა ნაკრები, რომელმაც ევროპის ჩემპიონატის ელიტრაუნდში იასპარეზა. როგორც ადრე გაუწყეთ, **ჰაინც ტოპმიოლერის** გუნდიდან სეგრტი რამდენიმე ფეხბურთელს დიამატებს. თუმცა ზოგიერთ მოთამაშეს (**ლევან ყენია, გიორგი განუგრავა, ზურაბ გვაძაბია, ნიკა კვასხვაძე, ვახტანგ ფანცხავა**) სხვადასხვა სახის ტრავმა აწუხებს და 21-წლამდელთა თავკაცი დასამატებელთა ვინაობას უშუალოდ ფეხბურთელებთან და ჭაბუკთა ნაკრების ექიმთან საუბრის შემდეგ გადაწყვეტს. გეტყვით იმასაც, რომ ხვალ, 1 ივნისს ახალგაზრდული ნაკრები მოსამზადებელ შეკრებას გაფართოეული შემადგენლობით დაიწყებს. პარასკევსვე, სეგრტი გუნდს ორად გაყოფს და საკონტროლო მატჩს ჩაატარებს.

დავით ცაბაძე

ლეგიონერები

ჯაკობია ტურის გმირებში

ლაშა ჯაკობიამ კვლავ მიიქცია უკრაინული მედიის ყურადღება. 28-ე ტურში კიევის "არსენალმა" შინ ლვოვის "კარპატის" 1:0 მოუგო. ერთადერთი გოლი ქართველი კაპიტნის ანგარიშზე ჩაიწერა. ლაშამ თავისიანები შეხვედრის დასაწყისშივე დააწინაურა და საერთოდაც, უკრაინული პრესის შეფასებით, საკმაოდ კარგი შთაბეჭდილებაც დატოვა. იქაურმა "სპორტ-ექსპრესმა" 26 წლის თავდამსხმელი ტურის გმირთა ხუთეულში მეორე ადგილზე დაასახელა. ჯაკობიას მხოლოდ კიევის "დინამოს" ბრაზილიელმა ლეგიონერმა **კლებერმა** აჯობა.

ლაშამ უკრაინული კარიერა ხარკოვის "მეტალისტში" გამოსვლით დაიწყო. მას დღემდე მისტირიან ამ გუნდის გულშემატკივრები, რომლებმაც ორი წლის წინათ ის "მეტალისტის" საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს. როცა "სპორტ-ექსპრესმა" ჯაკობია ტურის გმირებში დაასახელა, სტატიის ინტერნეტ-ვერსიის განხილვისას, ფორუმზე, ხარკოველი გულშემატკივრები გააქტიურდნენ და ლაშასადმი სიმპათია კიდევ ერთხელ დაადასტურეს. ამასთანავე, იმედი გამოთქვეს, რომ ჯაკობია "მეტალისტში" დაბრუნდება და ხარკოველებს უეფას თასზე დაეხმარება.

მერაბ მამულაშვილი

ომარის მარცხი

ჯახა მჟავანაძე

გუშინ, რუსეთის პირველ დივიზიონში მე-14 ტურის მატჩები გაიმართა. მახაჩყალის "ანჟიმ", რომელსაც **ომარ თეთრაძე** წვრთნის, დიდი ანგარიშით წააგო. კავკასიური კლუბი ნოვოკუზნეცკში "მეტალურგ-კუზბასთან" 0:3 დამარცხდა. სტუმართა რიგებში არ უთამაშია **ზურაბ არზიანს**. სასტარტოში იყვნენ **ჯახა მჟავანაძე** და **გორა ხოჯავა**. მატჩის მე-15 წუთზე მჟავანაძემ საჯარიმოში მასპინძელი **კობიალკო** ნააქცია, რისთვისაც ყვითელი ბარათი მიიღო, "მეტალურგმა" კი პენალტის ნიშნულიდან გახსნა ანგარიში. ტაიმის მიწურულს ყვითელი ბარათი ხოჯავასაც უჩვენეს. 66-ე წუთზე, როცა ანგარიში უკვე 3:0 იყო, თეთრაძემ ხოჯავა **ედუნოვით** შეცვალა.

ბრიანსკში, **პაატა ჯინჭარაძის** "დინამო" "მორდოვიას" შინ უგოლოდ დაუზავდა. "ანჟი" 22 ქულით მერვე ადგილზეა, "დინამოს" კი 19 ქულით მეათე ადგილი უკავია.

ნიკოლოზ ნეფარიძე

ოლიმპი

ჭეიშვილმა, არაო

რუსთავის "ოლიმპმა" **რევაზ ძოძუაშვილს** კონტრაქტი რომ არ გაუგრძელა, უკვე იცით. ბუნებრივია, კლუბის მეპატრონეებმა მისი შემცვლელის ძებნა დაიწყეს. ახალი მწვრთნელის დანიშვნამდე, გუნდს დროებით ძოძუაშვილის ყოფილი ასისტენტი **ვარლამ კილასონია** გაწვრთნის. ეს კლუბის ვიცე-პრეზიდენტმა **ბადრი ქარქაშაძემ** გვითხრა. ამჟამად, კლუბში ტრანსფერებზე მუშაობენ. ლიბერიელების შესაძლო დამატებაზე უკვე ვწერდით. "ოლიმპს" სხვა, საკმაოდ საინტერესო ფეხბურთელებსაც სთავაზობენ. რუსთაველები "სიონის" ნიგერიელი ლეგიონერების, **ჩასემისა** და **ბოიომოს** ტრანსფერებზე ფიქრობენ. ინტერესი ზესტაფონელი ბრაზილიელების, **ვიეირასა** და **ჟონატასის** მიმართაც ჰქონდათ. თუმცა ბრაზილიიდან თეთრებად ჩამოყვანილ მოთამაშეთა ფასი (სპორტული გაგებით) საქართველოში უკვე გაიგეს და თანხაც გასამმაგდა. ალბათ, ეს ვარიანტი გამორიცხა. განიხილება "სიონში" განათხოვრებული თბილისის დინამოელის **შოთა ბაბუნაშვილის** საკითხიც.

როგორც ჩანს, გამოირიცხა მწვრთნელის პოსტზე გამოცდილი **შოთა ჭეიშვილის** დანიშვნაც. ის კილასონიასთან წყვილში განიხილებოდა ძოძუაშვილის შემცვლელად. გუშინ, მასთან "ოლიმპის" მეპატრონეები აწარმოებდნენ მოლაპარაკებას. მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, ბათუმის "დინამოსა" და საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ყოფილ მწვრთნელს დიდ ფეხბურთში დაბრუნება არ უნდა. ამჟამად, ის "ოლიმპის" საფეხბურთო აკადემიაში ბავშვებს ავარჯიშებს. ქარქაშაძის თქმით, ამ უარის შემდეგ მთავარ მწვრთნელს ისევ ეძებენ. ჩემპიონთა ლიგის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩები 50 დღეში, 18-19 ივლისს გაიმართება და ეს პრობლემა სასწრაფოდაა მოსაგვარებელი.

ახლა სტადიონის ლიცენზირების თაობაზე. "ოლიმპის" ხელმძღვანელებს ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩების ჩატარება რუსთავში სურთ. ერთი თვის წინათ, ფეხბურთის ფედერაციის შესაბამისმა კომიტეტმა "ფოლადის" არენას მეორე კატეგორია მიანიჭა, რაც ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპის სამასპინძლოდ საკმარისი არ არის. ქარქაშაძე აცხადებს, რომ სტადიონის რეკონსტრუქციისას ფედერაციის რეკომენდაციები გაითვალისწინეს და საჭირო ლიცენზიის მიღებას იმედოვნებს. 2 ივნისს რუსთავში ფედერაციის კომისიას ელიან, 7-ში კი უეფას წარმომადგენელიც ჩამოვა და საბოლოო გადაწყვეტილებასაც ის მიიღებს.

ჭეიშვილრამ ათი საათი თქვა

გუშინ ციურიხში ფიფას კონგრესის პირველი სამუშაო დღე იყო. ქართული დელეგაცია - ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი **ნოდარ ახალკაცი**, გენმდივანი **უჩა უგულა** და ვიცე-პრეზიდენტი **გოგი ქავთარაძე** - ბრაზილიის ფეხბურთის კონფედერაციის პრეზიდენტ **რიკარდუ ტეიშეირას** უნდა შეხვედროდა, მაგრამ ეს ვერ მოხერხდა - შეხვედრა დღეისთვის გადაიდო.

ნოემბერში საქართველოს და ბრაზილიის ეროვნულ ნაკრებთა მატჩის გამართვაზე მოლაპარაკებები ჯერ კიდევ შარშან დაიწყო, მაგრამ უშალოდ ტეიშეირასთან შეხვედრის გარეშე ბოლომდე ვერაფერი გაირკვა. დღეს შუა ევროპული დროით 10 საათზე ჩვენი დიდმოხელეები ტეიშეირას შეხვდებიან და იქნებ ამით დაესვას წერტილი მოლაპარაკებებს.

გიორგი სეთურიძე

სავარაუდო ტრანსფერები

ონიანსა და სეთურიძეს კარლ ცაისი იწვევს

"ოლიმპში" განათხოვრებული **გიორგი კახელიშვილი** და **გიორგი სეთურიძე** თბილისის "ლოკომოტივში" არ დაბრუნდებიან. კონტრაქტის თანახმად, ისინი რუსთაველებს ჩემპიონთა ლიგის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე უნდა დაეხმარონ.

"ორივე ფეხბურთელი "ოლიმპშია". ისინი ჩემპიონთა ლიგის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩამდე გავანათხოვრეთ. შემდეგ ხელახლა უნდა დავილაპარაკოთ. კახელიშვილითა და სეთურიძით უცხოელთა დაინტერესებაზე ჯერ ვერაფერს მოგახსენებთ. სერიოზული წინადადების შემთხვევაში, ფეხბურთელებს ხელს არ შევუშლით" - გვითხრა "ლოკომოტივის" პრეზიდენტმა **ლექსო თოფურიამ**.

რუსთაველებისგან სეთურიძის შესახებ საინტერესო ინფორმაცია შევიტყვეთ. 21 წლის ფეხბურთელი, ისევე, როგორც "ოლიმპის" ცენტრალური მცველი **გიორგი ონიანი**, ჩვენთვის კარგად ცნობილი კლუბის ინტერესთა სფეროში აღმოჩნდა. ორივე მოთამაშეს ერთი მენეჯერი ჰყავს. ადრე გაუწყეთ, რომ ქართველი ახალგაზრდების აყვანა დნეპროპეტროვსკის "დნეპრს" სურდა. სიახლე ისაა, რომ ფეხბურთელთა მენეჯერი, ამჟამად, მოლაპარაკებას მეორებუნდესლიგელ "კარლ ცაისთან" აწარმოებს. სხვათა შორის, "რუსთავი 2-თან" სატელევიზიო ინტერვიუში სეთურიძემ თქვა კიდეც, კარიერას გერმანიაში გავაგრძელებო, მაგრამ კლუბი არ დაუკონკრეტებია.

ეს ინფორმაცია ისეთმა პიროვნებამ დაგვიდასტურა, რომელიც ამ საქმეებში ღრმადაა ჩახედული და ყოველდღიურ პროცესებშიც მონაწილეობს. ამდენად, ინფორმაცია სანდო და სარწმუნოა. თუმცა ჯერ ნაადრევია იმის თქმა, რომ ოლიმპელები კარიერას გერმანიაში გააგრძელებენ თუ უკრაინაში. შეგახსენებთ, რომ "კარლ ცაისმა", რომელშიც საქართველოს ნაკრების მეკარე **გიორგი ლომაია** და თავდამსხმელი **მიხეილ აშვეთია** ირიცხებიან, მეორე ბუნდესლიგაში ადგილი შეინარჩუნა.

მერაბ მამულაშვილი

www.kazbegi.com

გახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს XVI ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა. შეჯამება

კახეთი

ადგილი ჩემპიონატში: 14

გონაგარი

	მატჩი	ქრილიანდი	გოლი	ასისტი	წითელი
ტეტიაშვილი	22	13	4	-	1
ბიძინაშვილი	20	14	3	1	-
მურველაშვილი	19	16	1	2	-
კობაიძე	18	18	1	1	-
ნ. დავითაშვილი	17	17	2	1	-
გ. იაშვილი (მეკ.)	17	17	1/-57	-	-
კევლიშვილი	16	16	-	5	-
კუპრაშვილი**	12	12	1	2	-
გ. ხიდაშელი**	12	11	-	1	-
ჩუთლაშვილი**	12	11	2	1	-
მ. ხიდაშელი	12	8	-	1	-
ქამუკაშვილი	12	5	-	-	-
ბურნაძე	12	3	-	2	-
მაღლაკელიძე*	11	11	-	-	-
კვირკველია	11	11	-	1	-
გერგიშვილი	11	9	-	2	-
იმერლიშვილი*	10	9	-	2	-
ცინაძე (მეკ.)*	9	9	-23	-	-
მედოევი**	9	4	-	1	-
ტარულაშვილი*	8	8	-	-	-
ლომიძე*	8	7	-	2	-
იოსებაშვილი**	8	6	-	-	-
ამირანიძე	7	5	-	-	-
ბურდული*	6	6	-	1	-
სოსელია*	6	6	1	1	-
ცისკარიშვილი	6	3	-	-	-
სიხარულიძე*	5	5	1	1	-
არუდაშვილი	5	5	2	-	-
ბედოიძე*	4	4	-	-	-
წუწუნავა*	4	4	1	-	-
მაჩაიძე**	4	3	-	-	-
ბიბილაშვილი**	4	2	-	-	-
მელიქიშვილი**	4	1	-	-	-
აბდულაევი	3	2	-	-	-
გიბაური**	3	2	-	-	-
ღოღაძე**	2	2	-	-	-
დავითულიანი**	2	1	-	-	-
ბარბაქაძე**	2	-	-	-	-
გიდილაშვილი**	1	1	-	-	-

* - მხოლოდ პირველ წრეში
**- მხოლოდ მეორე წრეში

„არაფერია გასაკვირი იმაში, რომ სეზონი სამარცხვინო შედეგით დავასრულეთ. თავიდანვე აუტსაიდერები ვიყავით. ნორმალურად ჩატარებული რამდენიმე მატჩის მიუხედავად, ქულები ვერ მოვიპოვეთ. შემცირებული ბიუჯეტის გამო, წამყვანი ფეხბურთელები ვერ შევინარჩუნეთ, მოკლედ, არაა საოცარი, უმაღლესი ლიგა ბოლო ადგილზე რომ დავამთავრეთ“.

საუკეთესო მატჩი

„ცოტა უხერხულია ასეთ თამაშზე საუბარი, მაგრამ მაინც გამოვყოფდი „სიონთან“ მიღწეულ ფრეს“.

ყველაზე ცუდი მატჩი

„ცუდი მატჩების მეტი რა ჩავატარეთ, განსაკუთრებით მწარედ ბოლო ტურში „ლოკომოტივთან“ შინ განცდილი მწარე მარცხი მახსენდება“.

პლუსი

„მწვრთნელობას სულ ახლახან მივყავი ხელი და ძალიან ბევრი ისეთი რამ ვისწავლე, რაც მომავალში აუცილებლად წამადგება. კარგი კიდევ ისაა, რომ რამდენიმე პერსპექტიული ფეხბურთელი გვეზრდება“.

მინუსი

„ფეხბურთელობისას ზედიზედ ამდენი თამაში არ წამიგია, ამ ფაქტმა ძალიან დამთრგუნა“.

მომავალი სეზონი

„დაახლოებით ივნისის შუა რიცხვებში შევიკრიბებით. როგორც ვიცი, ახალი ბიუჯეტი დიდი მიზნებისთვის ბრძოლის საშუალებას არ მოგვცემს, მაგრამ ჯერ გადაჭრით ვერაფერს ვიტყვი, შეიძლება, მაინც გაგვიჩნდეს უმაღლესში დაბრუნების პერსპექტივა. შეკრებაზე წასვლაც გვსურს და იმედია, ამას ამჯერად მაინც შევძლებთ. პირადად მე კი ვარჯიშს განვაახლებ და მოედანზეც გავალ. არაა გამორიცხული, ერთი გამოცდილი მწვრთნელი მოვიწვიოთ და მასთან ერთად ვიმუშაო“.

„კახეთი“, რომელიც 2005-06 წლების სეზონში ნებისმიერი მეტოქისთვის ანგარიშგასაწევი ძალა იყო, გასულ ჩემპიონატში უპირობო აუტსაიდერად იქცა. რამდენიმე ტურის შემდეგ თვალნათლივ გამოჩნდა, რომ თელაველები უმაღლეს ლიგაში ადგილს ვერ შეინარჩუნებდნენ. კლუბის მთავარი პრობლემა სახსრების ნაკლებობა იყო, გასაკვირი არ გახლდათ, რომ მთავარი მწვრთნელის შეცვლამ საქმეს ვერ უშველა. საბოლოოდ, „კახეთმა“ ჩემპიონატი ორიოდე ქულით ჩაამთავრა და არსებობის ისტორიაში ყველაზე უსახური სეზონი ჩაატარა. წინ პირველი ლიგაა, ჯერ გაურკვეველია, როგორი დონის გუნდი ეყოლება თელავს მომავალ სეზონში, შესაბამისად, სამომავლო გეგმებზე საუბარიც ნაადრევია.

ვასილ არუდაშვილი
მთავარი მწვრთნელი

საკადრო პოლიტიკა

„გუნდის ძირითადი ბირთვი არ შეიცვლება, წამსვლელ-მომსვლელებზე კონკრეტული საუბარი კი ჯერ არ შემიძლია“.

ფინანსური მდგომარეობა

„როგორც აღვნიშნე, ამ მხრივ, საქმე არცთუ სახარბიელოდ გვაქვს, მაგრამ სიტუაციის გამოსწორების იმედს არ ვკარგავთ“.

ჩემპიონატის რჩეულნი

„ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი უდავოდ **სანდრო იაშვილია**, მის გარდა, **თორნიკე აფციაურსა** და **ზურაბ იონანიძეს** გამოვარჩევდი“.

კახეთი და ძომაგი

„თელავის სტადიონზე გულშემატკივართა რაოდენობამ საგრძნობლად იკლო, რაც, რაღა თქმა უნდა, გუნდის ბოლოდროინდელი შედეგების გამო, გასაკვირი არაა“.

ჩემპიონატის ფორმატი

„14-გუნდიანი უმაღლესი ლიგა კი არა, ვფიქრობ, 12-იანიც კი ნამეტანია. ფინანსურად წელგამართული ამდენი კლუბი არ გვყავს. გულახდილად ვამბობ, რომ გასული ჩემპიონატი „კახეთისა“ და „დილის“ გარეშე უფრო საინტერესო და დაძაბული იქნებოდა“.

გამორჩეული კოლეგები

„საუკეთესო ქართველ მწვრთნელებად **რევაზ ძოძუაშვილი, კახა ცხადაძე** და **თემურ მახარაძე** მიმაჩნია“.

მსაჯობა

„მიუხედავად იმისა, რომ არაობიექტური მსაჯობა ჩვენც გვიწვნევია საკუთარ თავზე, მაინც მგონია, რომ ამ სფეროში პროგრესი გვაქვს. **ამირან კაჭახიძის** მუშაობას დადებითად ვაფასებ, ისე კი, ურიგო არ იქნებოდა, შეგნებული თუ უნებლიე შეცდომებისთვის მსაჯები უფრო მკაცრად ისჯებოდნენ“.

გარიგებული მატჩები

„რა თქმა უნდა, ჩვენს ჩემპიონატში თამაშები ხშირად ეწყობა, მაგრამ კონკრეტული მაგალითების დასახელებისგან თავს შევიკავებ“.

ლევან ჯანეზაშვილი



ბათუმი-კახეთი



I ტური
29.07.06 შ მერანი 0:1

II ტური
06.08.06 ს ოლიმპი 0:7

III ტური
20.08.06 შ ვიბ ჯორჯია 2:3
გოლები: სიხარულიძე, ტეტიაშვილი

IV ტური
27.08.06 ს ჩიხურა 1:3
გოლი: სოსელია

V ტური
09.09.06 შ ბათუმი 1:3
გოლი: ნ. დავითაშვილი

VI ტური
17.09.06 ს დინამო 1:2
გოლი: ნ. დავითაშვილი

VII ტური
23.09.06 შ დილა 2:2
გოლები: არუდაშვილი (2)

VIII ტური
14.10.06 ს ამერი 0:3

IX ტური
21.10.06 შ ტორპედო 2:3
გოლები: კობაიძე, წუწუნავა

X ტური
29.10.06 ს სიონი 0:5

XI ტური
05.11.06 შ ბორჯომი 0:2

XII ტური
18.11.06 შ ზესტაფონი 0:2

XIII ტური
26.11.06 ს ლოკომოტივი 0:1

XIV ტური
23. 02. 07 ს მერანი 1:3
ავტოგოლი: ლ. გრიგალაშვილი

XV ტური
02.03.07 შ ოლიმპი 0:5

XVI ტური
10.03.07 ს ვიბ ჯორჯია 1:5
გოლი: ტეტიაშვილი

XVII ტური
17.03.07 შ ჩიხურა 0:1

XVIII ტური
31.03.07 ს ბათუმი 2:3
გოლები: ბიძინაშვილი, კუპრაშვილი

XIX ტური
7.04.07 შ დინამო 2:3
გოლები: ტეტიაშვილი (2)

XX ტური
13.04.07 ს დილა 1:3
გოლი: ბიძინაშვილი

XXI ტური
21.04.07 შ ამერი 1:7
გოლი: ჩუთლაშვილი

XXII ტური
27.04.07 ს ტორპედო 1:2
გოლი: მურველაშვილი

XXIII ტური
5.05.07 შ სიონი 1:1
გოლი: ჩუთლაშვილი

XXIV ტური
12.05.07 ს ბათუმი 1:4
გოლი: ბიძინაშვილი

XXV ტური
16.05.07 ს ზესტაფონი 0:7

XXVI ტური
20.05.07 შ ლოკომოტივი 1:5
გოლი: გ. იაშვილი

26 მატჩი, 0 მოგება, 2 ფრე,
24 წაგება, ბურთები 21-86, 2 ქულა

www.kazbegi.com

გასხენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

პორტრეტი

იქ, სადაც ღალატი არ არის

ავარია, უსამართლობა და ჩემპიონობა

საქართველოს ჩემპიონი, ახალგაზრდული ნაკრების წევრი, სწრაფი და საიმედო მარცხენაფლანგელი - **გიორგი ნავალოვსკი** ეროვნულ ჩემპიონატში ერთ-ერთი საინტერესო ფეხბურთელია და უკვე არცთუ ცოტა უნახავს - თუ როგორ ეპყრობიან ფეხბურთელს უსამართლოდ, თუ როგორ გადაურჩა სიკვდილს ავტოავარიაში, თუ როგორ უნდა აჯობო შენზე მდიდარ და კარგად მომზადებული ფეხბურთელებით დაკომპლექტებულ გუნდებს...

ნავალოვსკის თამაში პირველად 2003-04 წლების სეზონში ვნახე, მაშინ ის იმ "დინამო 2-ის" ფეხბურთელი იყო, პირველ ლიგაში ლამის ყველა თამაშში დიდი ანგარიშით რომ ამარცხებდა მეტოქეებს.

მას შემდეგ "დინამოში" ბევრი რამ შეიცვალა - ხელმძღვანელობა, მწვრთნელები, საკლუბო პოლიტიკა, ნავალოვსკი კი პირველი გუნდის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფეხბურთელი გახდა. თუ მანამდე ის უფრო შემტევი ტიპის ნახევარმცველი იყო, **კახა ცხადაძემ** დაცვის მარცხენა ფლანგზე გაამწესა. შეიძლება ითქვას, მწვრთნელს ალღომ არ უღალატა - ნავალოვსკი კარგად მოერგო ახალ ამპლუას და ის **რალფ მინგეს** განწვრთნილ ახალგაზრდულ ნაკრებშიც მიიწვიეს.

მანამდე კი გიორგი ისეთ ავტოავარიაში მოჰყვა, ორი ადამიანი რომ დაიღუპა. მას თავის ტრავმა ჰქონდა და ექიმები ოპერაციის გაკეთებას ვარაუდობდნენ, თუმც ნავალოვსკი უოპერაციოდ მომჯობინდა და ფეხბურთელობა გააგრძელა.

მისი დინამოური კარიერა კი ვერ განვითარდა. **დუშან უჰრინის** გუნდში ნავალოვსკის თამაში არ მოუწია. გიორგის ერთ-ერთმა ყოფილმა თანაგუნდელმა მითხრა, ნავალოვსკის "დინამოში" უსამართლოდ ეპყრობოდნენ, ბევრად მცირე ხელფასი ჰქონდა, ვიდრე გუნდის სხვა მოთამაშეებსო.

ნავალოვსკის ახლა ამ თემაზე საუბარი აღარ სურს და ისღა გვითხრა, თუ როგორ მოხვდა "დინამოდან" რუსთავის "ოლიმპში" ან დასრულებული სეზონის მეორე ეტაპიდან.

გიორგი ნავალოვსკი

"კონტრაქტი მიმთავრდებოდა და "დინამომ" ისეთი პირობები შემომთავაზა, რაც არ მაწყობდა. გამოჩნდა უკრაინაში გასინჯვაზე წასვლის ვარიანტი, მაგრამ რაც ნაღდი იყო, ის ვამჯობინე და "ოლიმპში" მივედი".

"ოლიმპი" ის გუნდია, 2006-07 წლების სეზონიდან რომ დაიწყო არსებობა და მყისვე ჩემპიონი გახდა. არც ჩამოყალიბებული საკლუბო პოლიტიკა, არც ბაზა, კონკურენტებზე ნაკლები ფული, არც უცხოური შეკრება, გუნდმა სეზონში სამი მთავარი მწვრთნელი გამოიცვალა და მაინც ჩემპიონი გახდა. როგორ მოახერხა ეს "ოლიმპმა"?

"ყველა ჩვენ კონკურენტ გუნდს უკეთესი პირობები აქვს, მაგრამ "ოლიმპში" დიდი ერთსულოვნებაა, გუნდში ყველანი ძმაკაცურად ვართ, ვთქვით, ჩემპიონები უნდა გავხდეთო და სიტყვა შევასრულეთ. თანაგუნდელები ერთმანეთისთვის ვთამაშობდით, ვინც კი გუნდშია, ყველანი მეგობრულად ვართ და პირველ რიგში, ამან განაპირობა ჩვენი წარმატება, თუმც ისიცაა, რომ ფეხბურთელთა კონტინგენტითაც ამ სეზონში საუკეთესო "ოლიმპი" იყო" - განგვიმარტა ნავალოვსკიმ.

ფული ძალიან მნიშვნელოვანია, თუმც ფეხბურთში ისე არ ხდება, რომ ყოველთვის ყველაზე მდიდარი იგებდეს ტიტულებს, მაგრამ ის კი დიდი იშვიათობაა, როცა მოუმზადებელი გუნდი მასზე გაცილებით კარგად მომზადებულ გუნდებს ჯობნის და ჩემპიონი ხდება. "ოლიმპს" არ ჰქონია სეზონისწინა თუ საშუასეზონო შეკრება, უცხოეთში მომზადებაზე აღარაფერს ვამბობთ და, როცა გუნდი რუსთავში გასამართი საშინაო მატჩებისთვის ემზადებოდა, წინა დღით თბილისში, დიდუბის მანეჟში ბანაკდებოდა შეკრებისთვის.

"ყველაფერი, ისევ და ისევ ერთსულოვნებით დავძლიეთ. როცა ღალატი არ არის და ყველაფერი მეგობრობაზე, ერთიანობაზეა აწყობილი, ბევრი დაბრკოლების გადალახვა შეიძლება".

ნავალოვსკის "ოლიმპთან" სამწლიანი კონტრაქტი აკავშირებს, თუმც თუ უცხოეთში წასვლის შანსი გამოუჩნდება, "ოლიმპი" მას კონტრაქტის თანახმად ხელს არ შეუშლის. ნავალოვსკიმ გვითხრა, რომ ის .მხოლოდ შემტევი სტილის გუნდს მოერგება.

"მხოლოდ დაცვაში ვერ ჩავდგები, თითქოს ორგანიზმი მთხოვს, რომ წინ წავიდე და შევუტიო".

ახალგზარდულ ნაკრებში რალფ მინგე ნავალოვსკის ყოველთვის მარცხენა მცველად ათამაშებდა, მხოლოდ ერთხელ გაამწესა მარცხენა ნახევარმცველად, როცა შარშან ჩვენმა 21-ნლამდელებმა შინ სერბეთთან წააგეს 1:3. ნაკრების ახალმა თავკაცმა, ხორვატმა **პეტარ სეგრტმა** ნავალოვსკი თებერვალში თურქეთთან ამხანაგურ მატჩში მარცხენა მცველად ათამაშა. გიორგი ახლაც მიწვეულია ახალგაზრდულში ნაკრების შეკრებაზე - 5 ივნისს სეგრტის გუნდი ევროშესარჩევში ესპანეთს უმასპინძლებს.

"ესპანეთის ახალგ ზარდული ნაკრების ფეხბუთრელები დიდ გუნდებში თამაშობენ. ასეთ მეტოქესთან ყველაფერი უფრო გამართლებაზეა დამოკიდებული. ალბათ ესპანეთთანაც გვექნება საგოლე შანსი და ის უნდა გამოვიყენოთ. ძალიან საინტერესოა დიდი გუნდების ფეხბურთელებით დაკომპლექტებულ ნაკრებთან თამაში, ასეთ შეხვედრაში კარგად გამოჩნდება, თუ რა შეგვიძლია".

ნავალოვსკისთვის საუკეთესო მარცხენა მცველი ეშლი კოულია, 2006-07 წლების საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელი კი ოლიმპელი **თორნიკე აფციაური.** გიორგიმ ისიც გვითხრა, რომ ფეხბურთის თამაშის გარდა, კარგად არაფრის კეთება არ ეხერხება, ვარჯიში და მერე მინიმუმ ერთსაათიანი ძილი - ასეთია მისი დღის რეჟიმი.

ის ფლანგელია და კარგი ჩაწოდება მისთვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტია. *"თუ ვარჯიშზე დიდი დატვირთვა არ მაქვს, ვარჯიშის დამთავრების შემდეგ მოედანზე ვრჩები და 90-100 ჩაწოდებას ვაკეთებ, სხვა შემთხვევაში სულ მცირე 50 ჩაწოდებას"* - გვითხრა გიორგიმ და თუ მის ფლანგურ გარღვევებს უნაკლო ფლანგური პასებიც დაემატება, ის ალბათ სატრანსფეროდაც ერთ-ერთი ყველაზე უფრო საინტერესო ფეხბურთელი გახდება საქართველოში.

დავით თავართქილაძე

დილა

ჩემპიონატი დასრულდა, რემონტი განახლდა

ტაბლო მოდის, სკამები იდგმება, განათებაც იქნება...

გორის თ. ბურჯანაძის სახელობის არენაზე ამ ზამთარს დაწყებული სარემონტო სამუშაოების პირველი ეტაპი 31 მარტს დროებით შეჩერდა. სტადიონის ხელმძღვანელობამ, ვიდრე "დილას" ჩემპიონატის მატჩების ჩატარება უნევდა, რეკონსტრუქცია შეაჩერა. საფეხბურთო სეზონის დასრულებისთანავე, სამუშაოები გაგრძელდება. როგორც სტადიონის მენეჯერი **ნოდარ მექვაბიძე** გვპირდება, ახალი სეზონიდან სტადიონი გულშემატკივარს კიდევ უფრო მოწესრიგებული შეხვდება.

"რემონტი ჩემპიონატის მიმდინარეობის გამო შევაჩერეთ და სეზონის დასრულებისთანავე განვაახლეთ. გაგრძელდება ინდივიდუალური სავარძლების დამონტაჟება. ამ მომენტისთვის დასავლეთ ტრიბუნაზე დამონტაჟებულ 2000 სკამს, მოპირდაპირე ტრიბუნაზეც იმავე რაოდენობის სავარძლები დაემატება. დაახლოებით ერთ კვირაში ჩამოგვივა ახალი ტაბლო. მალე შევუდგებით მოედნის საფარის გაუმჯობესებისთვის აუცილებელ სამუშაოებს, მოწესრიგდება დრენაჟი და ა. შ. მართალია, აქამდეც არცთუ უმნიშვნელო სამუშაოები ჩავატარეთ, მაგრამ აგვისტოსთვის გორის არენა ბევრად უკეთეს მდგომარეობაში იქნება. სამომავლოდ, თუ აქ უფას ეგიდით ჩასატარებელი თამაშების მასპინძლობის საშუალება მოგვეცემა, ღამის განათების მოწესრიგებასაც შევძლებთ" - განაცხადა "ლელოსთან" საუბარში ნოდარ მექვაბიძემ.

ვასილ ბალახაძე
გორიდან

CDN კავკასიის სიფრცული ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK
გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:
CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 555 ტელეფონის დადგმა;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGA ISP ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;
24 საათის განმავლობაში
• უწყვეტი მომსახურება • ტექნიკური მხარდაჭერა
• გარანტირებული ხარისხი • გაფართოება ნებისმიერ გაუკვლელად
სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!
დარეკე, მეუკვეთე, ჩაერთე!
ორ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვარსკვლავი

ანრის გული სწყდება

ბარსელონა ეტოოსა და 17 მილიონს ჩამოდის, ფული ინტერსაც გამზადებული აქვს...

ტიერი ანრი "არსენალისგან" გამოცდილი ფეხბურთელების შეძენას ითხოვს. ფრანგი თავდამსხმელი პეკინში იმყოფება და კომპანია "რიბოკის" სარეკლამო კამპანიაში მონაწილეობს. თუმცა მან ჟურნალისტებთან სასაუბროდაც მოიცალა და საინტერესო კომენტარები გააკეთა: *"გული მწყდება, რომ ზედიზედ მეორე წელია, ჩემპიონატს მეოთხე ადგილზე ვასრულებთ. მე იმ გუნდშიც მითამაშია, რომელმაც სეზონი წაუგებლად ჩაამთავრა. ასე რომ, გამარჯვებების გემო კარგად მახსოვს. როცა შემადგენლობაში მხოლოდ ახალგაზრდა ფეხბურთელები გყავს, ძნელია, მაქსიმალური მიზნებისათვის იბრძოლო. იმ დაუმარცხებელ გუნდში ძალიან გამოცდილი ფეხბურთელები თამაშობდნენ. მათ უთვალავი ტიტული ჰქონდათ მოგებული. გამარჯვება ადვილი არ არის. მე დღესაც არ ვარ სრულფასოვანი მოთამაშე და მით უმეტეს, არ ვიყავი 20 წლის ასაკში."*

ანრიმ არ იცის, რა გეგმები აქვს "არსენალს" სატრანსფერო ბაზარზე: *"ფინანსურ რესურსებზე ვერაფერს მოგახსენებთ. ეს ჩემი კომპეტენცია არ არის. მე მარტო ფეხბურთის თამაში მეხება. ერთადერთი, რისი თქმაც მინდა, ის არის, რომ გუნდმა წარმატებას მინდორზე უნდა მიაღწიოს."*

29 წლის თავდამსხმელმა თავი აარიდა კითხვას მოსალოდნელ ტრანსფერთან დაკავშირებით. ის "არსენალში" 1999 წელს გადავიდა და ერთი წლის უკან "მეთოფეებთან" კიდევ ოთხი წლით გააგრძელა თანამშრომლობა: *"რაც ფეხბურთის თამაში დავიწყე, იმ დღიდან განებივრებული ვარ სპეკულაციებით. გამუდმებით წერენ ჩემი მოსალოდნელი ტრანსფერების შესახებ სხვადასხვა კლუბში. როგორც ჩანს, ამას არასოდეს დაესმება წერტილი."*

ფეხბურთელის კომენტარის მიუხედავად, მოგაწვდით ინფორმაციებს, რომელსაც ინგლისური და ესპანური სააგენტოები ავრცელებენ. გუშინდელ "მარკაში" ვკითხულობთ, რომ "ბარსელონა" "არსენალს" ტიერის სანაცვლოდ **სამუელ ეტოოსა** და 17 მილიონ ევროს შესთავაზებს. პოპულარული გაზეთი ირწმუნება, რომ მოლაპარაკებები რამდენიმე დღეა მიმდინარეობს და მხარეებმა კარგა მანძილით წაიწიეს წინ. ის ფაქტი, რომ კატალონიელებმა კამერუნელი თავდამსხმელის გაშვება გადაწყვიტეს, შეუმჩნეველი არ დარჩენია "მანჩესტერ იუნაიტედს". "ეშმაკები" ეტოოს ჰოლანდიელ **კლაას იან ჰუნტელაარზე** წინ აყენებენ.

თვითონ ანრის კი "ინტერში" გადასვლა სურსო – ამას უკვე ინგლისური "დეილი ექსპრესი" გვატყობინებს. ამ გამოცემის მტკიცებით, მილანელებმა 15 მილიონი გირვანქა გაამზადეს და საჭიროების შემთხვევაში, რომელიმე მეორეხარისხოვან ფეხბურთელსაც დაამატებენო. ანრიმ იტალიაში ერთი სეზონი გაატარა. 1998-99 წლებში ის "იუვენტუსში" ირიცხებოდა და 16 მატჩში 3 გოლი შეაგდო. "ინტერში" მისი თანამემამულე და ყოფილი თანაგუნდელი **პატრიკ ვიეირა** თამაშობს. ის ორი წლის წინათ "იუვენტუსში" გაიყიდა, მაგრამ კალჩოპოლის სკანდალის შემდეგ მილანს მიაშურა და სკუდეტო მოიგო. "ინტერის" პრეზიდენტმა **მასიმო მორატიმ** ანრის შეძენა სამი წლის წინათაც სცადა, მაგრამ უშედეგოდ.

ტიერი ანრი

დანიშვნა

პერენი ორი წლით

საჭირო კაცი საჭირო ადგილას და საჭირო დროს

ალენ პერენი და ჟან მიშელ ოლა

"ლიონის" მწვრთნელად **ალენ პერენი** დაინიშნა. 50 წლის სპეციალისტი **ჟერარ ულიეს** ადგილს დაიკავებს. საფრანგეთის ჩემპიონებმა "სოშოსთან" შეთანხმებას გუშინ ნაშუადღევს მოაწერეს ხელი. ქვეყნის თასის მფლობელებს, კომპენსაციის სახით, 350 ათას ევროს მიუთვლიან. პერენი კი ორწლიან კონტრაქტზე მოაწერს ხელს. პერენმა და "ლიონის" პრეზიდენტმა **ჟან მიშელ ოლამ** უკვე მოასწრეს ერთობლივი პრესკონფერენციის გამართვა. მოსიეოლა ძალიან კმაყოფილი იყო: *"ის ჩვენი უმთავრესი სამიზნე იყო. ალენის დანიშვნას ხუთი წლის წინათაც ვაპირებდით. შეთანხმებამდე ცოტა დაგვაკლდა. ახლა კი, როგორც ხედავთ, ის აქ არის. მისი გამოცდილებისა და ამბიციის იმედი გვაქვს. გვჯერა, რომ ის საჭირო კაცია საჭირო ადგილას და საჭირო დროს."*

პერენი მოკლე კომენტარით დაკმაყოფილდა: *"ბედნიერი და ამაყი ვარ, რომ "ლიონში" მომიწვიეს. მე აქ ბევრი ჯილდოს მოპოვებას ვაპირებ."* მოსიე ალენს ურთულესი სამუშაო ელოდება. "ლიონის" ხელმძღვანელობა ვერც იმას მოითმენს, რომ კლუბმა საფრანგეთის ჩემპიონობა დათმოს და არც მარტო ჩემპიონობა დაკმაყოფილებს. ამის მაგალითი იყო **ჟერარ ულიეს** გაშვება. 59 წლის სპეციალისტმა ლიონელებს ზედიზედ ორჯერ მოაგებინა ფრანგული ლიგა, მაგრამ ჩემპიონთა ლიგაში მეოთხედფინალს ვერ გასცდა. ამიტომ კარისკენ მიუთითეს.

მოსალოდნელი ტრანსფერი

დავიდ სილვა ლივერპულში?

დავიდ სილვა

რაფა ბენიტესის პირველი საზაფხულო შენაძენი ვალენსიელი გარემარბი **დავიდ სილვა** იქნება. "ლივერპულის" ბოსი ყოფილ კლუბს უკვე შეეხმიანა და მოლაპარაკებებიც წამოიწყო. მას გარიგების სრულყოფა უმოკლეს დროში სურს. მერსისაიდელები 12 მილიონ გირვანქას გადაიხდიან. სენიორ რაფა იმედოვნებს, რომ სილვა დიდი ხნის განმავლობაში გადაჭრის ლივერპულელთა პრობლემებს მარცხენა ფლანგზე. ჩემპიონთა ლიგის ფინალში დამარცხების შემდეგ ბენიტესმა თქვა, რომ მის გუნდს რევოლუცია სჭირდება, თუ სურს, რომ ფავორიტად იქცეს. დავიდ სილვა "ვალენსიის" ახალგაზრდული გუნდის ლიდერი იყო იმ დროს, როცა "ღამურებს" ბენიტესი ავარჯიშებდა. ორი წლის წინათ ის ქვედა დივიზიონში გაანათხოვრეს. გასულ ზაფხულს კი ოთხწლიანი კონტრაქტი გაუფორმეს და ძირითადში გაამწესეს. დავიდს შთამბეჭდავი სეზონი ჰქონდა. მან "ჩელსის" ჩემპიონთა ლიგის პირველ მეოთხედფინალში ზღაპრული გოლიც გაუტანა. იმ გოლით მან "არისტოკრატების" ყურადღებაც მიიპყრო, მაგრამ ლონდონელებს დაინტერესება არ გამოუთქვამთ. სამაგიეროდ, ლივერპულელები დროის დახარჯვას აღარ აპირებენ. მერსისაიდელებს შეტევის მარცხენა ფლანგზე **ბუდეიინ ზენდენი, მარკ გონსალესი** და **ჰარი კიუელი** ჰყავთ. მთავარი მწვრთნელი მათზე ძლიერ მოთამაშეს ეძებს.

თურქეთის ნაკრები

რუშთუ დაბრუნდა

თუგაი ნაკრებს ბრაზილიასთან მატჩში გამოეთხოვება

2 ივნისს თურქეთს ბოსნიასთან საკვალიფიკაციო მატჩი ელის. სამი დღის შემდეგ კი ბრაზილიასთან ამხანაგურ შეხვედრას გამართავს. **ფათიჰ თერიმმა** არ გამოიძახა "ფენერბაჰჩეს" მეკარე **ვოლქან დემირელი**, სამაგიეროდ მის თანაგუნდელ **რუშთუ რექბერს** უხმო. ვეტერან გოლკიპერს ტრავმის გამო დიდი ხანი გაუცდა. ნაკრებში პირველად არიან "შეფილდ იუნაიტედის" თავდამსხმელი **კოლინ კაზიმ-რიჩარდსი**, "ტრაბზონსფორის" თავდამსხმელი **უმუთ ბულუთი**, "ფენერბაჰჩეს" მეკარე **სერდარ ქულბილგი** და "ანთალიასფორის" მცველი **უგურ ქავუქი**. ხუთი მატჩის შემდეგ თურქებს 13 ქულა აქვთ და C ჯგუფის ლიდერები არიან. ისინი ერთი ქულით უსწრებენ ევროპის ჩემპიონ საბერძნეთს. ბოსნიასთან არ ითამაშებს **თუგაი ქერიმოღლუ**. სამაგიეროდ, ბრაზილიასთან ძირითადში ვიხილავთ. თუგაის ეროვნული გუნდიდან 5 ივნისს გააცილებენ.

მეკარეები – რუშთუ რექბერი (ფენერბაჰჩე), ჰაქან არიქანი (ანკარა), ორქუნ უსაქი (ქაიზერი), სერდარ ქულბილგი (ფენერბაჰჩე);

მცველები – ემრე ასიქი (გალათასარაი), იბრაჰიმ თორომანი (ბეშიქთაში), იბრაჰიმ უზულმესი (ბეშიქთაში), გოჰან ზანი (ბეშიქთაში), მეჰმეთ თოფუზი (ქაიზერი), სერვეთ ჯეთინი (სივასფორი), საბრი სარიოღლუ (გალათასარაი), უგურ ქავუქი (ანთალია), ვოლქან იამანი (ანთალია);

ნახევარმცველები – თუმერ მეთინი (ფენერბაჰჩე), აურელიო (ფენერბაჰჩე), თუნჯაი სანლი (ფენერბაჰჩე), გიოქდენიზ ქარადენიზი (ტრაბზონი), ჰუსეინ ჩიმშირი (ტრაბზონი), ჰამით ალთინთოფი (შალკე), ნური შაჰინი (დორტმუნდი), ემრე ბელოზოღლუ (ნიუკასლი), თუგაი ქერიმოღლუ (ბლეიქბერნი), ილდირაი ბაშთურქი (ჰერტა), სერდარ ქურთულუსი (ბეშიქთაში), არდა თურანი (გალათასარაი);

თავდამსხმელები – ჰაქან შუქური (გალათასარაი), უმით ქარანი (გალათასარაი), უმუთ ბულუთი (ტრაბზონი), კოლინ კაზიმ-რიჩარდსი (შეფილდ იუნაიტედი), გოჰან უნალი (ქაისერი).

კრესპო ინტერში რჩება

ერნან კრესპო "ინტერში" დარჩება. თავდამსხმელი იტალიაში გაისადაც იჯარის წესით ითამაშებს. გასულ სეზონში მან 14 გოლი გაიტანა და "ნერაძურის" მე-15 სკუდეტოს დაუფლებაში დაეხმარა. კრესპოს სატრანსფერო უფლებები "ჩელსის" ხელშია. გასულ ზაფხულს მან "ნერაძურისთან" ორწლიანი საიჯარო კონტრაქტი გააფორმა. იანვარ-თებერვალში "არისტოკრატებს" უმწვავესი საკადრო პრობლემები შეექმნათ. მაშინ პირველად გაისმა მონოდება კრესპოს დაბრუნების შესახებ. ერნანს იტალიაში დარჩენა სურდა. მან სასიხარულო ამბავი შვეიცარიაში, არგენტინელთა შეკრებაზე ყოფნისას შეიტყო. ფორვარდმა "ჩელსის" "ინტერთან" შეთანხმებისათვის მადლობა გადაუხადა. 31 წლის კრესპომ ბოლო წლებში ბევრი იმოგზაურა. 2002 წლის აგვისტოში მან "ლაციოდან" "ინტერს" მიაშურა. 2003 წლის აგვისტოში - "ინტერიდან" "ჩელსის". ერნანს ინგლისთან შეგუება გაუჭირდა. ამიტომ ერთი წლის შემდეგ იტალიაში დაბრუნდა და "მილანთან" გააფორმა საიჯარო ხელშეკრულება. 2005 წლის ზაფხულში ის ისევ ლონდონში გამოიძახეს. ამჯერად მისი საქმეები უკეთ წავიდა, მაგრამ შარშან კვლავ მილანისკენ გაუწია გულმა – ამჯერად მან "ინტერის" მაისურა მოირგო. და აი, კრესპოს გაისადაც შავ-ლურჯ ფერებში ვიხილავთ.

კაკა: 40 მილიონი, პლუს ემერსონი

"რეალის" პრეზიდენტი **რამონ კალდერონი** დარწმუნებულია, რომ **კაკა** მადრიდში ითამაშებს. "ასის" მტკიცებით, ბრაზილიელს ესპანეთში გადასვლა სურს. ამიტომ სამეფო კლუბი ყველაფერს იღონებს "მილანთან" შეთანხმების მისაღწევად. "რეალმა" კაკას ბანაკთან მოლაპარაკებები თებერვალში წამოიწყო. კერძო საუბრისას ნახევარმცველს უთქვამს, მილანელებთან ომი არ მსურს, თუ "როსონერის" მოურიგდებით, კონტრაქტს სიამოვნებით გავაფორმებო. სენიორ კალდერონი მზადაა, 40 მილიონი ევრო გადაიხადოს. გარიგება ტელეკონტრაქტიდან მიღებული შემოსავლით დაფინანსდება. თანხის გარდა, "მილანს" **ემერსონსაც** შესთავაზებენ. **კარლო ანჩელოტის** გამოცდილი ნახევარმცველის შეძენა სურს.

მავუბა იუვენტუსში მიდის

"იუვენტუსმა" "ბორდოსა" და საფრანგეთის ნაკრების ნახევარმცველ **რიო მავუბასთან** კონტრაქტის პერსონალური დეტალები შეათანხმა. ტურინელთა გენერალური მენეჯერი **ალესიო სეკო** მოლაპარაკებებს პირადად მართავდა. ანგოლური წარმომავლობის ფეხბურთელი ოთხწლიან კონტრაქტს გააფორმებს. ფრანგულ კლუბს კი კომპენსაციის სახით, 5 მილიონ ევროს მიუთვლიან.

გიგზი უელსს ეთხოვება

რაიან გიგზი უელსის ნაკრებიდან მიდის. შაბათს ის ჩეხეთთან საკვალიფიკაციო მატჩს გამართავს და გულშემატკივრებს გამოეთხოვება. გიგზის სანაკრებო კარიერა 16 წელიწადს მოიცავს. მან სადებიუტო შეხვედრა 1991 წლის ოქტომბერში, გერმანელთა წინააღმდეგ ჩაატარა. მაშინ რაიანი 17 წლისა და 321 დღისა იყო და უელსის ნაკრების ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა ფეხბურთელი გახლდათ. გიგზის სანაკრებო მონაგარი 63 მატჩსა და 12 გოლს მოიცავს. უელსელებს ევროპის ჩემპიონატზე გასვლის შანსი დაკარგული აქვთ, თუმცა კაპიტნის დაკარგვა მათთვის მაინც აუნაზღაურებელი დანაკლისი იქნება.

დაეი წავიდა

ალი დაეი კარიერა დაასრულა. გასულ უქმეებზე მისმა გუნდმა "საიფამ" ირანის ჩემპიონატის ბოლო ტურის მატჩში ქერმანის "მასი" 2:0 დაამარცხა და ჩემპიონი გახდა. ორიდან ერთი გოლი დაეიმ შეაგდო. 38 წლის ვეტერანმა 148 სანაკრებო მატჩში 109 გოლი შეაგდო. ამ მაჩვენებლით ის თვის **პელესა** და **ფერენც პუშკაშსაც** კი აღემატება და მსოფლიოს რეკორდსმენია. ეროვნული გუნდის მაისურით ამდენი გოლი არავის არასოდეს გაუტანია. დაეიმ კარიერის საუკეთესო წლები გერმანიაში გაატარა. მან "არმინიაში", "ბაიერნსა" და "ჰერტაში" ითამაშა. მონაწილეობა მიიღო 1998 წლის მუნდიალის ისტორიულ შეხვედრაშიც ამერიკელთა წინააღმდეგ, რომელიც ირანელთა გამარჯვებით დასრულდა, 2:1. დაეი ნაკრებს შარშანდელი მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ გამოეთხოვა და "საიფაში" მოთამაშე მწვრთნელად გააგრძელა მოღვაწეობა.

ფიფას ახალი სახლი

ფიფამ ახალი რეზიდენციის პრეზენტაცია მოაწყო. სამშაბათს ციურიხში ამ ორგანიზაციის კონგრესი გაიხსნა. პრეზიდენტმა **იოზეფ ბლატერმა** და საპატიო სტუმრებმა საზოგადოებას ოფიციალურად ნარუდგინეს შტაბბინა, რომლითაც თითქმის ერთი წელია, სარგებლობენ. პრეზენტაციას დაემთხვა ძლიერი ქარი და წვიმა. ამიტომ ჩაიშალა ლია ცის ქვეშ დაგეგმილი რამდენიმე ღონისძიება. ფიფას ახალი სახლი 196 მილიონი დოლარი დაუჯდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაიერნი

ტონის 8 ივნისს წარადგენენ

5.5 მილიონი წელიწადში! ლუკა რეკორდმაისტერის ყველაზე მაღალანაზღაურებადი მოთამაშე იქნება!



ლუკა ტონი

გუშინდელ ნომერში გაცნობეთ, რომ **ლუკა ტონის** "ბაიერნში" გადასვლის ამბავი "ფაირენტინამ" ოფიციალურად დაადასტურა. გუშინ კი იგივე მიუნხენური კლუბის ხელმძღვანელებმაც მოიმოქმედეს. რეკორდმაისტერის ვიცე-პრეზიდენტ **კარლ-ჰაინც რუმენიგემ** ის თანხაც დაასახელა, რომელსაც ბავარიელები ფლორენციულ კლუბს გადაუხდიან. *"11 მილიონი ევრო! ტონი სწორედ ამდენად ვიყიდეთ!"* - განუცხადა რუმენიგემ საინფორმაციო სააგენტო DPA-ს და იქვე დასძინა, - *"იტალიელი ჩვენთან კონტრაქტს 2011 წლის 30 ივნისამდე გააფორმებს. ტონი მიუნხენში 8 ივნისს ჩამოვა, სამედიცინო შემოწმებას გაივლის, რის შემდეგაც ჟურნალისტებსა და გულშემატკივრებს წარვუდგენთ."* როგორც ხედავთ, რუმენიგეს მიერ დასახელებული თანხა 2 მილიონით ნაკლებია იმ თანხაზე, რაც "გაძეტა დელო სპორტმა" ტონის ნაცვლად გადახდილ ფასად დაასახელა. ცხადია, რომ ამ შემთხვევაში რუმენიგეს უფრო დაეჯერება. კითხვაზე, წარადგენს თუ არა "ბაიერნი" 8 ივნისს სხვა ფეხბურთელებსაც, რუმენიგემ ასეთი პასუხი გასცა: *"იმედია!"*

რაც შეეხება ტონის ხელფასს: "ბილდის" ცნობით, მსოფლიოს ჩემპიონი წელინადში 5.5 მილიონ ევროს მიიღებს. გამოდის, რომ ის რეკორდმაისტერის ყველაზე მაღალანაზღაურებადი ფეხბურთელი იქნება. დღემდე მიუნხენურ გიგანტში ყველაზე დიდი ხელფასები **ოლივერ კანსა** და **ვილი სანიოლს** ჰქონდათ - წელინადში 4.5 მილიონი ევრო.

როგორც ხედავთ, ბავარიული გიგანტის ბოსები გაშმაგებულ მუშაობაში არიან. რეკორდმაისტერის მომდევნო სამიზნე საფრანგეთის ნაკრებისა და მარსელის "ოლიმპიკის" გარემარი **ფრანკ რიბერია**. ნინა კვირაში ფრანგული და გერმანული გაზეთები ერთხმად იუწყებოდა, რიბერის მიუნხენში გადაბარგება გადაწყვეტილი ამბავიაო. როგორც ჩანს, უკანასკნელი დეტალები ჯერ არ შეთანხმებულა, რადგან რუმენიგემ რიბერის გადაბირების ცნობა არც უარჰყო და არც დაადასტურა: *"მოლაპარაკებები მიმდინარეობს. როცა ტრანსფერი გადაწყდება, პირველად ამის შესახებ ჩემგან გაიგებთ!"* საუბარია 15 მილიონ ევროზე. რუმენიგემ ისიც აღნიშნა, რომ ბავარიელები ტიპურ გამთამაშებელს არ შეიძენენ, რადგან **ოტმარ ჰიტცფელდი** პრიორიტეტს ფლანგების გაძლიერებას ანიჭებს.

მიუნხენელთა სამიზნეში რჩება **მიროსლავ კლოზეც**. ამ უკანასკნელზეც ამბობენ, კარიერას აუცილებლად "ბაიერნში" გააგრძელებსო. რამდენიმე გაზეთმა ტრანსფერი გაჩარხულადაც კი გამოაცხადა, მაგრამ ოფიციალურად ჯერ არაფერი დადასტურებულა. აქვე გეტყვით, რომ "ბაიერნი" ბუნდესლიგის გასული სეზონის ფეარ-პლეის გამარჯვებული გახდა.

გოტფრიდ ლენცი

შტუტგარტელები ფინანსურ ლიგაშიც ჩემპიონები არიან

ბუნდესლიგა. სატელევიზიო შემოსავლები

შტუტგარტი ფინანსებშიც პირველია

ვინ რამდენი მოიხვეჭა გასულ სეზონში?

ბუნდესლიგის გასული სეზონის შეჯამების შემდეგ, გერმანელებმა ფინანსურ მხარეზე გადაიტანეს აქცენტი და დაითვალეს, თუ რომელმა გუნდმა რამდენად იხეირა სატელევიზიო შემოსავლებით. ცხადია, რომ ამ მხრივ პირველ ადგილზე ჩემპიონი "შტუტგარტია". ჩემპიონმა ტელევიზიებიდან ყველაზე მეტი მიიღო - 26.18 მილიონი ევრო, რაც ფაქტობრივად, ორჯერ აღემატება "შტუტგარტის" შარშანდელ შემოსავალს.

VFB-ს, ზუსტად ისე, როგორც საბოლოო სატურნირო ცხრილში, "შალკე", "ვერდერი", "ბაიერნი" და "ლევერკუზენი" მოსდევენ. **ლევან კობიაშვილის** გუნდის შემოსავალმა 25.85 მილიონი ევრო შეადგინა და როგორც ხედავთ, გელზენკირხენელები ჩემპიონს 330 000 ევროთი ჩამორჩნენ. იქვე არიან ბრემენელი "მუსიკოსებიც" - "ვერდერმა" 25.52 მილიონი მოიხვეჭა.

"ბაიერნის" შემოსავალმა შარშან 16.20 მილიონი ევრო შეადგინა და ამ მაჩვენებლით რეკორდმაისტერი ერთი წლის წინათ საუკეთესო იყო. მართალია, მიუნხენელთა მდგომარეობაც მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა (25.19), მაგრამ ბავარიელები, მხოლოდ და მხოლოდ, მე-4 ადგილზე არიან. ნიშანდობლივია, რომ "ბაიერნმა" გერმანული ტელევიზიებისგან ყველაზე მეტი, 24.19 მილიონი მიიღო, რადგან გერმანიაში ბოლო ოთხ სეზონში დაკავებულ პოზიციებს ითვალისწინებენ. სამაგიეროდ, რეკორდმაისტერი გერმანიის საზღვრებს გარეთ ჩამორჩა (მხოლოდ 1 მილიონი), რის გამოც "ბაიერსს" "შტუტგარტმა" (4 მილიონი), "შალკემ" (3) და "ვერდერმა" (2) აჯობეს.

შეამჩნევდით, რომ ბუნდესლიგის საბოლოო სატურნირო ცხრილის პირველი ხუთეული ზუსტად ემთხვევა სატელევიზიო შემოსავლების ცხრილის პირველ ხუთეულს. სამაგიეროდ, თუკი "კოტბუსმა" ბუნდესლიგაში მე-13 ადგილი დაიკავა, შემოსავლების ცხრილში ბოლო ადგილზეა, ხოლო მიონხენგლადბახის "ბორუსია" კი, რომელიც ბოლო ადგილზე გავიდა და მეორე ბუნდესლიგაში გავარდა, შემოსავლების ცხრილში მე-12 პოზიციას იკავებს. "კოტბუსმა" ტელევიზიებიდან 12.45 მილიონი მიიღო, "გლადბახმა" კი 17 მილიონი! ამხელა განსხვავების მიზეზი ის გახლავთ, რომ კოტბუსელები ბუნდესლიგაში ახალი გადმოსულები არიან, მიონხენგლადბახურმა კლუბმა კი "ენერგის" ძველი დამსახურებების გამო აჯობა.

თუ დააკვირდებით, გერმანული კლუბების მდგომარეობა, შარშანდელთან შედარებით, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. ამას საფუძვლად ის ახალი სატელევიზიო ხელშეკრულება უდევს, რომელიც 2005 წლის დეკემბერში გაფორმდა და რომელიც კლუბებისთვის შემოსავლის გაზრდას ისახავდა მიზნად. ასე რომ, გერმანელებმა ამ მხრივ მდგომარეობა კი გამოასწორეს, მაგრამ ესპანეთის და იტალიის ჩემპიონატებს მაინც მნიშვნელოვნად ჩამორჩებიან. ანუ, გერმანულ კლუბებს იტალიური და ესპანური გუნდებისგან განსხვავებით, მაინც აქვთ სანუწუნო. თავად განსაჯეთ: მაგალითად, მადრიდის "რეალის" წლიური სატელევიზიო შემოსავალი დაახლოებით 150 მილიონს შეადგენს. როგორც ხედავთ, განსხვავება უდიდესია.

გოტფრიდ ლენცი

გუნდი	2005/06	2006/07
1.შტუტგარტი	14.47 (მილ)	26.18 (მილ)
2.შალკე	15.12	25.85
3.ვერდერი	15.69	25.52
4.ბაიერნი	16.20	25.19
5.ლევერკუზენი	14.04	22.52
6.ჰერტა	14.39	21.21
7. ბორუსია (დ)	14.12	20.54
8.ჰამბურგი	14.86	20.27
9.ნიურნბერგი	11.19	19.56
10.ჰანოვერი	12.83	18.46
11.ვოლფსბურგი	13.02	17.75
12.ბორუსია (მ)	12.71	17.00
13.არმინია	11.61	16.25
14.მაინცი	11.12	15.46
15.აინტრახტი	10.78	14.66
16.ბოხუმი	5.01	13.87
17.ალემანია	4.04	13.16
18.კოტბუსი	3.87	12.45

ბეტისი

ფერნანდესი წამსვლელია

ფრანგ სპეციალისტს რეკრეატივოს დამრიგებელი შეცვლის, ამასოგაში, ანდალუსიელებმა 18 მილიონი ევრო იზარალეს...

ლუის ფერნანდესი "ბეტისს" დატოვებს. ეს ინფორმაცია ესპანურმა საგენტოებმა კლუბთან დაახლოებულ წყაროზე დაყრდნობით გაავრცელეს. ფერნანდესი სევილიაში გასული წლის მიწურულს ჩავიდა. მან **ხავიერ ირურეტას** ადგილი დაიკავა და აუტსაიდერების გადარჩენა ითავა. სენიორ ლუისმა ამოცანა, ფაქტობრივად, შეასრულა. პრიმერა დივიზიონის დასრულებამდე ორი ტურით ადრე "ბეტისს" გასავარდნი ზონისგან ოთხი ქულა ჰყოფს და თუ კატასტროფულ შეცდომებს არ დაუშვებს, უმაღლეს ლიგაში დარჩება. კლუბის ხელმძღვანელობას მისი შემცვლელი უკვე შერჩეული ჰყავს. ესაა 41 წლის **მარსელინო გარსია ტორალი**. ტორალმა "რეკრეატივოში" მუშაობით გაითქვა სახელი. ერთი წლის წინათ მან კლუბი პრიმერა დივიზიონში გადაიყვანა. დებიუტანტებმა სეზონი შთამბეჭდავად ჩაატარეს. 36 ტურის შემდეგ უელვურ კოლექტივს 50 ქულა აქვს და მეცხრე ადგილი უკავია.

გუშინ გარსია ტორალმა საგანგებო პრესკონფერენციაზე ასეთი განცხადება გააკეთა: *"დარწმუნებით შემიძლია მოგახსენოთ, რომ სეზონის დასრულების შემდეგ "რეკრეს" დავტოვებ. გადაწყვეტილება სამი კვირის წინათ მივიღე, მაგრამ დირექტორატთან მოთათბირების შემდეგ გადავწყვიტე, აქამდე არაფერი მეთქვა. სამწუხაროდ, უეფას თასის საგზური ვერ მოვიპოვეთ. დარჩენილ ორ ტურს ჩვენთვის ფორმალური ხასიათი აქვს და დღევანდელი განცხადება კლუბის კეთილდღეობაზე გავლენას არ იქონიებს. დიდი მადლობა ყველას, ვინც მუშაობის საშუალება მომცა. ყველაზე დიდ მადლობას კი შეგირდებსა და გულშემატკივრებს ვუხდი. იმედი მაქვს, ჩემი მემკვიდრე "რეკრეატივოს" სერიოზულ წარმატებებს მოუტანს."*



ლუის ფერნანდესი

კიდევ ერთი ინფორმაცია "ბეტისის" ბანაკიდან. სევილიის ვიცე-მერი **ემილიო კარილიო** კლუბის თავგადაკლული ფანია. ეს პატივცემული სენიორი სამხრეთული კოლექტივის რიგით 222-ე სოსიოა. "ბეტისის" საზოგადოება კი 40 ათასზე მეტ წევრს ითვლის. იმისთვის, რომ წინა რიგებში აღმოჩნდე, რამდენიმე გზა არსებობს: თუ შენი ნინაპარი საზოგადოებაში მისი ჩამოყალიბების დროს გაწევრიანდა და გარდაიცვალა, მემკვიდრეობით "სოსიოს" მანდატი გადმოგეცემა. გარდა ამისა, ნებისმიერ წევრს შეუძლია, სოლიდური თანხა გადაიხადოს და ეს მანდატი შეიძინოს. ხაზი უნდა გაესვას, რომ კლუბის საქმიანობაში მონაწილეობისას და გადაწყვეტილებების მიღებისას პირველ ნომერ "სოსიოს" მეორეზე მეტი უფლება აქვს.

მოკლედ, ამით იმის თქმა გვსურდა, რომ ბატონი ემილიო კარილიო "ბეტისის" საზოგადოებაში საკმაოდ წონადი ფიგურაა. ამიტომ, მისი გუშინდელი განცხადება ანდალუსიური კლუბის გულშემატკივრებმა უდიდესი ინტერესით მოისმინეს: *"მწუხარებით უნდა მოგახსენოთ, რომ ბოლო ორი წლის განმავლობაში გუნდმა 18-მილიონიანი ზარალი განიცადა. ეს მაშინ, როცა გასულ ზაფხულს ხოაკინი "ვალენსიას" 25 მილიონ ევროდ დავუთმეთ. ჩემი აზრით, ხელმძღვანელობა მუშაობისას სერიოზულ შეცდომებს უშვებს. შედეგებიც სახეზეა. იმის ნაცვლად, რომ ჩემპიონთა ლიგაში მოვხვდეთ, პრიმერა დივიზიონში დარჩენისთვის ვიბრძვით. დადგა დრო, "ბეტისის" უმსხვილესმა აქციონერმა და მეპატრონემ, სენიორ მანუელ რუის დე ლოპერამ გაბედული ნაბიჯები გადადგას. პეპე ლეონი ჩემი მეგობარია, მაგრამ მიმაჩნია, რომ პრეზიდენტის მოვალეობებს ვერ უმკლავდება. "ბეტისის" ასაღორძინებლად უფრო პროდუქტიული მუშაობაა საჭირო."* მანუელ რუის დე ლოპერამ 18-მილიონიანი ზარალის ფაქტი ოფიციალურად დაადასტურა. ანდალუსიელთა უმაღლესი ხელისუფლის თქმით, ეს ფაქტი გუნდის მიერ ნაჩვენებმა უარყოფითმა შედეგებმა გამოიწვია.

არაგონესი და ატლეტიკო ბორესის გარეშე

ფერნანდო ტორესისთვის სეზონი ნაადრევად დასრულდა. "ატლეტიკოს" ფორვარდმა ესპანეთის ნაკრების პირველივე ვარჯიშზე ტრავმა მიიღო და მუშაობა ვეღარ გააგრძელა. სახელდახელოდ ჩატარებულმა სამედიცინო გამოკვლევამ ცხადჰყო, რომ "ელ ნინიოს" მარცხენა ტერფის მყესები დაეჭიმა. "სელექსიონის" მთავარი ექიმის, **ჯენარო ბორასის** ვარაუდით, ახალგაზრდა ფორვარდს რეაბილიტაციისთვის მინიმუმ 15 დღე დასჭირდება. **ლუის არაგონესი** მომხდარით უკიდურესად შეშფოთებულია: *"ტორესი ჰაერივით გვჭირდებოდა. მას ძირითად შემადგენლობაში სათამაშოდ ვამზადებდი. ძალიან სამწუხაროა, რომ ვეღარ დაგვეხმარება. იმედია, ელ ნინიოს ღირსეულად შევცვლით."* სენიორ არაგონესმა არ დააყოვნა და ტორესის ნაცვლად "ესპანიოლის" თავდამსხმელი **ლუის გარსია** გამოიძახა. გარსიას პრიმერა დივიზიონის მიმდინარე გათამაშებაში 11 გოლი აქვს გატანილი. ლიტვისა და ლიხტენშტეინის ნაკრებებთან მატჩებში ესპანელთა ძირითადში **ფერნანდო მორიენტესი** იასპარეზებს. იმასაც გეტყვით, რომ ბოლო ორი დღეა, არ უვარჯიშიათ ვალენსიელ ნახევარმცველებს, **დავიდ სილვასა** და **მიგელ ანხელ ანგულოს**.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბარსელონა

ესპანიოლთან რონალდინიოს გარეშე

გაუჩო დაისაჯა, ბეგირისტაინმა კატალონიური გრანდის ახალგაზრდულ გუნდებს სასტიკი ვერდიქტი გამოუტანა...

ესპანეთის ფეხბურთის სამეფო ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტმა, "ბარსელონასა" და "ხეტაფეს" მატჩში მომხდარი ინციდენტი განიხილა და **რონალდინიოს** ერომატჩიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯა. შეგახსენებთ, მადრიდელებთან შეხვედრის მე-40 წუთზე **დავიდ ბელენგერმა** ბრაზილიელ ვარსკვლავს მტკივნეულად ჩაარტყა. აშკარა იყო, რომ "ხეტაფეს" მცველმა ეს გამიზნულად გააკეთა. გაუჩომ ვერ მოითმინა, ემოციებს აჰყვა და ბელენგერს წიხლი უთავაზა. კატალონიური გრანდის იურისტებმა წინასწარვე იცოდნენ, რომ სადისციპლინო კომიტეტი დისკვალიფიცირების გადაწყვეტილებას მიიღებდა. ამიტომ, მათ თავიდანვე დაიჭირეს თადარიგი და ყველა საჭირო მასალა შეაგროვეს იმისთვის, რათა წამყვანი ფეხბურთელი სასჯელისგან დაეხსნათ. იურისტები სწორედ ბელენგერის განზრახ ჩადენილი უხეშობით აპელირებდნენ. აღსანიშნავია, მადრიდელი სხვა ეპიზოდებშიც უმოწყალოდ ურტყამდა რონალდინიოს. "ბარსას" ადვოკატებს იმედი ჰქონდათ, რომ ვარაუდი არ გამართლდებოდა და მათ ფეხბურთელს გაამართლებდნენ. უნდა მოგახსენოთ, რომ ექსპერტები გაუჩოს ორი მატჩით მოკვეთას წინასწარმეტყველებდნენ...

ფედერაციის მესვეურებმა უკლებლივ ყველა არგუმენტი მოისმინეს, თუმცა კატალონიელთა თხოვნა არ დააკმაყოფილეს. საქმეში უკეთ გარკვევის მიზნით, სადისციპლინო კომიტეტის თავმჯდომარის, **ალფრედო ფლორესის** განცხადებას გაგაცნობთ: *"ჩვენ საგულდაგულოდ გავეცანით ვიდეო მასალას. აღსანიშნავია, რომ მხოლოდ ერთი ეპიზოდით არ გვიხელმძღვანელია. აღმოვაჩინეთ, რომ რონალდინიო თითქმის მთელი ტაიმის განმავლობაში დევნის ობიექტი იყო. ბელენგერმა მას ხუთჯერ ძალიან მტკივნეულად ჩაარტყა. ბოლოს, როგორც ჩანს, მოთმინება დაკარგა და მეტოქეს აგრესია დაუპირისპირა. ბუნებრივია, ბრაზილიელს უმიზეზოდ არაფერი გაუკეთებია, მაგრამ ჩვენ აგრესიას ნებისმიერ შემთხვევაში ვგმობთ. წინამდებარე გარემოებები რომ არა, ბარსელონელს ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია არ ასცდებოდა, მაგრამ გავითვალისწინეთ, რომ მასაც უსამართლოდ მოექცნენ. სხვაგვარად, უბრალოდ, ვერ მოვიქცეოდით. ჩვენი მორალი ასეთია, ფეხბურთელმა ნერვების მოთოკვა ნებისმიერ ფასად უნდა შეძლოს. თამაშს მილიონობით ადამიანი უყურებს. დაუშვებელია, რომ მოზარდებსა და ზოგადად ფართო საზოგადოებას, ცუდი მაგალითი მივცეთ. ვიმეორებ, რონალდინიოს უსამართლოდ ეპყრობოდნენ, მაგრამ წიხლის ჩარტყმის ფაქტს ეს მაინც არ ამართლებს. "ბარსელონას" "ესპანიოლთან" მის გარეშე ასპარეზობა მოუწევს."*

ამასობაში, კატალონიურ გრანდზე სრულიად მოულოდნელი ინფორმაცია გავრცელდა. გაირკვა, რომ კლუბის ხელმძღვანელობა "ბარსელონის" მეორე გუნდის სეგუნდა დივიზიონში ასპარეზობის უფლების სანაცლოდ ფულის გადახდას არ აპირებს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ "ბარსა B" ტერსერა დივიზიონში დაქვეითდება. ხოლო იქ მოასპარეზე "ბარსა C"-ს კატალონიის პრიმერა დივიზიონში მოუწევს თამაში. ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ამგვარი პოლიტიკით, ძირითად გუნდს სერიოზული დარტყმა მიადგება. ცნობილია, რომ "კანტერა" მთავარ გუნდს წლების განმავლობაში უნიჭიერესი ფეხბურთელებით ამარაგებდა. დასამალი არ არის, სათადარიგო გუნდის ბიჭებს სეგუნდა დივიზიონი საფეხბურთო უნარების განვითარებისთვის შეუდარებლად მეტ შანსს აძლევდა. მესამე ლიგის დონე კი ძალიან დაბალია იმისთვის, რათა ახალგაზრდა ფეხბურთელი გაიზარდოს. კატალონიის პრიმერა დივიზიონზე აღარაფერს ვამბობთ. როგორც მოგახსენეთ, ამ ტურნირში "ბარსელონა C" ჩაერთვება. დიდი ფეხბურთის თამაშის სურვილით შეპყრობილ მოზარდებს კატალონიური ლიგა დიდად ვერ დაეხმარება, ის ხომ ბავშვთა ფეხბურთის დონეს ვერაფრით აღემატება...

რიიკაარდს რონალდინიო არ ეყოლება

ამ საკითხთან დაკავშირებით, დირექტორატში განსხვავებული მოსაზრებები გამოითქმის. მაღალჩინოსანთა ერთი ნაწილი თანხის ამ გზით დაზოგვას გაუმართლებლად მიიჩნევს, თუმცა მათთვის სამწუხაროდ, უმაღლეს ეშელონებში აბსოლუტურად განსხვავებულად მსჯელობენ. საკითხის გადაწყვეტა **ჩიკი ბეგირისტაინს** მიანდვეს. გენერალური დირექტორი კი აცხადებს: *"ჩვენ სეგუნდა დივიზიონში ასპარეზობისთვის საჭირო თანხას არ გადავიხდით. ეს გაუმართლებელი დანახარჯია. "კანტერის" ბიჭებს ქვედა ლიგაშიც მიეცემათ იმის საშუალება, რომ ტექნიკური და ფიზიკური მდგომარეობა გაიუმჯობესონ. გადაწყვეტილების მიღებამდე აბსოლუტურად ყველა დეტალი გავაანალიზეთ. დავრწმუნდით, რომ საქმისთვის სწორედ ასე სჯობს. გულშემატკივრებს სანერვიულო არაფერი აქვთ. "კანტერა" "ბარსელონის" ძირითად შემადგენლობას ნიჭიერი ძლიერი ფეხბურთელებით მომავალშიც მოამარაგებს."*

ილია ნიკოლაიშვილი

ვოლფსბურგი

სრული ძალაუფლება მაგათს

ფელიქსი სპორტული დირექტორიც უნდა იყოს და მწვრთნელიც...

"ვოლფსბურგის" ხელმძღვანელებს რომ სერიოზული გეგმები აქვთ, ამის შესახებ უკვე არაერთხელ ვნერდით. "მგლები" ბოლო ორ სეზონში მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითებას ძლივსძლიობით გადაურჩნენ, არადა, ბოსებს გაცილებით დიდი ამბიციები აქვთ. მოკლედ, "ვოლფსბურგის" შეფებმა ხელები დაიკაპიწეს და საქმეს შეუდგნენ. პირველ რიგში, მათ ზამთარში "ბაიერნიდან" გათავისუფლებული **ფელიქს მაგათის** მიწვევა სურთ და როგორც ჩვენი გერმანელი კოლეგები იტყობინებიან, "დესპოტ ფელიქსთან" მოლაპარაკებები დაწყებულია. და რაც ყველაზე საინტერესოა, მაგათი არა მხოლოდ მთავარი მწვრთნელი უნდა გახდეს, არამედ სპორტული დირექტორის პოსტიც უნდა შეითავსოს, რაც იმას ნიშნავს, რომ ვოლფსბურგელებს მენეჯერის ინგლისური მოდელი სურთ. ანუ, თუ გარიგება შედგა, მაგათს სრული ძალაუფლება მიენიჭება და დაახლოებით ისე იქნება, როგორც **სერ ალექს ფერგიუსონი** "მანჩესტერ იუნაიტედში". კონკრეტულად, სპორტული დირექტორი, მწვრთნელი და ამასთან, ტრანსფერებში მხოლოდ მას ექნება გადამწყვეტი სიტყვა. ფელიქსს ამ მხრივ დიდი გამოცდილება აქვს - თავის დროზე "ჰამბურგსა" და "შტუტგარტშიც" ასეთივე თანამდებობაზე მუშაობდა.

"ბაიერნიდან" წასვლის შემდეგ, ფელიქსს არაერთხელ უთქვამს, უცხოეთში მუშაობა მინდაო და საინტერესოა, რატომ უნდა დათანხმდეს იმ გუნდის წინადადებას, რომელიც ბოლო დროს მუდამ ელიტაში ადგილის შენარჩუნებისთვის იბრძვის? "ბილდის" ინფორმაციით, "ვოლფსბურგს" "ფოლკსვაგენი" კარგად დააფინანსებს და ფელიქსსაც ექნება იმის შესაძლებლობა, რომ ძლევამოსილი გუნდი გააკეთოს. ხსენებული გამოცემა იტყობინება, რომ მაგათი ამ წინადადებას მხოლოდ იმ შემთხვევაში დათანხმდება, თუ ხელმძღვანელებისგან სრულ ძალაუფლებას მიიღებს. ეჭვი არავის ეპარება, რომ გარიგება შედგება, რადგან "ფოლკსვაგენის" ბოსი **მარტინ ვინტერკორნი** ფელიქსის ახლო მეგობარია.

ცნობილია, რომ "ფოლკსვაგენი" გუნდს 10 მილიონით დაეხმარება. ხოლო, თუ გუნდში მაგათი დაინიშნა, ეს თანხა გაორმაგდება. მიმომხილველები "ვოლფსბურგთან" მიმართებაში სულ უფრო და უფრო ხშირად ახსენებენ ისეთი ფეხბურთელების გვარებს, როგორებიც არიან **კლაუდიო პისარო, როი მაკაი** და **როკე სანტა კრუსი**. მთავარია, რას იტყვის მაგათი. ყოველ შემთხვევაში, ფაქტია, რომ როცა ფელიქსი "შტუტგარტში"ასეთივე თანამდებობაზე მუშაობდა (2001-2004 წლებში), სერიოზულ წარმატებებს მიაღწია - შვაბენლანდური კლუბი ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში გაიყვანა.

გოტფრიდ ლენცი

ფელიქს მაგათი

რეალ სოსიედადი

ვის დარჩება სავარძელი?

გავარდნის პირას მყოფი ბასკები გუნდის მმართველობაში სერიოზული ცვლილებების გატარებას აპირებენ



"სოსიედადის" პრეზიდენტმა **მიგელ ფუენტესმა** საკუთარი ბედის გადაწყვეტა კლუბის აქციონერებს მიანდო. ბასკური გუნდის ხელმძღვანელების რიგგარეშე გაფართოებული ყრილობა 30 ივნისს გაიმართება. კრებაზე გადაწყდება, მუშაობას სენიორ ფუენტესი გააგრძელებს, თუ სხვა ხელისუფალს აირჩევენ. 30 ივნისისთვის საკუთარი კანდიდატურის წაყენების უფლება ნებისმიერ აქციონერს ექნება. მნიშვნელობა არ აქვს, ის აქციათა მსხვილ პაკეტს ფლობს, თუ ყველაზე მცირე წილის მესაკუთრეა.

საზოგადოების საქმის კურსში ჩაყენების მიზნით, მიგელ ფუენტესმა გუშინ პრესკონფერენცია მოიწვია. ჯერ კიდევ მოქმედმა პრეზიდენტმა ჟურნალისტებს ასეთი რამ განუცხადა: *"აქციონერთა საბჭომ კლუბის ადმინისტრაციას დაავალა, 30 ივნისს გაფართოებული ყრილობა მოიწვიოს. შეხვედრაზე "სოსიედადის" აქციონერები უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებას მიიღებენ. ბუნებრივია, ეს გადაწყვეტილება მას შემდეგ იქნება ლეგალიზებული, რაც საზოგადოებისთვის საინტერესო კითხვები დაისმება და ყველა კითხვას ამომწურავი პასუხი გაეცემა. სავარაუდოა, რომ 30 ივნისს ახალი ადმინისტრატორები აირჩევიან. ბუნებრივია, პრეზიდენტის საკითხსაც მოეფინება ნათელი."*

თანამდებობის მაძიებელთა ვალდებულებებსა და უფლებებზე "სოსიედადის" ვიცეპრეზიდენტმა, **დონია მარია დე ლა პენიამ** იმავე პრესკონფერენციაზე ისაუბრა: *"პიროვნებებს, რომლებსაც პრეზიდენტის თანამდებობაზე არჩევის სურვილი ექნებათ, დროულად უნდა წარმოადგინონ განცხადებები. აქციონერებმა აუცილებლად უნდა იცოდნენ, ვის რა გეგმა და პროექტი აქვს. ოფიციალურად ვაცხადებ, აბსოლუტურად ყველას თანაბარი შანსი ექნება. მსხვილ აქციონერებს პრიორიტეტი არ მიენიჭებათ. მთავარია, კარგი იდეები წარმოადგინონ. ასე რომ, დროა მოემზადონ დიდი ბრძოლისთვის."*

ჟურნალისტებმა "სოსიედადის" პრეზიდენტს პრიმერა დივიზიონში დარჩენის შანსებზეც ჰკითხეს. ურთულესი სიტუაციის მიუხედავად, სენიორ ფუენტესს იმედი არ დაუკარგავს: *"პამპლონაში უმნიშვნელოვანესი მატჩი წავაგეთ. ამ შეხვედრაზე უამრავი რამ იყო დამოკიდებული. სამწუხაროდ, შინ ნული ქულით დავბრუნდით. გულწრფელად ვაღიარებ, ამის შემდეგ პრიმერაში ადგილის შენარჩუნება გაცილებით უფრო გაგვიჭირდება, მაგრამ შეუძლებელი არაფერია. ყოველ შემთხვევაში, ვალდებულები ვართ, ბოლო წამამდე ვიბრძოლოთ. მაინც ოპტიმისტად ვრჩები. ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები. ბიჭები გადამწყვეტი ომისთვის ემზადებიან."*

პრესკონფერენციის მიწურულს, მასმედიელები დაინტერესდნენ, რამ განაპირობა აქციონერთა რიგგარეშე ყრილობის მოწვევა. ბუნებრივია, ჩვენს კოლეგებს მიაჩნიათ, რომ ამ გადაწყვეტილების მიზეზი გუნდის მიერ ნაჩვენები კატასტროფული შედეგებია. პრეზიდენტმა აღნიშნულ საკითხზე საუბარი არ ისურვა: *"ახლა არ გვაქვს იმის დრო, რომ სპეკულაციებში ჩავერთოთ. ყველამ ერთად "სოსიედადის" გადარჩენაზე უნდა ვიზრუნოთ. რა მნიშვნელობა აქვს, რატომ გადადგეს აქციონერებმა ეს ნაბიჯი? ძალიან გთხოვთ, სკანდალის აგორებას ნუ ეცდებით. 30 ივნისს ჩემს მიერ შესრულებულ სამუშაოს შეაფასებენ. თუ ჩათვლიან, რომ კრიზისი პრეზიდენტის ბრალია, უნდობლობას გამომიცხადებენ და სხვას აირჩევენ. არ გამოვრიცხავ, თანამდებობა შევინარჩუნო."*

ექსპერტებს მოვლენათა ამგვარი განვითარების ნაკლებად სჯერათ. ისინი თითქმის 100 პროცენტით არიან დარწმუნებული, რომ პრეზიდენტის სავარძელში **მიგელ სანტოსი** მოკალათდება. სხვათა შორის, ორი წლის უკან საპრეზიდენტო არჩევნებში მან მეორე ადგილი დაიკავა. ფუენტესმა მხოლოდ იმის გამო გაიმარჯვა, რომ მოწინააღმდეგეზე მეტ აქციას ფლობდა. სანსებასტიანელები მიხვდნენ, რომ პრიორიტეტის ამ მოტივით მინიჭება შეცდომა იყო. ამიტომ, ახლა ტაქტიკა შეცვალეს და ყურადღება კონკრეტული პროექტის ავ-კარგიანობას მიაქციეს. ამ ეტაპისთვის ცნობილია, რომ მიგელ სანტოსი არჩევის შემთხვევაში 80-მილიონიან ინვესტიციას მოიზიდავს. აქციონერები დარწმუნებულები არიან, ეს თანხა ეკონომიკურ სიტუაციას მნიშვნელოვნად გამოასწორებს. მნიშვნელობა არ აქვს, დარჩება თუ არა "სოსიედადი" ელიტარულ ლიგაში, ფული ნებისმიერ შემთხვევაში საჭიროა.

ილია ნიკოლაიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მივიწყებული სახელები. პატრიკ ბატისტონი

დიდება და სირცხვილი



შეჯახება ბატისტონსა და შუმახერს შორის

პატრიკ ბატისტონი, როგორც ფეხბურთელი, ბევრჯერ დააფასეს, მაგრამ გულშემატკივარს საფრანგეთის ნაკრების ყოფილი მოთამაშე ყველაზე მეტად უხეშობის შედეგად მიღებული მძიმე ტრავმის შემდეგ დაამახსოვრდა. დღეს, ევროპის 1984 წლის ჩემპიონი, "ბორდოს" ახალგაზრდული აკადემიის თავკაცია.

საბედისწერო ინციდენტი მოხდა 25 წლის წინათ, 1982 წლის 8 ივლისს, სევილიაში, მსოფლიო ჩემპიონატის ნახევარფინალში საფრანგეთისა და გფრ-ს ნაკრებს შორის დაპირისპირებისას. თამაშის 57-ე წუთზე, ბატისტონი, მაშინ "სენტ-ეტიენის" ფეხბურთელი, რომელმაც **ბერნარ ჟენგენი** 7 წუთით ადრე შეცვალა, წინ გაიჭრა ნახევარმცველის პასის მისაღებად. გერმანელთა მეკარე **ჰარალდ შუმახერი** პირდაპირ ფრანგის მიმართულებით წავიდა. შუმახერი მიხვდა, რომ ბურთს ვერ აიღებდა, ახტა და მთელი ძალით შეეჯახა ბატისტონს, რომელიც უგონოდ დაეცა. ბურთი კარისკენ გაგორდა, მაგრამ... გერმანია გოლს გადაურჩა. ჰოკეისთვის დამახასიათებელი ილეთი მოედნის გარშემო და მის შიგნით მყოფ ყველა სპეციალისტს გამორჩა, მათ შორის, ჰოლანდიელ მსაჯ **ჩარლზ კორვერს**, რადგან მთელი ყურადღება ბურთზე იყო გადატანილი. მოგვიანებით, მომენტის მრავალჯერ ნახვის შემდეგ, გამოაშკარავდა ინციდენტის სისასტიკე, თუმცა შუმახერი ამტკიცებდა, რომ ჰაერში ახტა, რათა მოწინააღმდეგისთვის მუხლი არ ჩაერტყა.

უგონოდ მყოფი ბატისტონი მოედნიდან საკაცით გაიყვანეს. **მიშელ პლატინი** მეგობარს ხელჩაკიდებული მიჰყვებოდა. საფინალო სასტვენის შემდეგ, შუმახერი ფეხზე ძლივს იდგა, მაგრამ მაინც მოიკითხა მეტოქე, რომელსაც ნეკნებისა და კბილების მოტეხილობა აღმოაჩნდა. *"პროფესიონალებს შორის სიმპათია არ არსებობს, მაგრამ ბატისტონის ორი კბილის გვირგვინის ფულს, მე გადავიხდი,"* - შუმახერის ამ გამონათქვამმა და ქცევამ ყველა შოკში ჩააგდო.

მეოთხედი საუკუნის შემდეგ, პატრიკ ბატისტონმა "ფიფა მეგეზინის" ფურცლებზე იშვიათი კომენტარი გაუკეთა ინციდენტს: *"ახლაც ვფიქრობ, რომ მისი მოქმედება გამიზნული იყო, თუმცა არ ეგონა, რომ ასეთ ტრავმას მოაყენებდა"*. მიუხედავად ამისა, ფრანგი მოსიე პატრიკი კვლავ ცდილობს, ამ უხეშობას პოზიტიური მხარე მოუნახოს. *"რა თქმა უნდა, ამას ყურადღებას არ მივაქცევდი, ჩემი დარტყმის შემდეგ ბურთი კარში რომ შესულიყო. 2:1 გახდებოდა ჩვენს სასარგებლოდ... ასეა თუ ისე, ალბათ, ეს ინციდენტი რომ არ მომხდარიყო, უფრო ნაკლებად ცნობილი ვიქნებოდი"*.

შერიგება

მიუხედავად იმისა, რომ საფრანგეთის ნაკრები უკეთესად თამაშობდა და დამატებით დროში ორბურთიანი სხვაობით დანინაურდა, დასავლეთგერმანულმა გუნდმა მდგომარეობის გამოსწორება მოახერხა და პენალტების სერიაში საბოლოოდ დაამარცხა ფინალში გასვლის აშკარა ფავორიტი. ბატისტონმა, რომელმაც ორი წლის შემდეგ ევროპის ჩემპიონატი მოიგო, მარცხში გამოუცდელობის ბრალი უარჰყო. როცა ერთ დროს მისი თანაგუნდელი **ალენ ჟირესი** ამ მატჩს ვიდეოჩანაწერში უყურებს, ყოველთვის აჩერებს კადრს 3:1-ზე, საფრანგეთის სასარგებლოდ...

საფრანგეთის ნაკრების შემადგენლობაში 56 მატჩგამოვლილი ბატისტონი, რომელიც 12 მარტს 50 წლისა შეიქნა, ინციდენტიდან რამდენიმე კვირის შემდეგ შუმახერს შესარიგებლად შეხვდა. *"ამ ამბავს უდიდესი გამოხმაურება მოჰყვა მედიაში. ჩვენმა ასოციაციებმა დაგვაძალეს შეხვედრა, რომლის დროსაც ყველაფერს ნათელი უნდა მოჰფენოდა. ჩვენ ეს ნაბიჯი ყველაზე პოპულარული თამაშის გულისთვის გადავდგით, მაგრამ მეგობრები არ გავმხდარვართ. მოგვიანებით, სხვა მატჩისას შევხვდით ერთმანეთს, მაგრამ გულგრილი "გამარჯობის" მეტი ერთმანეთისთვის არაფერი გვითქვამს"*, - აღნიშნა ბატისტონმა, რომელმაც ფეხბურთს თავი 1991 წელს დაანება, მას შემდეგ, რაც "ბორდოსთან" ერთად სამჯერ მოიგო საფრანგეთის ჩემპიონატი.

ლორენში დაბადებული ფეხბურთელი დღესაც "ბორდოს" ერთგულია, თანაც საფრანგეთის პირველი დივიზიონის კლუბის ახალგაზრდულ აკადემიას ხელმძღვანელობს. მისი სამუშაო ადგილი მდებარეობს უძველესი ციხესიმაგრის ტერიტორიაზე, უმდიდრესი სავარჯიშო ცენტრის შუაში.

თავმდაბლობა და პატიოსნება

კლუბში, რომელმაც უეფას ჩემპიონთა ლიგის 2006/07 წლების გათამაშების ჯგუფურ ფაზას მიაღწია, 15-20 წლის 70-მდე ნიჭიერი ფეხბურთელი ირიცხება. ცხრა მწვრთნელი, მათ შორის საფრანგეთის ნაკრების ყოფილი წევრი და კაპიტანი **მარიუს ტრეზორი**, ოთხ გუნდს ავარჯიშებს, ბატისტონი კი "ბორდოს" სარეზერვო გუნდზე ზრუნავს. ბატისტონი ამაყობს "ჟირონდენის" საფეხბურთო ბანაკით, სადაც კლუბი სასკოლო არდადეგებს ატარებს: *"იმ დროს, როცა აკადემიაში ფეხბურთელებს პროფესიული კარიერისთვის ვამზადებთ, სასკოლო არდადეგების პერიოდში "სახალისო ფეხბურთი" ბანაკის უმთავრეს მიზანს წარმოადგენს. ამ შეკრების დროს, შესაძლოა, ერთი-ორი უნიჭიერესი მოთამაშეც აღმოვაჩინოთ"*.

მიუხედავად იმისა, რომ ბატისტონი მცველი იყო, ამჟამად შეტევაზე ფოკუსირებულია. *"ხომ ამბობენ, რომ შეტევა დაცვის საუკეთესო ხერხიაო? თავდამსხმელებისა და შემტევი ნახევარმცველების მოძებნა და გაწვრთნა ძალიან ძნელი საქმეა. ევროპის საკლუბო ფეხბურთს ყურადღებით უნდა დააკვირდე, რომ არ გამოგრჩეს ნიჭიერი ახალგაზრდები. სამწვრთნელო პრაქტიკაში არის შემთხვევები, როცა ვერ ამჩნევ მოთამაშის ნამდვილ პოტენციალს, სანამ ის 20 წლის არ გახდება. უნდა გაერკვე, რომელია დასატოვებელი პროფესიონალებში, რომელია გასაგზავნი მოწინააღმდეგეთა ბანაკში, რომელია გასაყიდად მოსამზადებელი და რომელია დასატოვებელი მოყვარულთა კლუბში, ანაც რომელს უნდა ურჩიო, რაიმე სხვა სამუშაო იშოვოს"*.

ბატისტონი ადრეულ წარმატებებზე ახალგაზრდებთან იშვიათად საუბრობს: *"მათ არ სურთ ამის გაგონება"*. ასეა თუ ისე, ორი შვილის მამა ცდილობს, საკუთარ შეგირდებს ჩაუნერგოს თავაზიანობა და პატივისცემა მეტოქის მიმართ, თანაც ასწავლის, რომ წარმატებას ვერ მიაღწევ, თუ თავდაუზოგავად არ იშრომე.

"ყველაფრის მიუხედავად, მათ მიაჩნიათ, რომ მოვლენების გაკონტროლებას შეძლებენ, რადგან აქვთ მობილური ტელეფონები, ინტერნეტი და ფიქრობენ, რომ წარმატების მისაღწევად ნიჭიც საკმარისია. ვცდილობ, დავარწმუნო ისინი, რომ ფეხბურთში ვერაფერს მიაღწევ, თუ არ იშრომე, ისევე, როგორც ჩვეულებრივ ცხოვრებაში", - ამბობს ბატისტონი და დასძენს:

"ვფიქრობ, ცხოვრებაში სერიოზული უნდა იყო, მაგრამ საკუთარი თავი არ უნდა აღიქვა სერიოზულად. აი, ასეთია ჩემი ფილოსოფია".

FIFA magazine-ის
მიხედვით მოამზადა
დავით ჩუბინიძემ

ლაუთი ჰამბურგში ბრუნდება

ბენიამინ ლაუთი, რომელიც "ჰამბურგმა" ზამთარში "შტუტგარტიდან" ნასესხები ერგო, ისევ HSV-ში ბრუნდება. როგორც გაირკვა, გერმანიის ჩემპიონს ერთ დროს უნიჭიერესი თავდამსხმელი არ სჭირდება - "შტუტგარტი" ლაუთს არ იტოვებს. არენდის კონტრაქტში ჩადებული იყო პუნქტი, რომლის თანახმადაც, თუ ლაუთი "შტუტგარტის" ბოსებს თავს მოაწონებდა და ისინი "ჰამბურგს" 1.3 მილიონ ევროს გადაუხდიდნენ, ბენი შვაბენლანდური კლუბის მფლობელობაში გადავიდოდა. მაგრამ "შტუტგარტი" ამ პუნქტს არ გამოიყენებს და ფეხბურთელიც იძულებულია, რომ ძველ გუნდს დაუბრუნდეს. არადა, ლაუთი HSV-საც არ სჭირდება და მზადაა, ზემოთ ხსენებული თანხის მილების შემთხვევაში, გაყიდოს. "კიკერის" ცნობით, ლაუთის გადაბირება "ჰანოვერმა" მოისურვა.

რიკენი უფასოა, მაგრამ არავის უნდა

დორტმუნდის "ბორუსია" მზადაა, **ლარს რიკენი** უფასოდ გაუშვას, თუკი ამ უკანასკნელს მთხოვნელი გამოუჩნდება. მიუხედავად იმისა, რომ 30 წლის ნახევარმცველს BVB-სთან კონტრაქტი 2009 წლამდე აკავშირებს, დორტმუნდელები მას უფასოდ შეელევიან. *"მზად ვართ, ლარსი ყოველგვარი საზღაურის გარეშე დავთმოთ,"* - განაცხადა გუნდის სპორტულმა დირექტორმა **მიხაელ ცორკმა**. მაგრამ რიკენი არავის უნდა! საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ 1997 წლის ჩემპიონთა ლიგის ფინალის გმირი მომავალ სეზონში "ბორუსიის" მოყვარულთა რიგებში იასპარეზებს.

გერმანიის ნაკრები

კლოზესთვის სან მარინო მისწრებაა

მიროს ახლა ყველაზე მეტად გოლები სჭირდება

შაბათს გერმანიის ნაკრები სან მარინოს უმასპინძლებს და ბუნდესმწვრთნელ **იოახიმ ლიოვისთვის** ეს რიგით მე-10 მატჩი იქნება ალემანთა პირველი გუნდის თავკაცის რანგში. იოგიმ ფეხბურთელები გუშინწინ ჰერცოგენაურახში შეკრიბა. ჟურნალისტების მხრიდან ყველაზე დიდი ინტერესი **მიროსლავ კლოზემ** გამოიწვია, რაც ნამდვილად არაა გასაკვირი, რადგან ტრავმების გამო, ბუნდესგუნდს **მიხაელ ბალაკი, ლუკას პოდოლსკი** და **ბასტიან შვაინშტაიგერი** არ ჰყავს. თანაც, კლოზე ბოლოდროინდელი მოვლენების გამო, მეტად არასახარბიელო მდგომარეობაშია. *"კლოზეს ყველაფერი ერთად დაატყდა თავს და იმედი მაქვს, რომ გერმანიის ნაკრებში ჩატარებული ორი შეხვედრა მას კრიზის დაძლევაში დაეხმარება,"* - განაცხადა ლიოვმა.

კლოზეს კრიზისი კი აშკარაა. დავიწყოთ იმით, რომ მეორე წრეში 1157 წუთის განმავლობაში გოლი არ ჰქონდა გატანილი. უეფას თასის ნახევარფინალში სიმულანტობის გამო, მოედნიდან გაძევეს - არადა, მირო 2005 წელს ფეარ პლეის პრიზით იქნა დაჯილდოვებული. ამასთან, მას "ვერდერის" ფანებთან ურთიერთობა ძალიან გაუფუჭდა. მიზეზი ისაა, რომ მირო "ბაიერნის" ხელმძღვანელებს საიდუმლოდ შეხვდა. ბრემენელმა გულშემატკივრებმა მას ეს დღემდე ვერ აპატიეს. მეტიც, ფანთა ერთი ნაწილი კლოზეს "ბაიერნში" გაყიდვას ითხოვს - ასე ფული მაინც შეგვრჩებაო.

"თუ მიროს ჩემი რჩევები სჭირდება, მზად ვარ მოვუსმინო და ყველაფერი ვუთხრა, რასაც მის მომავალზე ვფიქრობ. მას აუცილებლად დაველაპარაკები და თუ სურვილს გამოთქვამს, ჩემს აზრს ვეტყვი, მაგრამ გადაწყვეტილება მაინც თვითონ უნდა მიიღოს. ფაქტი ის არის, რომ მას ახლა გოლები სჭირდება, რაც შეიძლება ბევრი გოლი, რათა კრიზისიდან გამოვიდეს," - ამბობს ლიოვი. ამრიგად, სან მარინოსთან თამაში, რომელსაც ბუნდესგუნდმა გასვლითი მატჩი 13:0 მოუგო, კლოზესთვის პირდაპირ მისწრებაა. რაკი ბალაკი ლაზარეთშია, გერმანიის ნაკრებს ამ მატჩებში **ბერნდ შნაიდერი** უკაპიტნებს, რომელიც პირობას დებს, კლოზეს საგოლე გადაცემებით დავანაყრებო...

ვალენსია

სოლერმა ფლორესი დაიცვა

მწვრთნელი ახალ კონტრაქტს გააფორმებს, კარბონის კი ჩემოდნების ჩალაგება მოუწევს...

მიმდინარე სეზონის დასრულებიდან მცირე დროში, "ვალენსიაში" დიდი ამბები მოხდება. ესპანური ფეხბურთის ნიუანსებში გაცნობიერებულ ადამიანებს მოეხსენებათ, რომ "ღამურების" მთავარ მწვრთნელსა და გენერალურ დირექტორს უკიდურესად დაძაბული ურთიერთობა აქვთ. **ამადეო კარბონი** მცირე ხნის წინათ ჯერაც ფეხბურთელი იყო და დამრიგებლის მითითებებს უსიტყვოდ ემორჩილებოდა, მაგრამ კარიერის დასრულების შემდეგ იტალიელი მმართველობაში აღმოჩნდა. ახალმა გენერალურმა დირექტორმა მწვრთნელს ფარული ბრძოლა გამოუცხადა. ბუნებრივია, ამგვარი ურთიერთობები გუნდს სიკეთეს ვერ მოუტანს. შექმნილ სიტუაციაში გადამწყვეტი სიტყვა პრეზიდენტმა უნდა თქვას. აღსანიშნავია, რომ გულშემატკივრების უდიდესი ნაწილი **კიკე ფლორესის** მუშაობით უკმაყოფილოა. "მესტალიაზე" გამართულ ბოლო შეხვედრებში ინჩასები "ღამურების" თავკაცს ნამდვილ ობსტრუქციებს უწყობდნენ. ერთი შეხედვით, სენიორ კიკე განწირული იყო, თუმცა პრეზიდენტის, **ხუან ბაუტისტა** სოლერის გუშინდელმა პრესკონფერენციამ აბსოლუტურად განსხვავებული რეალობა გამოააშკარავა: *"მთავარი მწვრთნელის მუშაობის შეფასებისას დირექტორატი არ არის ერთსულოვანი, თუმცა უდიდესი უმრავლესობა სენიორ ფლორესს უჭერს მხარს. მეც მათ შორის ვარ. მიმაჩნია, რომ კიკემ გასული წლების განმავლობაში მრავალი წარმატება მოგვიტანა. გადავწყვიტე, ამ ზაფხულს კონტრაქტი გავუხანგრძლივო. სეზონის დასრულებისთანავე მოლაპარაკებათა მაგიდას მივუსხდებით, დეტალებს შევათანხმებთ და ახალ ხელშეკრულებას გავაფორმებთ. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, კიკე ფლორესის დონის მწვრთნელები სანთლით საძებარნი არიან."*

სენიორ სოლერის სიტყვებიდან გამომდინარე შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ამადეო კარბონის ვალენსიური კარიერა დასრულებულია. მოტივი მარტივია, წარმოუდგენელია, ფლორესმა და იტალიელმა ახალ სეზონშიც ერთ ორგანიზაციაში იმუშაონ.

კიკე ფლორესი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰაღათბურთი

ლეგიონერები

ცინცაძე ესტონეთის ჩემპიონია

გიორგი ცინცაძის "ტარტუ როკმა" ესტონეთის ჩემპიონატის ფინალური სერიის მეექვსე მატჩში სტუმრად "კალევი" დაამარცხა (82:72) და ქვეყნის ჩემპიონობა მოიპოვა.

გადამწყვეტ შეხვედრაში ქართველ გამთამაშებელს მონაწილეობა არ მიუღია (მას ფეხის ტრავმა აქვს), მაგრამ მაინც თამამად შეიძლება ითქვას, რომ "როკის" გაჩემპიონებაში დიდი წვლილი მიუძღვის. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, გიორგიმ ტარტუელებს ფინალური სერიის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი, მესამე შეხვედრა სტუმრად მოაგებინა (თანაგუნდელები 2:1 დააწინაურა): ტალინში გამართული მატჩის ბოლო წამზე ცინცაძე მეტოქის ფარქვეშ შეიჭრა, თან რამდენიმე მეტოქე გაიყოლა და პერიმეტრთან მყოფ თავისუფალ თანაგუნდელს გამარჯვების ქულა ჩააგდებინა - 75:74. გახარებული "როკერები" ქართველ გამთამაშებელს დაეხვივნენ და "ბუმ" სწორედ ზედახორისას მიიღო ფეხის ტრავმა. როგორც ექიმები ამბობენ, დაზიანება სერიოზული არ არის და გიორგის ვარჯიშის ერთ კვირაში განახლების საშუალება მიეცემა.

...ამასობაში ესტონეთის ჩემპიონატიც დასრულდა და ცინცაძეს ვარჯიშის დაწყების აუცილებლობა არ აქვს - 18 ივლისამდე შეუძლია დაისვენოს. ამ დღეს კი ეროვნული ნაკრები იკრიბება.

ესტონეთში დავბრუნდეთ, სადაც ქართველმა გამთამაშებელმა წარმატებული სეზონი ჩაატარა. ამას "ბუს" მონაგარიც მოწმობს. ფლეი ოფში 9 მატჩი ჩაატარა, 59 ქულა (საშუალოდ 6.6), 26 მოხსნა (2.9) და 27 პასი (3.0) ჩაიწერა. ფლეი ოფის რეგულარულ პირველობასთან შეჯამების შემდეგ ვიღებთ საბოლოო შედეგს: 24 მატჩი, საშუალოდ 23 წუთი, 65 მოხსნა (3.0) და 69 პასი (3.1). თუ ცინცაძის გამოსვლა სეზონი დასაწყისიდან ბოლომდე სტაბილური იყო, "ტარტუ როკმა" მეტად არათანაბრად ითამაშა: შემოდგომით "კალევს" რამდენჯერაც შეხვდა, იმდენჯერ მოუგო, მაგრამ გაზაფხულზე ტალინელებთან ყველა ოთაბრძოლა დათმო. "როკმა" უცნაურად ითამაშა ფინალურ სერიაშიც - სტუმრად 3 მატჩი მოიგო, ხოლო "კალევმა" ორი გამარჯვება "ტარტუს" მოედანზე იზეიმა. ფინალი "როკმა" 4:2 მოიგო.

ვაჟა სიმონიშვილი

სანიკიძეს სან ანტონიომ უნდა

თუ კემპზე მოეწონათ, დატოვებენ

გუშინ ერთ-ერთ ესპანურ ინტერნეტსაიტზე "ესტუდიანტესში" მიმდინარე რეფორმებზე ეწერა: გაისად შემადგენლობა ამერიკელების ხარჯზე ერთი-ორად გაძლიერდება და სტუდენტები ევროსაგზურებისთვის იბრძოლებენო. იქვე ჩამოთვლილი იყო კლუბიდან წამსვლელ-დამრჩენთა ვინაობაც, მაგრამ **ვიქტორ სანიკიძეზე** იმდენად ბუნდოვნად ეწერა, ვერც ელექტრონულმა მთარგმნელმა გვიშველა. ამიტომ ვიქტორის თბილისში დაბრუნების ვადების დასადგენად მის სახლში დავრეკეთ.

გავარკვიეთ, რომ იგი "ესტუდიანტესს" მხოლოდ იმ შემთხვევაში დატოვებს, თუ NBA-ს კლუბი "სან ანტონიო" სანიკიძის ამერიკაში ნაყვანას მოინდომებს. თუ ასე არ მოხდა, ქართველი კვლავ ესპანეთში დარჩება. მას ხომ კლუბთან კიდევ ერთწლიანი კონტრაქტი აკავშირებს.

ისიც შევიტყვეთ, რომ ვიქტორი გუშინ ამერიკიდან მადრიდში დაბრუნდა - ესპანეთში სეზონის დასრულების შემდეგ მეგობრებთან, **დათო საყვარელიძესთან** და **ლაშა ფარლალავასთან** (ეს უკანასკნელი ფლორიდის კოლეჯში ირიცხება) ერთად, ფლორიდაში ისვენებდა. ხოლო მადრიდიდან თბილისში ივნისის დასაწყისში გადმოფრინდება.

ერთი-ორად საინტერესო და გადატვირთულია სანიკიძის საზაფხულო გეგმები. იგი "სან ანტონიომ" სამ კემპზე დაიბარა. მათგან პირველში, ივნისში გასამართ ღონისძიებაში ვიქტორი მონაწილეობას არ მიიღებს, ზაფხულის პირველ თვეს დასვენებისთვის გამოიყენებს, ხოლო ივლისში "სპურზის" ახალბედებს ორი კემპი ელით, ჯერ - ლას ვეგასის, შემდეგ - სოლტ ლეიკ სიტის. ამ ორ კემპ-გამოცდაში მიღებულ ნიშნებზე იქნება დამოკიდებული სანიკიძის "სან ანტონიოლში" დარჩენა-არდარჩენის საკითხი...

კალთბურთში ჩახედულ მკითხველს ემახსოვრება, რომ საქართველოს ნაკრები 18 ივლისს იკრიბება, ხოლო 23-ში ბულგარეთის საერთაშორისო ტურნირი ელის. ვიქტორს ეროვნული გუნდის შეკრებაზე რომ დააგვიანდება, წინასწარაა ცნობილი, თუმცა ჩამოუსწრებს თუ არა ბულგარულ შეჯიბრებას, ძნელი სათქმელია. ასეა თუ ისე, "ესტუდიანტესის" ფორვარდი ნაკრებს კარგად მომზადებული უნდა შეუერთდეს.

ვაჟა სიმონიშვილი



ვიქტორ სანიკიძე

ჩოგბურთი

სტამბოლში უდანაკარგოდ

თურქეთის ქალაქ სტამბოლში 10-ათასიანი ქალთა ტურნირი მიმდინარეობს. ჰარდის კორტებზე ოთხი ქართველი ჩოგბურთელი ცდის ბედს. პირველი წრე ოთხივემ გაიარა. გუშინ მერვედფინალში **სოფიო შაფათავას, მანანა შაფაქიძესა** და **სოფიო ქვაცაბაიას თინათინ ყავლაშვილიც** შეუერთდა. 20 წლის ყავლაშვილმა ავსტრალიელი თინეიჯერი **ჯეიდ ჰოფერი** დაამარცხა - 6:2, 6:4.

მერვედფინალში მეშვიდე ნომრად განთესილი სოფიო შაფათავა ბულგარელ **იულია ველიევას** შეხვდება. მერვე ნომრად განთესილი მანანა შაფაქიძის მეტოქე კი რუსი **ანასტასია შჩილინსკაია**. სოფიო ქვაცაბაიას ქართველთაგან ყველაზე სერიოზული მეტოქე ჰყავს, 17 წლის ბრიტანელი **კატარინა ბრაუნი** (878). ყავლაშვილის მეტოქე სლოვენიელი **მაია კამბიჩია**.

სტამბოლში წყვილთა თანრიგის პირველი წრის მატჩებიც გაიმართა, მანანა შაფაქიძე და სოფიო ქვაცაბაია მე-3 ნომრად არიან განთესილები, ისინი პირველ წრეში ისვენებდნენ. თინათინ ყავლაშვილისა და სოფიო შაფათავას დუეტმა კი გერმანელი **კასტილიო** და რუსი **ბოგაჩევა** დაამარცხა - 6:3, 6:2.

ოქსანას იაპონელი გამოცდის

ბელგიაში 18-წლამდელ ჩოგბურთელთა პირველი კატეგორიის ტურნირი "ასტრიდ ბოული" მიმდინარეობს, იქ ერთი ქართველი შემორჩა გათამაშებას - 16 წლის **ოქსანა კალაშნიკოვა**, მსოფლიოს 30-ე ჩოგანი ახალგაზრდებში. ოქსანა ტურნირის ორგანიზატორებმა მე-8 ნომრად განთესეს, პირველი წრიდან ის თავისუფალი იყო. მეორე წრეში კალაშნიკოვამ იოლად მოუგო ფრანგ **ჯესიკა კოენს** - 6:1, 6:1. "ასტრიდ ბოულის" მერვედფინალში ოქსანას მეტოქე მე-9 ნომრად განთესილი იაპონელი **კურუმი ნარა** იქნება. ბიჭებში მეორე საკვალიფიკაციო წრეში დამარცხდა **ნიკოლოზ ბასილაშვილი**. სხვათა შორის, 1998 წელს "ასტრიდ ბოული" **ირაკლი ლაბაძეს** აქვს მოგებული. შეგახსენებთ, რომ ამ ტურნირის დასრულებისთანავე ოქსანა კალაშნიკოვა შარლეროუადან პარიზში გაემგზავრება, სადაც "როლან გაროსის" ახალგაზრდულ ტურნირში ითამაშებს, იქ **ლაზარე კუხალაშვილიც** იასპარეზებს.

ნიკოლოზ ნეფარიძე

კიდევ ერთი დღე მოყვარულთათვის

იან ჰომერის სახელობის საჩოგბურთო კორტებზე რიგით მეორე ტურნირი ჩატარდა ვეტერან და მოყვარულ ჩოგბურთელთათვის. კომპანია "ქართული ჩოგბურთი" და ვეტერან და მოყვარულ ჩოგბურთელთა ფედერაცია აქტიურად ეწევა საქართველოში ჩოგბურთის პოპულარიზაციას. ამ მიზნით ერთი თვის წინათ "პეჟოს" სახელობის თასი გათამაშდა. ამჯერად ტურნირს "კოკა-კოლა", "ბორჯომი" და სხვა კომპანიები უწევდნენ დახმარებას. მონაწილეებს სურვილისამებრ შეეძლოთ ერთეულთა თანრიგშიც ეთამაშათ და წყვილებშიც. მონაწილეთა დიდმა უმრავლესობამ ორივე ფრონტზე ისურვა ბრძოლა, იმ იმედით, რომ არ გაუჭირდებოდათ, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ბევრად დიდი ენერგიის გაღება ყოფილა საჭირო...

საქმე ის გახლავთ, რომ "პეჟოს" თასზე წყვილთა შორის გაიმართა ტურნირი და გამარჯვებული სამ სეტში ვლინდებოდა. მაშინ ასეთმა წესმა მრავალთა უკმაყოფილება გამოიწვია - "გახურებასაც" ვერ ვასწრებთ და თამაში მთავრდებაო (ქულები ტაი-ბრეიკის სისტემით ინერებოდა). ამჯერად ორგანიზატორებმა ხუთი სეტი დაანესეს. ამან კი ძალიან დიდი ენერგია წაიღო - ასეთივე წესით ვლინდება გამარჯვებულები ერთეულთა შორისაც.

ქალბატონებში 13 მსურველი შეიკრიბა, ვაჟთა შორის კი - 38, წყვილებში - 30. წყვილთა ტურნირში შერეულ წყვილებსაც შეხვდებით, რაც არ იყო აკრძალული. ძირითადად, მაინც კაცთა დუეტები შეიქმნა და მთავარი ყურადღებაც მათ მიიპყრეს: ფინალში **მიხეილ ფრიდმანისა** და **ბესარიონ ჭიჭინაძის** წყვილმა **იური წივწიკაძისა** და **კარლო მეზურნიშვილის** დუეტი დაამარცხა ორ სეტში - 4:2, 4:1. უნდა აღვნიშნოთ, რომ ნახევარფინალებიდან გეიმები ჩვეული წესით თამაშდება, მხოლოდ რაოდენობა იყო ოთხამდე შემცირებული.

ქალთა შორის **ოფელია ბიჩინაშვილმა თამარ იმნაძე** დაამარცხა - 4:1, 4:0. ძალიან დაძაბულად წარიმართა შეხვედრები ვაჟთა შორის. ფინალში **ალექსანდრე გეგეჭკორი** და **დავით ასათიანი** შეხვდნენ ერთმანეთს. უკომპრომისო შეხვედრაში გეგეჭკორმა იმარჯვა, რომელმაც ორ სეტში კი მოიგო, მაგრამ პირველში ტაი-ბრეიკის მოგება დასჭირდა - 5:4; მეორეში კი შედარებით იოლად იმარჯვა - 4:1.

პრიზიორები ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოეს - სპორტული მაისურები და კომპანია "ბადაგონის" ერთი ბოთლი ღვინით; გამარჯვებულებს კი ფირმა "ლაფორტის" ძვირადღირებული მაისურებიც ერგოთ. მთავარი ჯილდო კი მედლები გახლდათ, რომელიც ეროვნულმა ზარაფხანამ დამზადა.

"ქართული ჩოგბურთის" პრეზიდენტმა **დავით ლანჩავამ** ყველას მადლობა გადაუხადა და იმედი გამოთქვა, რომ ჩოგბურთის პოპულარობა საქართველოში კიდევ უფრო გაიზრდება და მრავალი ქართველი აიღებს ჩოგანს ხელში.

უახლოესი ტურნირი, სადაც ვეტერანებს და მოყვარულებს შეეძლებათ ერთმანეთთან გაჯიბრება, ამ შაბათ-კვირას ბათუმში შედგება.

ზვიად შათირიშვილი

კულახსზიანი მეორეზე დარჩა

კრივი. უკრაინის ქალაქ ბელაია ცერკოვში დასრულდა საერთაშორისო ტურნირი ახალგაზრდა მოკრივეთა შორის. როგორც გუშინ გაცნობეთ, კახა ლაზარაშვილი (54 კგ) და გაგა ელიაშვილი (75) ბრინჯაოს მედლების კავალერები გახდნენ, არტიომ კულახსზიანის (60) კი ფინალში უნდა ეჩხუბა. როგორც გუშინ საქართველოს კრივის ფედერაციიდან გვაცნობეს, კულახსზიანმა ჩემპიონობისთვის ბრძოლა მასპინძელ მოკრივესთან დათმო და ვერცხლის მედალს დასჯერდა.

საკრივო თემა ეროვნული ნაკრებით დავასრულოთ. გუნდი მსოფლიო ჩემპიონატისთვის სამზადისს აგრძელებს. **ავთანდილ შოშიაშვილის** შეგირდები ბათუმში გაერიდებიან დედაქალაქურ ხვატს, სადაც საერთო ფიზმომზადების კურსს გაივლიან. 1 ივლისს კი გუნდი ბელორუსის დედაქალაქს მიაშურებს მასპინძლებსა და აზერბაიჯანელებთან ერთობლივი შეკრების გასავლელად. შეკრება ათი დღე გაგრძელდება, რის შემდეგაც ჩვენი ნაკრები იქვე, მინსკის საერთაშორისო ტურნირზე იასპარეზებს.

კობა ხატისაშვილი

სეულის ბადეში ვერ მოხვდნენ

ჭლაჟბურთი. სამხრეთ კორეის დედაქალაქ სეულში მსოფლიო ტურის მორიგი ეტაპი დაიწყო. აქ მხოლოდ ქალები ასპარეზობენ. ვაჟები ძალებს იკრებენ ზაგრების ეტაპისთვის, რომელიც კვირის თავზე დაიწყება. სამწუხაროდ, სეულში გათამაშება ქართული წყვილის, **საქა-რთველოს** გარეშე გაგრძელდება. ჩვენი დუეტი, რომელიც საკვალიფიკაციო ეტაპზე მე-17 ნომრად იყო განთესილი მე-16 ნომრებთან, კანადელ ფრენბურთელებთან **ანი მარტინთან** და **ელიზაბეტ კუკთან** დამარცხდა 1:2 (21:19, 20:22, 13:15). საქა-რთველო ახლა გეზს პოლონეთისკენ აიღებს სადაც ერთ კვირაში მსოფლიო ტურის მორიგი ეტაპი დაიწყება. ამასობაში გამოქვეყნდა მსოფლიო რეიტინგის ახალი მონაცემები. ვაჟებში გეორ-გია 510 ქულით მე-16 ადგილზეა. ქალებში კი საქა-რთველოს 198 ქულით 27-ე ადგილი უკავია.

ბესიკ ჯანგავაძე

სპორტის აკადემია

N 5 (41)
მაისი
2007

საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის გამოცემა



სტარტზეა 69-ე...

აკადემიის რექტორის, ბატონ ჯემალ გუგუშვილის ისედაც არანორმირებული სამუშაო დრო, ახლა უკიდურეს ზღვრამდე გადატვირთულია. გასაგებია რატომაც - ერთიანი ეროვნული გამოცდების წინ ყველაფერი უმაღლეს დონეზე უნდა მოგვარდეს. აკადემიაში შესვლის მსურველებმა უნდა ჩააბარონ სპეციალობის მიხედვით ნორმატივები საერთო ფიზიკურ მომზადებაში. ასე რომ, ათასობით აბიტურიენტი და აკადემიის მიმღები კომისია, როგორც იტყვიან, საგამოცდო ფერხულში უკვე ჩაბმულნი არიან. რედაქციის შეკითხვებს უპასუხებს მიმღები კომისიის თავმჯდომარე, ბატონი ჯემალ გუგუშვილი.

- ბატონო ჯემალ, უპირველესად გილოცავთ აკადემიის ისტორიაში წლეულს აბიტურიენტთა რეკორდული რაოდენობის დაფიქსირებას.

- დიახ, ერთიანი ეროვნული გამოცდების ცენტრიდან ჩვენთან გადმოგზავნილია 2313 აბიტურიენტის სია. ეს ის კონტინგენტია, რომლებსაც ჩვენს აკადემიაში სურთ უმაღლესი განათლების მიღება ფიზიკური აღზრდის ფაკულტეტის მწვრთნელთა, პედაგოგიურ და სამკურნალო ფიზკულტურისა და რეაბილიტაციის სპეციალობებზე. ამდენი მსურველი არც შარშან და არც არასდროს ყოფილა. წლევანდელი მისაღები გამოცდები კი რიგით 69-ეა.

- რომელ სპეციალობაზეა ყველაზე მეტი მოთხოვნა?

- აბიტურიენტთა დიდი ნაწილის სურვილია, დაეუფლონ მწვრთნელის სპეციალობას სპორტის ცალკეული სახეობების მიხედვით.

- ნორმატივები ყველასთვის ერთნაირია?

- არა, მწვრთნელთა სპეციალობებზე საერთო ფიზიკური მომზადების გარდა, შეტანილია სპორტის შესაბამისი სახეობის სპეციფიკური ნორმატივები.

- თქვენ თქვით, რომ დიდი მოთხოვნაა მწვრთნელთა სპეციალობებზე. აბიტურიენტები პრიორიტეტს მაინც სპორტის რომელ სახეობას ანიჭებენ?

- ფეხბურთს. აქ ძალიან დიდი კონკურსია, ანუ ბევრ ფეხბურთელს სურს, გახდეს მწვრთნელი.

- 2313 განცხადება რამდენ ადგილზეა შემოსული?

- ლიმიტით წლეულს 537 აბიტურიენტი გახდება სტუდენტი.

P.S. ნორმატივები ჩაბარდება 18-23 ივნისს, სპეციალობების მიხედვით. 4 და 11 ივნისს დანიშნულია "ღია კარის დღე". პირველი "ღია კარის დღე" 28 მაისს ჩატარდა.



გადააბიჯეთ ზღვარს სიკეთისთვის...

ვაგრძელებთ საუბრებს აკადემიის დეკანებთან. ამჯერად, გაზეთის სტუმარია პედაგოგიური ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი რამაზ კიკვაძე.

დოსიე

დაიბადა 1941 წელს. დაამთავრა თბილისის სახ. უნივერსიტეტი 1964 წელს ფიზიკოს თეორეტიკოსის სპეციალობით. არის ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, 45 სამეცნიერო შრომისა და 5 გამოგონების ავტორი. 1975-2006 წლებში მუშაობდა საქართველოს სახ. ზოოტექნიკურ-სავეტერინარო უნივერსიტეტის ფიზიკის კათედრის გამგედ. 2006 წლის სექტემბრიდან საქართველოს სახ. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის პედაგოგიური ფაკულტეტის დეკანია.

- ბატონო რამაზ, სპორტის აკადემიაში მოსვლამდე საკმაო გამოცდილება გაგაჩნდათ პედაგოგიურ სფეროში. რამდენად განსხვავებულ გარემოში აღმოჩნდით, რა თავისებურებებისთვის გიწევთ აენგარიშის გაწევა?

- პედაგოგიკაში მთავარი ის კი არ არის, რომ ესა თუ ის საგანი კარგად ასწავლო, არამედ მთავარია, კარგად ასწავლო თუ როგორ უნდა ასწავლონ მოსწავლეს. დღეს მიწევს გათვალისწინება იმ თავისებურებებისა, რომ ერთია სპორტის ცოდნა და მეორეა უხელმძღვანელო სასწავლო პროცესს, რომლის მთავარი მიზანია ფიზიკური აღზრდის პედაგოგის მომზადება, რომლებმაც შემდგომში მოსწავლე-ახალგაზრდას უნდა შეაყვაროს სპორტი და ჯანსაღი ცხოვრების წესი. ამასთან, ვცდილობ ჩემი ცოდნა გამოვიყენო სპორტის ზოგიერთი სახეობის მეთოდიკის გასაუმჯობესებლად. ასე, მაგალითად, პროფ. დურმიშხან ჩიტაშვილთან ერად, ვფიქრობთ, გარკვეული სიახლე შევიტანოთ შუბისა და ბირთვის ტყორცნის, სიმაღლესა და სიგრძეზე ხტომის მეთოდიკაში.

- განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმამ, თქვენი აზრით, განსაკუთრებით რა კუთხით შეცვალა ადრინდელი მიდგომები. ანუ, კონკრეტულად, რა სიახლეებთან გვაქვს საქმე?

- რეფორმა ყოველთვის მტკივნეული პროცესია. ნებისმიერი სიახლე სირთულეებთანაა დაკავშირებული. ადრე თუ სტუდენტს ეშინოდა ადმინისტრაციული სასჯელისა და მეცადინეობებს არ აცდენდა, დღეს მისთვის მიცემულმა გარკვეულმა თავისუფლებამ ეს შიში მოუხსნა. ახალგაზრდობა ჯერ კიდევ არაა მისული იმ დონემდე, რომ გაიაზროს, რაც მის გარშემო ხდება. მან ჯერ კიდევ ვერ გაიგო, ვერ გაითავისა, ვერ დაინახა, რომ საბაზრო ეკონომიკის პირობებში ინტელექტი ყველაფერზე უფრო ძვირადღირებული ფასეულობაა. ვისაც სწავლა და ცოდნა აინტერესებდა, დღესაც კარგად სწავლობს. ეს ეხება იმ ახალგაზრდებს, რომლებიც მშობლების ძალდატანებითა და ჩხუბით დადიოდნენ სკოლაში. დღეს ერთი მთავარი ამოცანაა, შევაგნებინოთ და ამ გზით ვაიძულოთ სტუდენტი, შევიდეს აუდიტორიაში.

გაგრძელება მომდევნო გვერდზე

ორი მედალი, ორი ლიცენზია

ჩვენი ნაკრები ქართველთა სათვისტომოსთან და კონსულთან ერთად

ვილნიუსში ევროპის ჩემპიონატში კიოკუშინკაი კარატეში 28 ქვეყნის 550 სპორტსმენი მონაწილეობდა. საქართველოს ეროვნული ნაკრები, რომელიც ყველა ოფიციალურ შეჯიბრებაში სპორტის აკადემიის სახელით ასპარეზობს, ექვსი სპორტსმენით იყო წარმოდგენილი.

ედუარდ ჯანაოშვილმა და **ემზარ ნიქაცაძემ** ვერცხლის მედლები მოიპოვეს. გუნდმა კი არაოფიციალურ ჩათვლაში მე-5 ადგილი დაიკავა. ჯანაოშვილს მტვრევის ტექნიკის დემონსტრირებისთვის სპეციალური პრიზიც გადაეცა. ყველაზე მნიშვნელოვანი კი ის არის, რომ ქართველმა სპორტსმენებმა მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობის 2 ლიცენზია მოიპოვეს. ეს ჩემპიონატი 4 წელიწადში ერთხელ, იაპონიაში ტარდება. წლეულს, 13-14 ოქტომბერს, ტურნირს ტოკიო უმასპინძლებს.

"დიდი მადლობა გაწეული დახმარებისთვის აკადემიის ხელმძღვანელობას, ლიტვაში საქართველოს კონსულს, ბატონ გია ქერდიყოშვილს და ვილნიუსში მცხოვრებ ქართველებს", - თქვა საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **ირაკლი დოლაბერიძემ**.

მომდევნო გვერდზე გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები

თარაზულად: 1. ადიდასი. 4. ბარსელონა. 8. ეში. 9. იაშვილი. 11. კორტი. 13. ფალავანდიშვილი. 14. ჩუი. 15. ვითა. 16. სელტა. 18. ავერსი. 19. რეგატა. 22. რიქშა. 24. გო. 26. ტანდემი. 27. აპოლონი.

შვეულად: 2. დაშნა. 3. ასი. 4. ბრიჯი. 5. როი. 6. ოქრო. 7. ალიოხინი. 10. ანა. 11. კალოევი. 12. სანაია. 13. ფავორიტი. 14. ჩარი. 16. სარმა. 17. ტაიმი. 20. განა. 21. უშბა. 23. ნხლ. 25. ოფი.

განათლების რეფორმა

- რას გვეტყვით ბოლონიის პროცესის შესახებ?

- ბოლონიის უნივერსიტეტი ევროპის ერთ-ერთი უძველესი უნივერსიტეტია იტალიაში. პირველი საკანონმდებლო აქტია, რომელიც უნივერსიტეტს ეხებოდა, იყო ფრიდრიხ I ბარბაროსის მიერ 1158 წ. გამოცემული ქარტია. უკვე XIII საუკუნეში სტუდენტთა რიცხვი 10-ათასს აღწევდა. XIV-XV საუკუნეებში ბოლონიის უნივერსიტეტი ერთ-ერთი პოპულარული სასწავლებელი იყო ევროპაში.

ამ უძველეს საუნივერსიტეტო ქალაქში 1999 წლის 19 ივნისს ხელი მოაწერეს ბოლონიის დეკლარაციას ევროპის 29 ქვეყნის უმაღლეს განათლებაზე პასუხისმგებელმა მინისტრებმა. 2005 წლის 19-20 მაის ნორვეგიის ქალაქ ბესვერში გაიმართა ბოლონიის პროცესის წევრი ქვეყნების განათლებისა და მეცნიერების კონფერენცია. კონფერენციაზე ერთ-ერთ საკითხად განიხილეს საქართველოს განაცხადი ბოლონიის პროცესთან შეერთების შესახებ. ამით ჩვენს ქვეყანას მიეცა უმაღლესი განათლების ევროპულ სტანდარტებთან დაახლოების რეალური შანსი.

- რა მოთხოვნებს უყენებს დეკლარაცია უმაღლეს სასწავლებლებს?

- ბოლონიის პროცესის ერთ-ერთი ძირითადი მოთხოვნაა კრედიტების სისტემის შემოღება და მათი ტრანსფერის მეშვეობით სტუდენტების მობილობის ხელშეწყობა. ევროპის სხვადასხვა ქვეყნების უნივერსიტეტებში მიღებული ცოდნის აღიარებას კრედიტების ტრანსფერის ევროპული სისტემა (ECTS-ი) უზრუნველყოფს, რომელიც პირველად 1989 წელს შეიქმნა. დღეს ეს სისტემა, რომელმაც კრედიტების დაგროვების ფუნქციაც შეითვისა, ბოლონიის პროცესში მონაწილე ყველა ქვეყნის მიერაა აღიარებული. ECTS-ი გავრცელებულია ევროპის ოცდაათზე მეტ ქვეყანაში და დანერგილია ათასზე მეტ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში. საქართველოს კანონით "უმაღლესი განათლების შესახებ" (მუხლი 87, პუნქტი 8) ჩვენ ქვეყანაში კრედიტების ტრანსფერების ევროპულ სისტემაზე გადასვლა უზრუნველყოფილი უნდა იქნეს 2009-2010 სასწავლო წლის დასაწყისამდე.

- გთხოვთ, გაგვიმარტეთ კრედიტის მნიშვნელობა?

- კრედიტი, განმარტების თანახმად, წარმოადგენს სტუდენტის დატვირთვის საზომ ერთეულს, რომელიც სტუდენტზეა ორიენტირებული და ემყარება სტუდენტის აკადემიურ დატვირთვას და რომელიც სასწავლო პროგრამის მიზნების მისაღწევადაა საჭირო.

კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ მოთხოვნილი სამუშაოს წარმატებით დასრულებისა და სწავლების შედეგებისა და მიღწევების ადეკვატური შეფასების შემდეგ.

კრედიტი პირველად XX საუკუნის დასაწყისში ამერიკის შეერთებულ შტატებში, კერძოდ, ჰარვარდის უნივერსიტეტში შემოიღეს. შემდეგ შეფასების ეს სისტემა დიდ ბრიტანეთში შემოვიდა, მერე კი მთელ ევროპაში გავრცელდა.

რუბრიკას უძღვება მწვრთნელთა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი მანანა მნათობიშვილი.

- რა შემთხვევაში იღებს სტუდენტი კრედიტს?

- კრედიტის მიღება და დაგროვება მხოლოდ იმ შემთხვევაში ხდება, თუ საგნის სწავლებისთვის განკუთვნილი დროის გასვლის შემდეგ სტუდენტის მიერ მიღებული შეფასებები აკმაყოფილებს მინიმალურ მოთხოვნებს, თუ სტუდენტმა 100 ქულიდან, 51 ქულა მაინც დააგროვა.

- რამდენი კრედიტი უნდა დაგროვოს სტუდენტმა ოთხი წლის განმავლობაში?

- სავალდებულოა ოთხი წლის განმავლობაში 240 კრედიტის დაგროვება, ეს შესაძლებელია მიღწეული იქნეს ყოველწლიურად 60 კრედიტის, ხოლო სემესტრულად 30 კრედიტის დაგროვებით.

- იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტმა ვერ დააგროვა 240 კრედიტი?

- საბაკალავრო პროგრამის დასრულებისას 240 კრედიტის შეუსრულებლობის შემთხვევაში, დიპლომი არ გაიცემა. გაიცემა ცნობა მიღებული კრედიტების შესახებ დისციპლინების მიხედვით.

- ერთი კრედიტი რამდენი საათის ტოლია?

- 1 კრედიტი=25 საათს. 25 საათში შედის, როგორც საკონტაქტო, ისე დამოუკიდებელი საათები. საკონტაქტოში ვგულისხმობთ პროფესორ მასწავლებელთან კონტაქტს (ლექცია, სემინარი, პრაქტიკული, ლაბორატორიული), დამოუკიდებელში - სემინარები, პრაქტიკულების მომზადებას და ა.შ.

აი, ფაკულტეტი!

მწვრთნელთა ფაკულტეტი სპორტის აკადემიის სახეა და არა მხოლოდ სპორტში. მომავალ მწვრთნელებს არც მახვილგონიერებაში და ზოგად განათლებაში ჰყავთ ბადალი სასწავლებელში. ეს ნამდვილად დადასტურდა ამ დღეებში აკადემიაში გამართულ მხიარულთა და საზრიანთა კლუბის კონკურსში, სადაც მომავალი მწვრთნელები საუკეთესონი იყვნენ და უძლიერესის სახელი დაისაკუთრეს. მანამდე კი ფაკულტეტის ნაკრებმა თავი გამოიჩინა აკადემიის ტრადიციულ სპარტაკიადაში - მოიპოვა საერთო გუნდური პირველობა და მთავარ პრიზს დაეუფლა.

და კიდევ, 2006-2007 სასწავლო წლებში მწვრთნელთა ფაკულტეტის 31 სტუდენტი გახდა საქართველოს, ევროპისა და მსოფლიოს სხვადასხვა რანგის სპორტულ ასპარეზობათა ჩემპიონი და პრიზიორი.

ყველა მიღწევას წარმატებული სტუდენტები ფაკულტეტის დეკანის პროფესორ **ტრისტან გულბიანის** და აკადემიის რექტორის, პროფესორ **ჯემალ გუგუშვილის** თანადგომისა და ხელშეწყობის დამსახურებად მიიჩნევენ.

ნინო რთველიაშვილი



სპორტის აკადემია

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადაბიჯეთ ზღვარს სიკეთისათვის...

წინა გვერდიდან

- როგორ ეგუებიან სტუდენტები სიახლეებს, თუ დაგიფიქსირებიათ, რა მოსწონთ და რა არა რეფორმაში მომავალ სპეციალისტებს?

- ძნელია, ამომწურავად გიპასუხოთ, რადგან თვით სტუდენტები არ არიან ბოლომდე გაცნობილი განათლების რეფორმას. ერთი რამ მაინც შეიძლება ითქვას: მოსწონთ ის, რომ მეტი თავისუფლება აქვთ და არ მოსწონთ ის, რომ ძალინა ხშირად იცვლება რეფორმასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები.

- თქვენ გიცნობენ, როგორც პრინციპულ, მაგრამ სტუდენტთა თანამდგომ დეკანს, ობიექტურობას ყველა გინონებთ. ძნელია ადამიანისთვის ერთდროულად იყო მკაცრად მომთხოვნიცა და... ლმობიერიც?

- მკაცრი მოთხოვნა და ლმობიერება, ვფიქრობ, სავსებით თავსებადი მცნებებია. მთავარია, იყო ობიექტური. სტუდენტი უნდა გრძნობდეს, რომ ის გიყვარს. თუ ეჩხუბები ან ეფერები, ესეც სიყვარულიდან უნდა მომდინარეობდეს. სტუდენტი უნდა გრძნობდეს, რომ შენ გინდა ის უკეთესი იყოს.

- რას ვერ აპატიებთ სტუდენტს?

- უპატივცემულობას. პედაგოგისადმი. პატივისცემა არ უნდა გამოიხატებოდეს მხოლოდ მისალმებითა და თავის დახრით, ბატონობით მიმართვითა და სხვ. მთავარია, მეცადინეობებზე დასწრება და ყურადღების გამჩენა. არის სხვაც ბევრი რამ, რომელთა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს.

- თქვენი ბუნებიდან გამომდინარე, არ გამოვრიცხავთ, სტუდენტი მოგენდოთ, ერთი-ერთზე გესაუბროთ და გაგიზიაროთ გულისნადები. თუ ყოფილა ასეთი შემთხვევა?

- უჭირს, ძალიან უჭირს სტუდენტთა უმრავლესობას. ბევრი მათგანი მუშაობს, რომ ოჯახი არჩინოს და სწავლის საფასური გადაიხადოს. ზოგი ცნობილი სპორტსმენია - იცავს სასწავლებლის და ქვეყნის სპორტულ ღირსებას. ყველა მათგანს გარკვეული პრობლემები აქვთ. დიახ, მოდიან, მიზიარებენ თავიანთ პრობლემებს. მეც ვცდილობ მაქსიმალურად დავეხმარო, ხელი წავაშველო, რომ სწავლაში არ ჩამორჩნენ, გული არ აიცრუონ, გზას არ ასცდნენ. პედაგოგებს ვაყენებ საქმის კურსში, რათა გულისხმიერება გამოიჩინონ იმ სტუდენტთა მიმართ, ვისაც ჩვენი თანადგომა ესაჭიროება. თუ აუცილებელია, ვშუამდგომლობ რექტორის წინაშე ფინანსური დახმარების გასაწევად.

- ვიცით, რომ ხშირად ექომაგებით, როგორც სტუდენტებს, ისე თანამშრომლებს. სად გადის ზომიერების ზღვარი?

- პასუხის გაცემა ამ კითხვაზე ისევე ძნელია, როგორც მკვეთრი გამიჯვნა თუ სად მთავრდება სიკეთე და სად იწყება ბოროტება. ვეთანხმები ბ. ბრეხტს: "ადამიანი სიკეთისათვის, სიკეთისათვის და მხოლოდ სიკეთისათვის არის გაჩენილი ამ ქვეყანაზე". დამეთანხმებით, ზომიერების ზღვარი პირობითია. თუ სიკეთისთვის მისი გადაბიჯება მოგიწევს, ამას კაციც გაგიგებს და ღმერთიც გვაპატიებს.

- თქვენ წარმატებული ხელმძღვანელი ბრძანდებით. ახლა, რომ აბიტურიენტი იყოთ, რა გზას აირჩევდით?..

- დავიბადე და გავიზარდე პედაგოგების ოჯახში. დედა - თამარ გიორგობიანი ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი იყო, საქვეყნოდ დაფასებული პედაგოგი, მამა - რაჟდენ კიკვიძე 23 წელიწადი სათავეში ედგა ფიზიკის კათედრას ზოოვეტში. პედაგოგობის ნიჭი, ალბათ, მემკვიდრეობით გადმომეცა და მე ამას ღვთის მადლად მივიჩნევ. ამიტომ ვამბობ: ახლა აბიტურიენტი რომ ვიყო, იგივე გზას უყოყმანოდ ავირჩევდი.

- გმადლობთ საუბრისთვის, გისურვებთ წარმატებებს...

- გმადლობთ.

ესაუბრა
თენგიზ თომაშვილი

ყველაზე ადრე, მიმდინარე წლის სახელმწიფო გამოსაშვები გამოცდები საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიაში, სამკურნალო ფიზკულტურისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტზე დაიწყო. გამოცდების წინ აკადემიის რექტორი, პროფესორი ჯემალ გუგუშვილი შეხვდა როგორც საგამოცდო კომისიის წევრებს, ისე სტუდენტებს და უსურვა მათ წარმატება.

რუსთაველის საზოგადოება დონეცკის ოლქში

საქართველოსა და უკრაინას შორის თბილი და მეგობრული ურთიერთობის მიუხედავად, უკრაინაში ნაკლებად იცნობენ ჩვენ ისტორიას, კულტურასა და ტრადიციებს. ყოველივე ამის პროპაგანდა და გაცნობა დაისახა მიზნად დონეცკის ოლქის ქართველთა საზოგადოება "რუსთაველმა" და მისმა პრეზიდენტმა **სოსო მაჭავარიანმა**. სულ ახლახან გამოიცა ბროშურა - "Грузия хранимий дар", რომელიც დონეცკის ოლქში გავრცელდა.

"ბ-ნი სოსო მაჭავარიანი, გახლავთ უკრაინის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის დამსახურებული მუშაკი, წლების განმავლობაში ეკავა დონეცკის ოლქის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის თანამდებობა, ხოლო წარსულში იგი იცავდა საქართველოს სპორტულ ღირსებას კალათბურთელთა, ხელბურთელთა და მძლეოსანთა ნაკრებ გუნდებში. მას დაგეგმილი აქვს დონეცკის ოლქში ჩაატაროს მოსწავლე-ახალგაზრდებსა და ჟურნალისტებს შორის კონკურსი, სახელწოდებით: "Знатоки истории Грузии". როგორც მოსწავლე-ახალგაზრდებს, ისე ჟურნალისტებს შორის პირველ სამ საპრიზო ადგილზე გასულები დაჯილდოვდებიან ერთკვირიანი ტურისტული საგზურით საქართველოში. ეს ღონისძიება ტრადიციული გახდება.

კახა ხარიტონაშვილი



მოეფერეთ ვეტერანებს...

ღვაწლმოსილი ადამიანებისადმი ღირსეული პატივის მიგება თავისთავადაა დასაფასებელი, მაგრამ ათმაგად და ასმაგად ფასობს, როცა ღონისძიება გულწრფელია და არა მოჩვენებითი, როცა იგი წარუშლელი შთაბეჭდილებით შემორჩება მეხსიერებას. არც გულწრფელობა, არც შთაბეჭდილება, თავისთავად არ მოდის, ფიქრი უნდა, სხვათა გულში ნაპერწკლის ანთება უნდა, სიყვარული უნდა. ყველაფერი ეს და, მეტიც, მოჭარბებულად გააჩნია ქალბატონ **მედეა როგავას**, ჩვენი აკადემიის ქართული ენის და ლიტერატურის უფროს მასწავლებელს. ეს მისი ჩანაფიქრის ხორცშესხმით, მანამდე არნახულად აღინიშნა ფაშიზმზე გამარჯვების დღე, 9 მაისი აკადემიაში. ომის ვეტერანების მოგონებები თავისთავად, მაგრამ ყველაზე გულშიჩამწვდომი იყო სტუდენტთა მიერ წარმოდგენილი კომპოზიცია ქალბატონ მედეა როგავას ხელმძღვანელობით.

მეორე მსოფლიო ომის საშინელებაზე და ფაშიზმზე გამარჯვების მნიშვნელობაზე შეკრებილთ ესაუბრა საქართველოს ომის ვეტერან სპორტსმენთა კავშირის თავმჯდომარე, აკადემიის პროფესორი **შოთა ბუაძე**. ომის მონაწილეებს გულთბილად მიესალმა აკადემიის რექტორი, პროფესორი **ჯემალ გუგუშვილი**.

ავთანდილ ცომაია 75 წლისაა



ქართული სპორტის თვალსაჩინო მოღვაწეს, საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის დამსახურებულ მუშაკს, საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს, საკავშირო კატეგორიის მსაჯს სპორტულ ტანვარჯიშში, ღირსების ორდენის კავალერს, საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის პროფესორს, **ავთანდილ ცომაის** დაბადებიდან 75 წელი შეუსრულდა.

თბილისელ ექიმთა ოჯახში დაბადებულმა და აღზრდილმა 1951 წელს სწავლა განაგრძო საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის ინსტიტუტში. სტუდენტობიდანვე ჩაება სამეცნიერო მუშაობაში. სამი წელიწადი თავად ხელმძღვანელობდა სტუდენტთა სამეცნიერო საბჭოს. ინსტიტუტი წარმატებით დაასრულა. სწავლობდა ასპირანტურაში. 50 წელიწადზე მეტი შესწირა პედაგოგიურ საქმიანობას. იყო ტანმოვარჯიშეთა მწვრთნელი, ნაკრების უფროსი მწვრთნელი, ფიზკულტურის ინსტიტუტის ტანვარჯიშის კათედრის მასწავლებელი, უფროსი მასწავლებელი, დოცენტი, 2006 წლიდან პროფესორია. ტანვარიშში მომზადებული ჰყავს სხვადასხვა რანგის ასპარეზობათა ჩემპიონები და პრიზიორები, სპორტის ოსტატები და საერთაშორისო კლასის ოსტატები. არის მრავალი სამეცნიერო ნაშრომისა და გამოგონების ავტორი. მისი ღვაწლი მრავალგზის აღნიშნულა მედლებით, დიპლომებითა და სხვა ჯილდოებით.

საყურადღებოა მისი ახალი ინიციატივა - სპორტის აკადემიაში, ტანვარჯიშის კათედრაზე გაიხსნას ფიზიკური რეაბილიტაციისა და სპორტული სრულყოფის სასწავლო-სამეცნიერო ტექნოლოგიური ლაბორატორია, რაც ახალი სიტყვა იქნება, როგორც სტუდენტთა სამეცნიერო, ისე სპორტის სფეროში მათ სპეციალურ ტექნოლოგიურ განათლებაში.

ბატონი ავთანდილი გამოირჩევა მაღალი ინტელექტით, კეთილი ბუნებით, არის ყურადღებიანი და მეტად მოკრძალებული, საოცრად თავმდაბალი და კეთილშობილი პიროვნება. ჰყავს ბრწყინვალე ოჯახი.

დიდხანს სიცოცხლეს და ახალ წარმატებებს ვუსურვებთ ძვირფას იუბილარს.

დაბადების დღეს გულით გილოცავ, ძმაო! სიკეთის მადლით ავსილო, თავს დაგნათოდეს უღრუბლო ზეცა, მეგობრებისთვის გულგადახსნილო.

გიული პახიძე
პროფესორი, ფიზიკური აღზრდის თეორიის და პედაგოგიკა-ფსიქოლოგიის დეპარტამენტის უფროსი

დაუვიწყარი მასწავლებელი

ლადო ჯაფარიძეს 120 წელი შეუსრულდებოდა

ცნობილ პედაგოგსა და საზოგადო მოღვაწეს, **ლადო ჯაფარიძეს** 27 მაისს 120 წელი შეუსრულდებოდა.

მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი 1911 წელს დაამთავრა და იქვე შეუდგა შრომით საქმიანობას. 1914 წელს ბრუნდება საქართველოში და 60 წლის განმავლობაში უმწიკლოდ ემსახურა ახალგაზრდა თაობის აღზრდას. 1938 წლიდან ახალდაარსებულ საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტში რუსული ენის უფროს მასწავლებლად, შემდეგ კათედრის გამგედ იმუშავა პენსიაზე გასვლამდე.

ბატონი ლადო მრავალმხრივი მოღვაწე იყო. თარგმნიდა და რუსეთში გამოსცემდა ილიას, აკაკის, ა. ყაზბეგის ნაწარმოებებს, ხატავდა, მონაწილეობდა რუსულ-ქართული ლექსიკონის შედგენაში. მიენიჭა დამსახურებული მასწავლებლის წოდება, დაჯილდოვდა ი. გოგებაშვილის მედლით, იყო თბილისის საბჭოს დეპუტატი.

მამაშვილურად ზრუნავდა სტუდენტებზე, ეხმარებოდა მათ მატერიალურად, გულით ხარობდა სტუდენ სპორტსმენთა წარმატებებით, მტკივნეულად განიცდიდა, როცა ვინმეს წარუმატებლობის ამბავს შეიტყობდა.

ბატონი ლადო სულით ხორცამდე სამშობლოს პატრიოტი იყო. მახსოვს, 1956 წლის მარტის მღელვარე დღეებში, როდესაც ქართველმა ახალგაზრდობამ ხმა აღიმაღლა ი. სტალინის კულტთან დაკავშირებით, მტკვრის სანაპიროზე სტალინის ძეგლთან ერთად მივედით, სადაც ყოველდღიურად ხალხმრავალი მიტინგი იმართებოდა. ახალგაზრდობის გმირული შემართების შემყურემ აღტაცებით მითხრა: "არ მეგონა, თუ ასეთი კარგი, მებრძოლი ახალგაზრდობა გვყავდაო".

2004 წელს გამოვიდა ბატონი ლადო ჯაფარიძის საინტერესო წიგნი "მოგონებები და ჩანაწერები", რომლის გაცნობის შემდეგ ჩემმა თანაკურსელებმა დამირეკეს და გაკვირვებულებმა მითხრეს - "თურმე რა დიდი ადამიანი გვყოლია მასწავლებლად და ჩვენ ამის შესახებ არაფერი ვიცოდით". ბატონ ლადოს მეგობრული და საქმიანი ურთიერთობა და სიახლოვე აკავშირებდა საქვეყნოდ ცნობილ ისეთ ადამიანებთან, როგორებიც იყვნენ: ანდრია რაზმაძე, კოტე მარჯანიშვილი, ვლადიმერ მაიაკოვსკი, დიმიტრი არაყიშვილი, მაქსიმ გორკი, იოსებ იმედაშვილი, სიმონ ჯაფარიძე, ვახტანგ კოტეტიშვილი, ნიკოლოზ კანდელაკი, ელენე ახვლედიანი, ირაკლი თოიძე, სარკიზოვ-სერაზინი, მოჭიდავე კოსტა მაისურაძე, გიორგი ლეონიძე და სხვა. მის ცხოვრებაში დაუვიწყარ მოვლენად დარჩა მოსკოვის უნივერსიტეტში სტუდენტობის დროს "იასნაია პოლიანაში" დიდი რუსი მწერლის ლევ ტოლსტოის დაკრძალვაში მონაწილეობა.

გარდაიცვალა 94 წლის ასაკში, თბილისის "დინამოს" საფეხბურთო მატჩის ტელევიზიით ყურების დროს. ბატონი ლადო ბუნებით იყო უკეთილშობილესი ადამიანი, რამაც განაპირობა ყოფილ მოსწავლეთა დიდი სიყვარული მისდამი.

ასეთ ადამიანებს დავიწყება ნამდვილად არ უწერიათ.

შოთა ბუაძე, აკადემიის პროფესორი



კროსვორდი

თარაზულად: 1. სპორტნაწარმის ცნობილი ფირმა. 4. ესპანეთის საფეხბურთო კლუბი. 8. ცნობილი ამერიკელი ვეტერანი ჩოგბურთელი არტურ ... 9. საქართველოს ნაკრების ფეხბურთელი, ალექსანდრე ... 11. ჩოგბურთის მოედანი. 13. სპორტის აკადემიის ლეგენდარული რექტორი. 15. ქართული კალათბურთის ისტორიის შემორჩენილი საკალათბურთო გუნდი. 14. გაფრთხილება ძიუდოში. 16. ესპანეთის საფეხბურთო კლუბი. 18. ცნობილი საბჭოთა-ქართველი. 19. ნიჩბოსანთა დიდი შეჯიბრება. 22. ეტლში შებმული ადამიანი. 24. სამაგიდო თამაში. 26. ორადგილიანი ველოსიპედი. 27. ხელოვნების მფარველი ბერძნულ მითოლოგიაში, ზევსის შვილი.

შვეულად: 2. საფარიკაო იარაღი. 3. უმაღლესად დახელოვნებული. 4. მხედრის შარვალი. 5. ფეხბურთელ კინის სახელი. 6. ძვირფასი ლითონი, რომლითაც მზადდება მედალი ჩემპიონებისთვის. 7. ჭადრაკში მეოთხე მსოფლიოს ჩემპიონი ვაჟი. 10. კურნიკოვას სახელი. 11. წარსულში თბილისის "დინამოში" მოთამაშე ოსი ფეხბურთელი. 12. წარსულში ცნობილი ქართველი ფეხბურთელი, მეკარე. 13. ესპარეზობის ლიდერი. 14. ოთხიანი დომინოში. 16. ქართული ჭიდაობის ილეთი. 17. მატჩის ერთი ნახევარი. 20. აფრიკის ქვეყანა, სოკ-ის წევრი. 21. მრისხანე მწვერვალი კავკასიონზე. 23. ჰოკეის ნაციონალური ლიგა (შემოკლებით). 25. საბერძნეთის საფეხბურთო კლუბი.

ვიკეტორინა

ოლიმპიზმი

1. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, რომელმა ქალაქმა უმასპინძლა განახლებულ ოლიმპიურ თამაშებს?
ა) პალერმოში, ბ) ბარსელონაში, გ) ლონდონში

2. რომელ წელს ჩატარდა ზამთრის პირველი ოლიმპიური თამაშები?
ა) 1920 წელს, ბ) 1924 წელს, გ) 1932 წელს

3. ზაფხულის რომელ ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობდა ყველაზე მეტი სპორტსმენი საქართველოდან?
ა) ტოკიოში, ბ) მიუნხენში, გ) მოსკოვში

4. მერამდენე ოლიმპიადა იქნება ნინო სალუქვაძისთვის პეკინის თამაშები?
ა) მეოთხე, ბ) მეხუთე, გ) მეექვსე

5. ჭიდაობის შემდეგ საქართველოს სპორტსმენებს სპორტის რომელ სახეობაში აქვთ მოპოვებული ყველაზე მეტი ოლიმპიური მედალი?
ა) ტყვიის სროლაში, ბ) მძლეოსნობაში, გ) ძალოსნობაში

საქართველო
GEORGIA

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტის დეპარტამენტში

როგორ უნდა განვითარდეს ბავშვთა სპორტი? მერიის ვერსია

გიგი უგულავა სპორტის დეპარტამენტში

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

გუშინ სპორტის დეპარტამენტს დედაქალაქის მერი **გიგი უგულავა** ესტუმრა. როგორც წინასწარვე გაცხადდა, მისი ვიზიტი სპორტული ბაზების რეაბილიტაციას შეეხებოდა, ამიტომ ამ სტუმრობამ დიდი ინტერესი გამოიწვია და სააქტო დარბაზში მთელმა სპორტულმა საზოგადოებამ მოიყარა თავი. მერის დაახლოებით 15-წუთიანი გამოსვლის შინაარსი ასეთია:

- იმის მიუხედავად, რომ სპორტული ობიექტებისა და სპორტული სკოლების რეაბილიტაციისთვის საკმაო თანხა დავხარჯეთ, მაინც სავალალო მდგომარეობაა, რადგან წინა წლებში საამისოდ არაფერი გაკეთებულა. ახლა გადავწყვიტეთ ამ სფეროში კერძო კაპიტალის მოზიდვა, რაც პირველი ამოცანაა.

მეორე პროგრამაა სპორტული სკოლებით მთელი თბილისის დაფარვა. დღეს მათი უმეტესობა დედაქალაქის 2-3 უბანშია თავმოყრილი, ჩვენ კი გვინდა, რომ, ვთქვათ, ვარკეთილელმა და ავჭალელმა მოზარდებმა სავარჯიშოდ შორს არ იარონ. შეიძლება ითქვას, ეს ჩვენი ძირითადი გეგმაა.

აქ იგულისხმება შერეული ტიპის, კომბინირებული ბაზები, სადაც ერთად იქნება თავმოყრილი ინდივიდუალური და სათამაშო სახეობები - ჩოგბურთი, კალათბურთი, წყალბურთი, ცურვა, ფეხბურთი, ჭიდაობა, ძიუდო. თბილისის ყველა უბანში სწორედ ასეთი კომბინირებული სკოლები იქნება, რომლებსაც ეყოლებათ პატრონი. პარალელურად, დავაფინანსებთ ბავშვებს სოციალური სტატუსის და ნიჭიერების მიხედვით. ასევე დავაფინანსებთ სპორტის არაკომერციულ სახეობებსა და ტურნირებს კლუბებს შორის, რათა სკოლებს შორის მეტი შეჯიბრება იყოს. დარწმუნებული ვარ, 1-2 წლის შემდეგ მთელ თბილისში გვექნება გამართული ინფრასტრუქტურა და აწყობილი საკლუბო სისტემა, სადაც ბავშვებს შეეძლებათ ნაყოფიერად ვარჯიში. მათი პროფესიონალიზაცია სპორტის დეპარტამენტის საქმეა, ჩვენი - ზოგადად ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება. ამისათვის საჭიროა კარგად აწყობილი ინფრასტრუქტურა, მაღალანაზღაურებადი მწვრთნელთა კორპუსი და სწორედ ამას ისახავს მიზნად ჩვენი ინიციატივა.

მერმა ისიც აღნიშნა, რომ ინვესტორი ვალდებულია, შეინარჩუნოს სპორტული პროფილი 10 წლის განმავლობაში, ხოლო სპორტკომპლექსებში უფასოდ სწავლის შემდეგი კრიტერიუმები განისაზღვრება: 5-დან 15 წლამდე ასაკის, სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი ოჯახების ბავშვთა უფასოდ ვარჯიშს დედაქალის მერია უზრუნველყოფს, ნიჭიერთა გამოსავლენი კრიტერიუმები კი ფედერაციების პროგრამებია. ამასთან, თბილისის მერია ყოველწლიურად ფულადი პრემიით წაახალისებს იმ კლუბებს, რომლის ყველაზე მეტი წარმომადგენელი ჩემპიონი გახდება სპორტის კონკრეტულ სახეობაში

მერის გამოსვლის რეზიუმედ ერთიც შეიძლება ითქვას - სპორტული ცენტრების განვითარების პროგრამის ფარგლებში, მერია ინვესტორს უსასყიდლოდ გადასცემს არსებულ სპორტულ ობიექტს სარეაბილიტაციოდ ან მის ნაცვლად ქალაქის გეგმით განსაზღვრულ ადგილას ახალი სპორტული ცენტრის შექმნის პირობით.

უგულავამ დაამთავრა თუ არა სიტყვა, დარბაზიც დატოვა, შეხვედრის მონაწილეებს კი თავისი მოადგილე **გიორგი მელაძე** დაუტოვა, რომელმაც გრაფიკულად წარმოადგინა, ქალაქის ტერიტორიაზე რომელი ობიექტების ადგილას რა გაკეთდება.

ვერც მერის და ვერც მისი მოადგილის გამოსვლამ საკითხს სიცხადე ბოლომდე ვერ მოჰფინა და ბევრი კითხვის ნიშანიც დარჩა. შეუცდომლად როგორ უნდა განისაზღვროს ნიჭიერისა თუ ნაკლებად ნიჭიერის კრიტერიუმი ადრეულ ასაკში? იქნება თუ არა გარანტირებული და დაცული სპორტის ინტერესები ხელშეკრულებით გათვალისწინებული 10 წლის შემდეგ, რაზეც მელაძემ გვიპასუხა, ეგ არაა პრობლემა, კონტრაქტში 15 წელიწადი ჩაინერებაო. კი მაგრამ, 15 წლის მერე არის რაიმე გარანტია? როგორც აღმოჩნდა, ეს კითხვა დარბაზში ბევრს აწუხებდა, მაგრამ ამომწურავი პასუხი ვერც ამაზე მივიღეთ.

ხელისუფლების პოზიცია ასეთია - თუ ბიზნესმენი 10 წელიწადი ფულს ჩადებს კონკრეტულ სფეროში და განავითარებს მას, რატომ დაანგრევსო, მაგრამ იქვე ჩნდება კონტრშეკითხვაც - ვთქვათ და 10 წლის შემდეგ გაყიდა თავისი ბიზნესი სხვა სფეროში გადასასვლელად, ახალ ინვესტორს კი არ სურს სპორტში თანხის დაბანდება, მას აინტერესებდა ტერიტორია, შენობა-ნაგებობები, ამ შემთხვევაში გარანტირებულია კი სპორტის ინტერესი?

ჩვენ იმითაც დავინტერესდით, ამ პროგრამის ფარგლებში იგეგმება თუ არა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ბაზების მშენებლობა, რომლებიც დააკმაყოფილებენ ევროპა-მსოფლიო პირველობების ჩასატარებლად საჭირო მოთხოვნებს, ან ვის ევალება ასეთი ბაზების მშენებლობა - სახელმწიფოს, ფედერაციას, ინვესტორს თუ სხვა ვინმეს... ამაზე სავარაუდოდ გვიპასუხეს, რომ, ალბათ, ეს მოთხოვნა ინვესტორთან მოლაპარაკებაში ჩაიდება. შეხვედრის მონაწილენი იმითაც დაინტერესდნენ, ინვესტორები ისარგებლებენ თუ არა საშენი მასალების შემოტანისას შეღავათებით, რადგან მათი საზღვარზე გადმოტანა ხშირად დიდ პრობლემებთანაა დაკავშირებული, თუმცა ამაზეც უარყოფითი პასუხი მიიღეს. ასევე უარყოფითად გვიპასუხეს კითხვაზე, იგეგმება თუ არა სპორტის დეპარტამენტის შენობის პრივატიზაცია, რაზეც გუშინდელ ნომერში ვსაუბრობდით.

საერთოდ, მოგვეჩვენა, რომ ამ პროგრამაში ყველაფერი ბოლომდე არაა გათვლილი. ოფიციალური ნანილის დამთავრების შემდეგ ამაზე სპორტული ფედერაციების და მერიის წარმომადგენლები დიდხანს ბჭობდნენ ერთმანეთში და აზრებს უზიარებდნენ. ამ საუბარში რამდენიმე ისეთი ვარიანტიც გამოითქვა, რომლებიც შეიძლება, აღნიშნულ პროგრამაში მოგვიანებით ჩართონ კიდეც. ერთ-ერთი ფედერაციის მესვეურმა ისიც იხუმრა, ეს ვაუჩერები 1-2 წელიწადი იმუშავებს, მერე კი ყველაფერს ფედერაციებს და კლუბებს მოგვიყრიანო. ანუ, სპორტული სამყარო ვერ დაამშვიდა იმ ცნობამ, რომ მერია კლუბებს დენის, წყალის, დასუფთავებისა და სხვა სახის კომუნალურ გადასახადებს ნაწილობრივ დაუფარავს.

აქვე იმასაც გეტყვით, რომ დედაქალაქის მაგალითზე სპორტული ობიექტების რეაბილიტაცია-ინვესტირება რაიონებშიც ამავე მოდელით იგეგმება. თბილისში ეს პროცესი დაახლოებით ერთ თვეში დაიწყება, მერე კი რაიონების ჯერიც დადგება.

ირაკლი თავაძე

ჭიდაობა

თურქეთით გამოცდა

ამ დღეებში იზმირში დამთავრდა ახალგაზრდების დიდი საერთაშორისო ტურნირი ორივე სტილის მოჭიდავეთა შორის, რომელშიც 14 გუნდი გამოდიოდა. ჩვენებურთაგან ორივე ნაკრებმა 4-4 მედალი მოიპოვა. „თავისუფალთა" ანგარიშზე 2 ოქრო და თითო ვერცხლ-ბრინჯაოა, ანტიკოსები კი თითო ოქრო-ვერცხლითა და ბრინჯაოს ორი მედლით დაგვიბრუნდნენ. თავისუფალში ჩემპიონები **გიორგი ედიშერაშვილი** (55) და **გოჩა ლომთათიძე** (74) გახდნენ, **ლევან მეტრეველი** (50) მეორეზე გავიდა, მძიმეწონასანმა **გიორგი ნიკურაძემ** კი ბრინჯაო ირგუნა.

ანტიკურში ოქრო **სერგო ნინუამ** (84) მოიპოვა, **გენადი ხელია** (96) ფინალში დამარცხდა, **ბექა როყვამ** (74) და **სოსო ჯაბიძემ** (96) კი ბრინჯაო მოიპოვეს.

ამ ტურნირთან დაკავშირებით გუშინ ჭიდაობის ფედერაციაში გამართულ პრესკონფერენციაზე ორივე ნაკრების თავკაცმა, **ნუგზარ სხირელმა** და **ვლადიმერ ადეიშვილმა** შეგირდთა გამოსვლა დადებითად შეაფასა. მწვრთნელების აზრით, ასეთი კარგი შედეგი მზადების პერიოდში ჩართულმა სიახლემ - საერთო ფიზმომზადებისთვის განკუთვნილმა შეკრებამაც განაპირობა. ადრე ეს აუხდენელი ფუფუნება იყო, ამჯერად კი ფედერაციის ხელმძღვანელთა დახმარებით მოხერხდა, თუმცა მასში ლეიბზე ვარჯიშიც შედიოდა.

ორივე ნაკრები ივლისში გასამართი ევროპის პირველობისა და აგვისტოს ბოლოს ჩასატარებელი მსოფლიო პირველობებისთვის ემზადება და იზმირის ტურნირი შემადგენლობის დაკომპლექტებას ისახავდა მიზნად. „თავისუფალთა" დამრიგებელმა ნუგზარ სხირელმა აღნიშნა (ამაში მას კოლეგა ვლადიმერ ადეიშვილიც დაეთანხმა), რომ განგებ შეარჩიეს ისეთი ტურნირი, სადაც ჩვენს მოჭიდავეებზე დიდი ზეწოლა იქნებოდა. მასპინძელი თურქეთი რამდენიმე შემადგენლობით გამოდიოდა და, ყველაფერს გააკეთებდა მედლების მაქსიმალური რაოდენობის მოსაპოვებლად. ორივე მწვრთნელი სწორედ ამიტომაა კმაყოფილი იზმირში მიღწეული შედეგებით.

თუმცა სხირელი ყველა შეგირდით ბოლომდე კმაყოფილი მაინც არაა. მაგალითად, იგი მეტს მოელოდა ნიკურაძისგან, მაგრამ ჩავარდნა იმით ახსნა, რომ სპორტსმენი მგზავრობისას გაციებულა. სამაგიეროდ, შეაქო დანარჩენი მედალოსნები და ისიც აღნიშნა, რომ ევროპის პირველობისთვის ზოგიერთ წონაში კორექტივებია მოსალოდნელი. მაგალითად, ედიშერაშვილი საქართველოს ჩემპიონატზე მეორე იყო, მაგრამ გამოსაცდელ ტურნირებში ძლიერად იჭიდავა და დაიმსახურა ნაკრებში ადგილი. იგივე ითქმის ლომთათიძეზე, რომელმაც საქართველოს ჩემპიონატზე ლიდერად შეგულებულ **გიორგი მარსაგიშვილსაც** კი აჯობა, მაგრამ მერე მწვრთნელი უცხოეთში მისი გამოსვლით ცოტა უკმაყოფილო დარჩა. სამაგიეროდ, ახლა ისევ დაიბრუნა მწვრთნელის ნდობა. პოზიციები სერიოზულად გაიმყარა მეტრეველმაც, რომელსაც საქართველოს პირველობა საერთოდ გაუცდა. სხირელი საბოლოო შემადგენლობას ბოლო შეკრებაზე გამოაცხადებს.

„ანტიკოსთაგან" ადეიშვილს იზმირში არ წაუყვანია ისინი, რომლებმაც უკვე გაინაღდეს ნაკრებში ადგილი - **ზურაბ მაჭარაშვილი** (50), **ლაშა გოგიტაძე** (55), **ლაშა ლოლაშვილი** (60) და **დიმიტრი ჯავახიშვილი** (+120). ზემოდასახელებულ ოთხეულს იზმირის ტურნირმა მხოლოდ ორი ფალავანი შემატა - ნინუა და **გურამ კვერღელიძე** (66). როგორც შესავალში ვთქვით, ნინუა 84-ში ჩემპიონი გახდა, კვერღელიძე კი მეხუთეზე გავიდა, მაგრამ მწვრთნელი მისი ჭიდაობით მაინც კმაყოფილია და ამბობს, რომ იგი უმედლოდ მსაჯებმა დატოვეს. რაც შეეხება 74-ს, აქ ბექა როყვა უპირველეს კანდიდატად კი რჩება, მაგრამ არაა გამორიცხული, მწვრთნელმა ის მსოფლიოსთვის შემოინახოს, მის ნაცვლად კი ევროპაზე **გიორგი ჭუმბაშვილი** აჭიდაოს - ყველაფერი ბოლო შეკრებაზე გადაწყდება. იქვე გაირკვევა კონკურენცია 96-ში, სადაც ხელიასა და ჯაბიძეს შორს უძლიერესი აქამდე ვერ გამოვლინდა.

„ანტიკოსთა" ნაკრები ხვალ ერევანში მიემგზავრება საერთაშორისო ტურნირზე. სადაც ადეიშვილს სატურნირო პრაქტიკის მისაღებად ზემონახსენები ოთხეულიც მიჰყავს - მაჭარაშვილი, გოგიტაძე, ლოლაშვილი და ჯავახიშვილი.

ირაკლი თავაძე

ჭიდჩეჭი

ეკატერინბურგში დასრულებულმა გუნდურმა მსოფლიო ჩემპიონატმა ქართველებს სიხარული ვერ მოგვიტანა, მაგრამ ჩვენს გუნდში არის ადამიანი, რომელთან ურთიერთობაც ყველას ძალიან სიამოვნებს. იგი მეტად უშუალო, კეთილგანწყობილი, ულევი ოპტიმიზმით სავსე, ბრძენი და მომხიბვლელია - ასე ახასიათებენ რუსი კოლეგები ხუთგზის მსოფლიო ჩემპიონ მაია ჩიბურდანიძეს. მისი გამოჩენა პრესკონფერენციაზე ყველაზე სასურველ და ნანატრ სტუმრობად შერაცხეს.

მაია ჩიბურდანიძე: მე დღემდე ვსწავლობ!

- ქალბატონო მაია, როგორია თქვენი შთაბეჭდილება მსოფლიო ჩემპიონატზე?

- მეოთხე ადგილზე გავედით, თუმცა, სიმართლე გითხრათ, უფრო მეტს ვგეგმავდით. არა პირველს ადგილს, მაგრამ ვფიქრობდით, ეგებ მესამე გვრგებოდა...

- კი, მაგრამ, სად არის უნიკალური ქართული საჭადრაკო სკოლა? მისი აღორძინების იმედი უნდა გვქონდეს?

- რა თქმა უნდა. ჩვენ ვზრდით ახალი თაობის ნიჭიერ მოჭადრაკეებს და მომავლის იმედიც გვაქვს. უბრალოდ, თაობათა ცვლა მოხდა, რაც ყოველთვის რთული გადასატანია. ისეთი გრძნობა მაქვს, რომ ჩვენი ესტაფეტა ჩინელებმა მიიღეს, - დღეს ისინი აჩვენებენ ისეთ შედეგებს, როგორიც ოდესაც ჩვენ გვქონდა.

- ჩინურ ჭადრაკზე რისი თქმა შეგიძლიათ?

- მათ ყველაფერი სწორად აქვთ - დედაქალაქში ბრწყინვალე საჭადრაკო ცენტრი მოაწყვეს, ჩინეთის რეგიონებში ცხოვრობენ მწვრთნელები, რომლებიც ნიჭიერი ბავშვების სელექციას ანარმოებენ, შემდეგ კი მათ პეკინში, საჭადრაკო ცენტრში აგზავნიან. სწორედ ამ ცენტრში ყალიბდება ჩინური საჭადრაკო პალიტრა. ბავშვებს საუკეთესო მწვრთნელები ასწავლიან; სისტემატურად განახლებადია სასწავლო პროგრამები და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

ჩვენ კი ბევრად რთულ გარემოში გვიწევს ყოფნა - ეკონომიკური და პოლიტიკური პრობლემები სპორტზე ყოველთვის აისახება.

- ჩინელ მოჭადრაკეებს ხომ არ დააახასიათებდით - ფაქტია, ისინი ჩემპიონები გახდნენ! როგორ ფიქრობთ, ეს უმაღლესი ოსტატობაა?

- მე მომწონს მათი თამაში - გამძლეობა, ხასიათი, მაგრამ არ შემიძლია ვთქვა, რომ ეს რაღაც განსაკუთრებული ფენომენია - სრულებითაც არა. მერწმუნეთ, შედეგი დიდი ხნის დაუღალავი წვრთნის შემდეგ იქნა მიღებული. ახალგაზრდა ჰოუ იფანი მართლაც ძალიან ნიჭიერია, მაგრამ ამავე დროს მისი იუდით პოლგართან შედარებისგან მაინც თავს შევიკავებდი. საერთო ჯამში, ჩინელთა საუკეთესო თვისებებია - მიზანსწრაფულობა, დისციპლინა, სიმშვიდე და კონცენტრირების უნარი.

- ჩინეთთან მიღწეულმა ფრემ გაგახარათ?

- რა თქმა უნდა! ვფიქრობ, რუსეთის ნაკრებსაც ბევრად უკეთ შეეძლო ჩინეთთან თამაში.

- თქვენ სისტემატურად თამაშობთ ყოველწლიურ სუპერტურნირზე - "ჩრდილოეთი ურალის თასი". ნელსაც ეწვევით კრასნოტურინსკს?

- თუ მიმიწვევენ - დიდი სიამოვნებით. ძალიან მომწონს თქვენი მხარე - საოცარი ადგილებია, ლამაზი და წმინდა. ხშირად ვხუმრობ, რომ მშობლიურ ქალაქ ქუთაისში ვერ ჩავდივარ იმ სიხშირით, როგორც თქვენთან - ეკატერინბურგში და სვერდლოვსკის ოლქში. სუპერტურნირის ორგანიზატორს კი, ბატონ ანდრეი სელივანოვს, დიდ მდალობას ვუხდი იმისთვის, ურალში საჭადრაკო ცხოვრება რომ გააცოცხლა. ტურნირზე ყოველთვის განსაკუთრებული ატმოსფერაა - ასეთი არსად მინახავს. ბევრს სურს ტურნირში თამაში და მეც მათ შორის. მით უფრო, რომ წელს საიუბილეო - მეხუთე ტურნირი იმართება.

- როგორია მათთან თამაში, ვინც თქვენს პარტიებზე იზრდებოდა?

- საინტერესოა! მართალია ჩემზე 20-25 წლით უმცროს გოგონებს ვეთამაშები, მაგრამ, გამოგიტყდებით, რთულია ვიპოვო სტიმული და ამ კუთხით განსაკუთრებულად მოვემზადო. უფრო ახალგაზრდებმა უნდა იმუშაონ საკუთარ თავზე - გამცდილება მიიღონ, უფრო ძლიერები გახდნენ და რაც შეიძლება ბევრი ითამაშონ.

- რამდენად აქტიურად იყენებთ კომპიუტერს?

- სამი წლის წინათ საერთოდ არ ვხმარობდი, დღეისთვის კი ვიყენებ, მაგრამ არცთუ ხშირად. მე მაინც მამაპაპური მეთოდებით მზადება მირჩევნია - წიგნებით, მწვრთნელთან, საკუთარ თავთან - მარტოდ დარჩენილს...

- ესე იგი, გამოდის, რომ კომპიუტერის მეშვეობით არ მეცადინეობთ, როგორც ამას დღეს თითქმის ყველა აკეთებს?!

- მე საერთოდ ძალიან ცოტას ვმეცადინეობ... (იცინის)

- პედაგოგობა ხომ არ გნებავთ? ბევრის სურვილი იქნებოდა, თქვენი მოწაფე ყოფილიყო...

- ჯერ კიდევ თავად მაქვს ბევრი რამ სასწავლი, ამიტომ ვაგრძელებ სწავლას...

მოამზადა
ზვიად შათირიშვილმა

NBA. ფლეი ოფი. 1/2 ფინალი

ჩონსი–ბონსი ვისლა ახსოვს

აღმოსავლეთი

კლივლენდი-დეტროიტი 91:87

26:22, 24:21, 15:24, 26:22

კლივლენდი: ლ. ჯეიმსი (25 ქ. 11 პ. 7 მ. 3 ჩ), გიბსონი (21 ქ. 3 მ. 2 ჩ), გუდენი (19 ქ. 8 მ), ილგაუსკასი (9 ქ. 7 მ).

დეტროიტი: ბილაპსი (23 ქ. 9 მ. 2 პ), რ. ჰამილტონი (19 ქ. 8 მ. 2 პ), პრინცი (15 ქ. 7 მ. 4 პ), მაკდაიესი (12 ქ. 5 მ. 3 პ. 2 დ), რ. უოლასი (9 ქ. 5 მ. 3 ჩ. 3 დ).

სერია: 2:2

"დეტროიტისა" და "კლივლენდის" საფლეიოფო ამბები, შარშანდელის მსგავსად ვითარდება. ფავორიტმა მაშინაც მოიგო პირველი ორი საშინაო მატჩი, რის მერეც, **ლებრონ ჯეიმსმა** მომდევნო ორ საშინაო დაპირისპირებაში, ბოლო მეოთხედებში უმაღლეს დონეზე ითამაშა და ანგარიშიც გათანაბრდა. მერე იყო "კლივლენდის" გასვლითი ტრიუმფი და სერიაში 3:2 დაწინაურება, მაგრამ ახალგაზრდა "კავალიერსმა" დაჭრილ მხეცს საბოლოო ლახვარი ვეღარ ჩასცა და ზედიზედ ორი მატჩის წაგებით სერიაც დათმო.

"კავალიერსი" თავის მაქსიმუმს აჩვენებს, "დეტროიტის" თამაშის შემხედვარე კი ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს **ფლიპ სონდერსის** ბიჭებს თამაშის იშტაზე მოსასვლელად, პირველ ნახევარში უამრავი სისულელის გაკეთება სჭირდებათ.

"დეტროიტმა" სერიის ზედიზედ მეოთხე მატჩში მოიგო მესამე მეოთხედი, მაგრამ ასევე ზედიზედ მეორედ ჩააგდო უკანასკნელი და გადამწყვეტი 12-წუთეული. ამჯერადაც იბობოქრა მატჩის დასკვნით ნაწილში ლებრონმა და "კავალიერსი" თავისი ახალგაზრდა მხარ-ბეჭით მიათრია გამარჯვებამდე.

აღნიშნულ მატჩს, ჯეიმსის გარდა კიდევ ერთი გმირი და ერთბაშად სამი ანტიგმირი ჰყავდა. ჯეიმსის თემა დავიწყეთ და ბარემ ამ ჯადოკაცის ბოლო მეოთხედში თამაშზე გავამახვილებთ თქვენს ყურადღებას - მესამე მეოთხედში "დეტროიტის" აგრესიულმა დაცვამ ჯეიმსს ერთი ქულაც ვერ დააგროვებინა, რისი კომპენსირებაც "კავალიერსის" სუპერვარსკვლავმა მალევე მოახერხა.

ბოლო მეოთხედში, მან თამაშიდან 6-დან 4 და ამასთან, ხუთივე საჯარიმო სროლა გამოიყენა, რასაც ზედ 4 მოხსნა და 3 შედეგიანი გადაცემა დაურთო. სწორედ ლებრონმა შეასრულა ზუსტად ძირითადის დასრულებამდე 4.3 წამით ორივე ერთქულიანი, რამაც მატჩის საბოლოო ანგარიში დააფიქსირა.

სერიის დაწყებამდე არათუ რომელიმე მატჩის, არამედ თუნდაც 5-წუთიანი მონაკვეთის მთავარ გმირად, ვინმეს ყველასთვის უცნობი **დანიელ გიბსონი** რომ დაესახელებინა, მას ნამდვილ გიუად შერაცხავდნენ.

"კავალიერსის" მთავარ მწვრთნელ **მაიკ ბრაუნს** კი სხვა გზა არ ჰქონდა და რაკიღა მისი ძირითადი მსროლელი **ლარი ჰიუზი** მიკროტრავმით თითქმის ვერ ინძრეოდა ("კლივლენდის" მეორე მექულემ აღნიშნულ მატჩში მხოლოდ 16 წუთი ითამაშა და ამ დროში 6-დან 5 სროლა გააფუჭა), მასპინძელთა თავკაცმა ძირითადში გამოუცდელი გიბსონი დააყენა.

ამ ჯეელმა კი აიწყვიტა და 35 წუთში 12-ივე საჯარიმო ზუსტად შეასრულა. გარდა ამისა, დაცვაში შავი დღე აყარა **რიჩარდ ჰამილტონს.** გიბსონზე გადართულ სტუმრებს კი, ლებრონის შეტევები გამოეპარათ.

გიბსონი იერიშების ორგანიზებაშიც იღებდა აქტიურ მონაწილეობას და ბოლო მეოთხედში მისი ფილიგრანული პასებით, პირველ შემთხვევაში ლებრონმა ჩატენა ბურთი, მეორედ კი **დრიუ გუდენმა** საშუალო მანძილიდან აიღო ორი ქულა.

ანტიგმირებში კი "დეტროიტის" სამი ვარსკვლავი შევიყვანეთ.

რაშიდ უოლასი - 40 წუთი, 4 არაზუსტი სამიანი, მხოლოდ 5 მოხსნა, 4 პერსონალური შენიშვნა და ტექნიკური ფოლი ბოლო მეოთხედში, რომლითაც "კლივლენდის" გადამწყვეტი 9:0 გაქცევა დაიწყო.

ჩონსი ბილაპსი - 23 ქულის დაგროვებას მან 16 სროლა მოანდომა და 9-დან 7 სამქულიანი გააფუჭა. სტუმართა ძირითადმა გამთამაშებელმა შეხვედრა 2 ზუსტი პასითა და 5 შეცდომით ჩაამთავრა.

კრის უებერი - ამჯერადაც სადღაც დაკარგული იყო და 20 წუთში მის ანგარიშზე მხოლოდ 2 ქულა, 3 მოხსნა, 2 ჩაჭრა და 1 შედეგიანი გადაცემა გახლდათ.

"ლებრონმა თამაშამდე გვითხრა, ბოლო მეოთხედს როგორმე მიატანეთ და მერე მე ვიცი. სიტყვის კაცი გამოდგა, რამაც სერიაში ანგარიში გაგვათანაბრებინა", - ამბობდა ნამატჩევს ჟურნალისტებთან საუბარში მაიკ ბრაუნი.

გუნდებმა საშინლად შეასრულეს შორეული ტყორცნები. თუ მასპინძლებმა 14-დან 4 სროლა მაინც გამოიყენეს, "პისტონზის" მოთამაშეებმა 17 სამქულიანი ისროლეს და მხოლოდ სამჯერ იხეირეს. "კლივლენდმაც" და "დეტროიტმაც" 12-12 შეცდომით დაასრულეს მატჩი, **ანტონიო მაკდაიესმა** კი 23 წუთში სოლიდურად იჭიდავა და ერთი შეცდომაც არ დაუშვია. უებერის გამოცდილება კარგია, მაგრამ იქნებ, ფლეი ოფში ამას მაკდაიესის ჟინი და კიდევ ბევრი სხვა ნიუანსი სჯობდეს. ამაზე ფლიპ სონდერსი მართლაც სერიოზულად უნდა დაფიქრდეს.

ზურაბ თალაკვაძე



გიბსონი მატჩის გმირი გახდა

დრაფტი 2007

დრაფტი მხოლოდ ოდენი და დურანტი არაა

სულ მალე, ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში დრაფტის ყოველწლიური პროცედურა შედგება. ბოლო წლებისგან განსხვავებით, წლევანდელ დრაფტზე ბარე შვიდი-რვა ისეთი ბიჭია, ვისაც პირველივე სეზონში თუ არა, ყოველ შემთხვევაში, სულ მალე თავიანთი გუნდების ლიდერობა შეეძლებათ. NBA-ის მომავალი თაობა მხოლოდ გრეგ ოდენითა და კევინ დიურანტით არ შემოიფარგლება. დღეს, დრაფტის პირველი 6 გუნდისა და მათი სავარაუდო ახალწვეულების სიას შემოგთავაზებთ.

1. პორტლენდი

ვინ: გრეგ ოდენი (ცენტრი)
საიდან: ოჰაიო სტეიტი

მოკლედ: თითქმის გადაწყვეტილი ამბავია, რომ "პორტლენდი" თავის არჩევანს საკოლეჯო კალათბურთის დევკაცზე - **გრეგ ოდენზე** შეაჩერებს. სპეციალისტები ამ ახალგაზრდის დახასიათებისას, ხშირად ავლებენ პარალელებს **შაკილ ონილსა** და **ტიმ დანკანს** შორის, ხოლო ახლახას "საკრამენტოში" მწვრთნელად დანიშნულმა **რიკ ადელმანმა** ოდენს შაკისა და ტიმის იდეალური ჰიბრიდი უწოდა.

"პორტლენდში" მომავლის გუნდის შენება მიმდინარეობს. ეს პროცესი ორეგონელთა მთავარმა მწვრთნელმა - **ნეიტ მაკმილანმა** შარშანდელი ტოპდებიუტანტის - **ბრენდონ როის** აყვანით დაიწყო. ამას დაუმატეთ კიდევ ერთი უნიჭიერესი პირველწლიანი - **ლამარკუს ოლდრიჯი** და გრეგ ოდენთან ერთად, ამ ტრიოს რამდენიმე წლის შემდეგ "ბლეიზერსისთვის" წარსულის დიდების დაბრუნება შეეძლება.

არ გვიხსენებია **ზაკ რენდოლფი,** მაგრამ მას ჩვენ კი არა, "ბლეიზერსის" ბოსებიც აღარ ახსენებენ - თითქმის გადაწყვეტილია, რომ ძვირადღირებული, მოუთოკავი და გუნდურ თამაშზე აცრილი მძიმე ფორვარდი კარიერას სხვაგან გააგრძელებს. ყველაზე რეალურია "ნიუ იორკ ნიქსში" გადასვლა. ამ კლუბიდან "პორტლენდში", შესაძლოა, **სტივენ ფრენსისი** და **ჩეინინგ ფრაი** გადაბარგდნენ.

2. სიეტლი

ვინ: კევინ დიურანტი (ფორვარდი).
საიდან: ტექსასი

მოკლედ: დიურანტს "სიეტლში" **რეი ალენი** დახვდება, რაც იმას ნიშნავს, რომ ახალგაზრდა ფორვარდს ძალიან კარგი მასწავლებელი ეყოლება. **რაშარდ ლიუისი** თავისუფალ აგენტთა ბაზარზე გაიტანს საკუთარ თავს, რაც ერთის მხრივ, "ზებგერითებისთვის" მინუსია, მაგრამ ამასთან ერთად, გუნდს სამომავლოდ სახელფასო ფონდში დიურანტისთვის გრძელვადიანი კონტრაქტის გაფორმებისთვის თანხა შემორჩება.

დიურანი უნივერსალია, რომელსაც მსუბუქი და მძიმე ფორვარდის ამპლუების შეთავსება თანაბრად შეუძლია. იგი ბრწყინვალედ ატარებს ბურთს და ზელიგის სკაუტების თქმით, შეტევის ორგანიზებაში ნაყოფიერი მონაწილეობის მიღებაც ძალუძს.

"კევინ დიურანტი "სიეტლისთვის" შონ კემპის მერე, ყველაზე ფასდაუდებელი შენაძენი გახდება. კარგი იქნებოდა, გუნდში გრეგ ოდენი რომ გვყოლოდა, მაგრამ თუ ის შეტევაში ოდნავ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ახალგაზრდაა, კევინს ბურთის კალათში ჩაშვება თითქმის ნებისმიერი წერტილიდან შეუძლია. დამდეგ სეზონს დიდი იმედით ველით", - ამბობს ჟურნალისტებთან საუბარში **ნეიტ მაკმილანი.**

3. ატლანტა

ვინ: ბრენდან რაიტი (ფორვარდი)
საიდან: ჩრდილო კაროლინა

მოკლედ: "ატლანტის" გენერალური მენეჯერი - **ბილი ნაითი,** დამდეგ სეზონში გუნდის სასეზონო აბონემენტების გაძვირებას აპირებს, სამაგიეროდ, ფანებს ფლეი ოფში გასვლის სიტყვიერ გარანტიას აძლევს.

აბა, გაიხსენეთ ოთხი წლის წინათ რა ბედი ეწია ჯორჯიელთა მაშინდელ ბოსს, რომელმაც სეზონის დაწყებამდე **შარიფ აბდურ-რაჰიმი, გლენ რობინსონი** და **ტეო რეტლიფი** შეკრიბა, აბონემენტების ფასი გაასამმაგა და ფლეი ოფში რომ ვერ გავიდა, გუნდის მფლობელებმა იგი გააგდეს.

"ჰოქსი" თავის არჩევანს ფორვარდ **ბრენდან რაიტზე** შეაჩერებს, რომელიც ბევრის თქმით, უკვე ახლაა **ელ ჰარინგტონზე** სრულყოფილი მოთამაშე, ეს უკანასკნელი კი "გოლდენ სტეიტში" წლიურად 8.5 მილიონ დოლარს იღებს. "ატლანტას" დრაფტის დღეს ასევე ძლიერი ფლეიმეიქერის აყვანა აქვს გადაწყვეტილი, რადგან შარშანდელმა შენაძენმა **სპიდი კლექსტონმა** ვერანაირად ვერ გაამართლა.

4. მემფისი

ვინ: ელ ჰორფორდი (ფორვარდი)
საიდან: ფლორიდა

მოკლედ: სტუდენტური ლიგის ჩემპიონის, ფლორიდის უნივერსიტეტის ერთ-ერთი ლიდერი იქნებ "ატლანტაშიც" კი აღმოჩნდეს. ყველაფერი, ისევ და ისევ, ბილი ნაითზე იქნება დამოკიდებული, თუმცა ჯორჯიელები ნებისმიერ შემთხვევაში მოგებულები დარჩებიან.

"მემფისში" ჯერ კიდევ უკმაყოფილონი არიან იმით, რომ გუნდმა შარშანდელი რეგულარულისას **პაუ გასოლი** ვერ მოიცილა. ესპანელი, რომელიც ძალიან მაღალ ხელფასს იღებს, ახლოს იყო "ჩიკაგოში" გადასვლასთან, მაგრამ "ბულზის" ბოსმა - **ჯონ პაქსონმა** გაცვლაში **ლუოლ დენგის** ჩართვა არ მოისურვა და გარიგებაც ვერ გაჩარხდა.

გასოლს **ჰორფორდთან** ერთად თამაში, მეტ სივრცეს მისცემს, რადგან ეს უკანასკნელიც ძალიან ძლიერი ინდივიდუალისტია, თუმცა კარგი იქნება, თუ იგი ესპანელის დარად, არა მარტო ძლიერ მექუღე-მომხსნელად, არამედ კარგ მეპასედაც ჩამოყალიბდება. "მემფისს" დასავლეთის აუტსაიდერობიდან ვერც ჰორფორდი დაიხსნის, თუმცა სამომავლოდ ამ ბიჭის დამატება გუნდს კარგის მეტს არაფერს მოუტანს.

5. ბოსტონი

ვინ: კორი ბრიუერი (ფორვარდი)
საიდან: ფლორიდა

მოკლედ: "ბოსტონს" დრაფტის პირველი ან მეორე ნომრის დათრევის საუკეთესო შანსი ჰქონდა, თუმცა **დენი ეინჯს** არც ამჯერად გაუმართლა და ლიგის ყველაზე ტიტულოვანი გუნდი ოდენ-დიურანტის გარეშე დარჩა. "სელტიქსის" საკალათბურთო ოპერაციების დირექტორი დარწმუნებულია, რომ **კორი ბრიუერიც** დიდი ძალაა და ამ ახალგაზრდასთან ერთად, "სელტიქსს" პირველივე სეზონში მინიმუმ 35 მატჩის მოგება შეეძლება.

ბრიუერი ძალიან სწრაფი და მოქნილია, ვისაც გვერდით უკვე ჩამოყალიბებული მეფარე **ელ ჯეფერსონი** და **ლარი ბერდის** ეპოქის მერე, "სელტიქსის" საუკეთესო მოთამაშე **პოლ პირსი** ეყოლება. იზრდება და პროგრესს განიცდის **დელონტე უესტი, სებასტიან ელფეირის** საკითხი კი უკვე გადაწყვეტილია - გუნდი მას ხელშეკრულებას არ გაუგრძელებს.

ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, "ბოსტონი" ბრიუერის აყვანით მსუბუქი ფორვარდის ვაკანსიას საბოლოოდ შეავსებს. ამ პოზიციაზე "სელტიქსის" მთავარ მწვრთნელ **დოკ რივერსს უოლი შჩერბიაკი** კი ჰყავს, მაგრამ თეთრკანიანი სნაიპერი სხვაგან გადასვლის ურეალურესი კანდიდატია. ალბათ, ყველასთვის ასე აჯობებს.

6. მილუოკი

ვინ: იოაკიმ ნოა (ფორვარდი)
საიდან: ფლორიდა

მოკლედ: იოაკიმის მამა, ლეგენდარული **იანიკ ნოა** უკანასკნელი ფრანგი ჩოგბურთელია, ვისაც "როლან გაროსი" აქვს მოგებული, ხოლო მისი შვილი კი პირველი ფრანგია, ვინც სასტუდენტო მთავარი ჯილდო მოიმკო.

ნოა ოდენზე ძლიერ დამცველად ითვლება, რადგან რეკლამირებულ გრეგზე გაცილებით სწრაფი და მოქნილია. მისი შეტევის არეალი მხოლოდ სამნამიანით არ შემოიფარგლება და **კევინ გარნეტის** დარად, მას ნახევარბრუნში ქულების აკრეფა არ უნდა გაუჭირდეს.

ნოა ხშირად ადის პერიმეტრზე, მაგრამ ამას, ისევ და ისევ, მწვრთნელის დავალებით აკეთებს, რადგან მეურვის სამწამიანიდან ამოყვანის შემდეგ, იგი ოპონენტზე სწრაფად ბრუნდება ფარქვეშეთში.

"იოაკიმი თავიდანვე ჩვენი ფავორიტი იყო. ბოლოსწინა დრაფტზე გუნდმა ენდრიუ ბოგუტი აიყვანა, ახლა კი სასტარტოში კიდევ ერთი ნიჭიერი მაღალი გვეყოლება. თუ მაიკლ რედს ჯანმრთელობასთან დაკავშირებით არანაირი პრობლემა არ შეექმნება, მაშინ "მილუოკის" ფლეი ოფში გასვლა არ უნდა გაუჭირდეს", - მიაჩნია "ბაქსის" ერთ-ერთ სკაუტს.

ზურაბ თალაკვაძე

ᲯᲘᲠᲝ ᲓᲐᲘᲢᲐᲚᲘᲐ

ᲓᲘ ᲚᲣᲙᲐ ᲗᲘᲗᲥᲛᲘᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘᲐ

სიმონინ ძონკოლანის ეტაპი მეორედაც მოიგო

მაშ ასე, ჯიროზე თითქმის ყველაფერი უკვე გადაწყვეტილია - თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, რბოლას იტალიელი **დანილო დი ლუკა** მოიგებს, რომელმაც ვაუკაცურად განვლო ორი ურთულესი სამთო ეტაპი და მართალია, გუშინ თავის უშუალო კონკურენტებს ჩამორჩენის შემცირების საშუალება მისცა, მაგრამ არა იმდენად, რომ ეს მის ლიდერის პოზიციას საფრთხეს უქმნიდეს.

მე-16 ეტაპი ჯიროს ყოფილმა ჩემპიონმა, იტალიელმა **სტეფანო გარძელიმ** მოიგო, რომელმაც ხუთ ველომრბოლთან ერთად შეძლო პელოტონის ჩამოტოვება და ფინიშის წინ ამ ხუთსაც მასტერკლასი ჩაუტარა. მართალია, მან დი ლუკას და სხვა ლიდერებს ფინიშთან რვა წუთზე მეტით მიასწრო, მაგრამ ამით ბევრი ვერაფერი იხეირა. სამაგიეროდ, იმით მაინც იამაყებს, რომ მიმდინარე ჯიროზე ორი ეტაპის მოგება შეძლო.

გუშინ კი რბოლის მთავარი ეტაპი იყო. პელოტონს ურთულესი, ძონკოლანის სამთო მონაკვეთი ჰქონდა გასავლელი, რომელზეც რამდენიმე ადგილას, დახრის მაჩვენებელი ოც პროცენტსაც კი სჭარბობს. მარტო ამ ეტაპის მოგება ველომრბოლებისთვის არანაკლებ პრესტიჟულია, ვიდრე ვთქვათ, საუკეთესო სამთო მრბოლის სახელის მოხვეჭა.

ყველა ელოდა, რომ ამ მთაზე ლიდერობის ხელში ჩაგდებას ეცდებოდა ჯიროს ყოფილი ჩემპიონი, იტალიელი **ჯილბერტო სიმონი**, ვისაც სამი წლის წინაც მოუგია ძონკოლანის ეტაპი (ეს ურთულესი აღმართი სულ მეორედ შეიტანეს ჯიროს მარშრუტში). ასეც მოხდა.

კარგა ხანს, "ჯიბო" (სიმონის მეტსახელია) მალია როზას ჯგუფში იყო, მაგრამ ჯონკოლანის ფერდობს შეუდგა თუ არა, მაშინვე გაზარდა ტემპი. მას ფეხი აუბეს ლუქსემბურგელმა **ენდი შლეკმა**, დი ლუკამ, ჯიროს კიდევ ერთმა ყოფილმა ჩემპიონმა, იტალიელმა **დამიანო კუნეგომ** და თანაგუნდელმა **ლეონარდო პიეპოლიმ**. მაგრამ მალე კუნეგოს და დი ლუკას დაღლა დაეტყოთ. ორივე ჩამორჩა და ისე ჩანდა, რომ სიმონის მალია როზას მოპოვების შანსი გაუჩნდა. მაგრამ დი ლუკასაც და კუნეგოსაც მეორე სუნთქვა გაეხსნათ, ორივემ დასკვნით ოთხ კილომეტრზე შეამცირა ჩამორჩენა სიმონის ჯგუფთან, რამაც დი ლუკას ვარდისფერი მაისურის შენარჩუნების საშუალება მისცა.

ბოლო კილომეტრზე კი პიეპოლიმ კიდევ უფრო გაზარდა ტემპი. სიმონინმ გაყოლა შეძლო, შლეკი კი ჩამორჩა. ჰოდა, თ ანაგუნდელებმაც ფინიშს ერთად მიაღწიეს. ოღონდ, სანამ მას გადალახავდნენ, პიეპოლიმ გზა თავისი გუნდის ლიდერს დაუთმო.

"აქ სამი წლის წინ მოვიგე და მაშინ ვერც კი წარმოვიდგენდი, თუ იმ წარმატების გამეორება შესაძლებელი იქნებოდა. ძალიან მინდოდა, ერთი ეტაპი მაინც მომეგო და ამაზე უკეთესს ვერც ვინატრებდი", - განაცხადა სიმონინმ.

ძონკოლანი ბოლო ძნელი სამთო ეტაპი იყო. დღეს პელოტონს სპრინტერული ეტაპი ელის, რასაც ზომიერად მთიანი ეტაპი მოსდევს. მერე კი დროზე რბოლა და ბოლო, ეგრეთ წოდებული სააღლუმე ეტაპია, რომელიც ველომრბოლებს მილანში შეუძღვება.

მერაბ ლორთქიფანიძე

მე-16 ეტაპი. აგორდდან ლინცამდე, (ავსტრია, 189 კმ)

1. სტეფანო გარძელი (იტალია, აკვა ე სპონე) 5:34.07 (33.94 კმ/სთ); 2. ლორან მანჟელი (საფრანგეთი, AG2r პრევოიანსი) 1.01; 3. რიკარდო სერანო გონსალესი (ესპანეთი, ტინკოფი) 1.01; 4. ხოსე ლუის რუბიერა (ესპანეთი, დისკავერი ჩენელი) 1.01; 5. პიეტრო კოჩოლი (იტალია, კრდიტ აგრიკოლი) 1.01... 29. დამიანო კუნეგო (იტალია, ლამპრე-ფონდიტალი) 8.10... 31. ენდი შლეკი (ლუქსემბურგი, CSC) 8.10... 36. დანილო დი ლუკა (იტალია, ლიკიგაზი) 8.10... 38. ჯილბერტო სიმონი (იტალია, სონიე დიუვალ-პროდირი) 8.10...

მე-17 ეტაპი. ლინციდან (ავსტრია) მონტე ძონკოლანამდე (142 კმ)

1. ჯილბერტო სიმონი (იტალია, სონიე დიუვალ-პროდირი) 3:51.52 (36.745 კმ/სთ); 2. ლეონარდო პიეპოლი (იტალია, სონიე დიუვალ-პროდირი) იგივე დროში; 3. ენდი შლეკი (ლუქსემბურგი, CSC) 0.07; 4. დანილო დი ლუკა (იტალია, ლიკიგაზი) 0.31; 5. დამიანო კუნეგო (იტალია, ლამპრე-ფონდიტალი) 0.37...

კლასიფიკაცია 17 ეტაპის შემდეგ

1. დანილო დი ლუკა (იტალია, ლიკიგაზი) 77.35.35; 2. ენდი შლეკი (ლუქსემბურგი, CSC) 2.24; 3. ჯილბერტო სიმონი (იტალია, სონიე დიუვალ-პროდირი) 2.28; 4. დამიანო კუნეგო (იტალია, ლამპრე-ფონდიტალი) 3.29; 5. ედი მაცოლენი (იტალია, ასტანა) 3.46...

31 მაისი. ხუთშაბათი

HTB-კლუსი (უესბურთი)

12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:20 ლიბერტადორესის თასი. 1/2 ფინალი. I მატჩი. გრემიო (ბრაზილია)-სანტოსი (ბრაზილია).
14:10 გერმანიის ჩემპიონატი. სეზონის შეჯამება.
12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:00 არგენტინის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
17:00 FUTBOL MUNDIAL. საერთაშორისო ტელეჟურნალი.
17:35 გასული კვირის ჰიტ-აღლუმი.
12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
19:45 უიქენდის მატჩების ანონსი.
19:55 ტოქ-შოუ - 2:1.
20:40 ლიბერტადორესის თასი. 1/2 ფინალი. I მატჩი. გრემიო (ბრაზილია)-სანტოსი (ბრაზილია).
12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
22:45 გასული კვირის ჰიტ-აღლუმი.
00:30 საფრანგეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
01:30 იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.

SPORT 1 (უკრაინა)

07:30 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-დეპორტივო.
09:15 სპორტინფორმი.
09:25 ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი. მიმოხილვა.
09:51 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
10:21 სპორტინფორმი.
10:32 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. სევილია-სარაგოსა.
12:17 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
13:12 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. კატანია-კიევი.
14:47 ჩოგბურთი. WTA-ს ტური. ფინალი. სტრასბური. საფრანგეთი.
16:32 ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი. მიმოხილვა.
16:58 ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი. 1/2 ფინალი. I მატჩი. გრემიო (ბრაზილია)-სანტოსი (ბრაზილია).
18:42 აფროსნობა. ამერიკის თასი.
19:02 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
19:30 სპორტინფორმი.
19:40 ჰოკეი. სტენლის თასი. ფინალი. II მატჩი. ანაჰაიმი-ოტავა.
21:30 სპორტინფორმი.
21:45 ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი. მიმოხილვა.
22:35 სპორტინფორმი.
23:40 სპორტკლუბი.
00:05 კრივი. ნოკაუტების ჟამი.
00:55 სპორტინფორმი.
01:10 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. სევილია-სარაგოსა.
02:55 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
04:40 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. ფინალი. პანათინაიკოსი-ცსკა. ათენი. საბერძნეთი.

EUROSPORT

10:30 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. IV დღე. მიმოხილვა.
10:45 ცხენოსნობა. სუპერლიგა. იტალია.
11:45 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. IV დღე.
12:45 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. მიმოხილვა.
13:00 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. V დღე (LIVE).
18:00 ველოსპორტი. ჯირო დ'იტალია. XVIII ეტაპი (LIVE).
19:30 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. V დღე (LIVE).
22:30 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. მიმოხილვა.
22:45 ფეხბურთი. 21-წლამდელთა საერთაშორისო ფესტივალი. გერმანია-იაპონია. ტულონი. საფრანგეთი (LIVE).
00:45 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. მიმოხილვა.
01:45 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. საბერძნეთი.
02:15 ფეხბურთი. 21-წლამდელთა საერთაშორისო ფესტივალი. საფრანგეთი-კოტ დ'ივუარი. ტულონი. საფრანგეთი.
03:15 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. მიმოხილვა.

EUROSPORT-2

09:30 ახალი ამბები.
12:00 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩები.
13:30 მოტოსპორტი.
14:00 ახალი ამბები.
16:00 ამერიკული ფეხბურთი (დარბაზებისთვის). რეგულარული ჩემპიონატი. ნიუ ორლეანი-ნიუ იორკი.
17:00 ველოსპორტი. ჯირო დ'იტალია. XVIII ეტაპი (LIVE).
18:00 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩები.
19:00 ბილიარდი. პული. ევროტური. ნაპოლი. იტალია.
20:00 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. საბერძნეთი (LIVE).
21:00 ფეხბურთი. 21-წლამდელთა საერთაშორისო ფესტივალი. საფრანგეთი-კოტ დ'ივუარი. ტულონი. საფრანგეთი (LIVE).
22:45 ფრენბურთი. მსოფლიო ლიგა. საკონტინენტთაშორისო ეტაპი. ბულგარეთი-არგენტინა. პოლონეთი.
23:45 ფრენბურთი. მსოფლიო ლიგა. საკონტინენტთაშორისო ეტაპი. პოლონეთი-ჩინეთი. პოლონეთი.
00:45 ახალი ამბები.
01:15 ავსტრალიური ფეხბურთი.
02:15 ახალი ამბები.

ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘᲡ ᲦᲘᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲒᲑᲐ

ᲙᲐᲪᲔᲑᲘ

I ᲬᲠᲔ

ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბ, 6)-სანტიაგო ხირალდო (კოლუ) 6:3, 7:6(3), 6:4; **გილერმო გარსია-ლოპესი (ესპ)**-ტომაშ ბერდიჩი (ჩეხ, 10) 7:5, 6:4, 6:4; **დავიდ ფერერი (ესპ, 12)**-დანიელე ბრაჩალი (იტა) 6:1, 6:1, 6:2; **კარლოს მოია (ესპ, 23)**-ანდრეას ზეპი (იტა) 6:1, 3:6, 6:3, 2:6, 6:0; **ოსკარ ერნანდესი (ესპ)**-ხუან-პაბლო გუუმანი (არგ) 7:6(4), 6:0, 6:2; **ფლავიო ჩიპოლა (იტა)**-თეიმურაზ გაბაშვილი (რუს) 7:6(6), 6:3, 5:2 გაბაშვილი გამოეთიშა; **დიეგო პარტფილდი (არგ)**-რობი გინეპრი (აშშ) 1:6, 5:7, 6:4, 6:2

II ᲬᲠᲔ

როჯერ ფედერერი (შვეი, 1)-ტიერი აშონე (საფრ) 6:1, 6:2, 7:6(8); **ნიკოლაი დავიდენკო (რუს, 4)**-ვერნერ შეაუერი (ავსტ) 7:5, 6:3, 6:1; **ტომი რობრედო (ესპ, 9)**-კონსტანტინოს ეკონომიდისი (საბ) 6:4, 7:5, 6:4; **კრისტოფ ვლიგენი (ბელგ)**-რიშარ გასკე (საფრ, 11) 7:6(4), 6:3, 6:1; **მიხაილ იუჟნი (რუს, 13)**-ნიკოლას ლაპენტი (ეკვ) 6:3, 6:0, 6:4; **დავიდ ნალბანდიანი (არგ, 15)**-ივან ნავარო პასტორი (ესპ) 7:5, 6:4, 6:4; **ხუან კარლოს ფერერო (ესპ, 17)**-შტეფან კუბეკი (ავსტ) 6:4, 7:5, 6:3; **გაელ მონფილსი (საფრ)**-ხუან იგნასიო ჩელა არგ, 18) 3:6, 6:3, 6:3, 6:1; **გილერმო კანიასი (არგ, 19)**-სიმონე ბოლელი (იტა) 6:4, 6:3, 6:3; **იანკო ტიპსარევიჩი (სერბ)**-არატ საფინი (რუს, 22) 6:4, 6:4, 7:5; **ხუან მონაკო (არგ)**-იურგენ მელცერი (ავსტ, 27) 6:2, 6:3, 6:2; **მიშელ ლოდრა (საფრ)**-ნიკოლას ალმაგრო (ესპ, 32) 2:6, 6:2, 6:7(7), 6:4, 6:4; **პოტიტო სტარაჩე (იტა)**-კარლოს ბერლოში (არგ) 6:2, 6:4, 6:2; **ფილიპო ვოლანდრი (იტა, 29)**-მარტინ ვასალო არგელო (არგ) 7:6(2), 7:5, 6:2; **ედუარდ როჟე-ვასელენი (საფრ)**-რადეკ სტეპანეკი (ჩეხ) 3:6, 6:1, 0:6, 6:4, 6:4

ᲥᲐᲚᲔᲑᲘ

I ᲬᲠᲔ

მარია შარაპოვა (რუს, 2)-ემილი ლუა (საფრ) 6:3, 7:6(4); **სვეტლანა კუზნეცოვა (რუს, 3)**-ეკატერინა ბიჩკოვა (რუს) 6:0, 6:3; **ამელი მორესმო (საფრ, 5)**-ლორა გრენვილი (აშშ) 6:0, 7:5; **ანა ივანოვიჩი (სერბ, 7)**-სოფია არვიდსონი (შვედ) 6:2, 6:0; **ანა ჩაკვეტაძე (რუს, 9)**-ალისია მოლიკი (ავსტრალ) 6:2, 6:3; **დანიელა ჰანტუხოვა (სლვკ, 12)**-ელენა კოსტანიჩ ტოშიჩი (ხორვ) 6:3, 6:1; **პატი შნიდერი (შვეი, 14)**-მარტინა სუხა (სლვკ) 2:6, 6:1, 6-2; **შაჰარ პეერი (ისრ, 15)**-კაია კანეპი (ესტ) 6:1, 6:3; **კატარინა სრებოტნიკი (სლო, 17)**-ანასტასია როდიონოვა (რუს) 6:1, 6:3; **აი სუგიამა (იაპ, 21)**-ევა ბირნეროვა (ჩეხ) 6:3, 6:4; **ალონა ბონდარენკო (უკრ, 22)**-ივეტა ბენეშოვა (ჩეხ) 6:0, 6:1; **ანაბელ მედინა გარიგესი (ესპ, 24)**-ვარვარა ლეპჩენკო (უზბ) 6:1, 2:6, 6:2; **ლუსი საფაროვა (ჩეხ, 25)**-იულია ბეიგელზიმერი (უკრ) 6:4, 6:3; **ხისელა დულკო (არგ, 29)**-სუვეი ჰსიეი (ტაივ) 6:4, 6:3; **იოანა რალუჩა ოლარუ (რუმ)**-იულია ვაკულენკო (უკრ, 30) 6:4, 6:1; **მარტინა მიულერი (გერ, 32)**-როსანა დელოს რიოსი (პარ) 6:4, 6:4; **აგნეშ შავაი (უნგ)**-ანე კრემერი (ლუქს) 7:5, 6:2; **მეილენ ტიუ (აშშ)**-რომინა ოპრანდი (იტა) 6:3, 6:4; **ალა კუდრიავცევა (რუს)**-ჯულია შრუფი (გერ) 6:1, 6:4; **მეგან შონესი (აშშ)**-ანასტასია მისკინა (რუს) 6:1, 6:0; **ვერა დუშევინა (რუს)**-კამილ პენი (საფრ) 6:4, 6:4; **სანია მირზა (ინდ)**-ალბერტა ბრიანტი (იტა) 6:1, 6:1; **ნატალი დეში (საფრ)**-კაროლინ ვოზნიაცკი (დან) 6:2, 6:7(3), 6:0; **კარინ ნნპი (იტა)**-ვიქტორია აზარენკა (ბელა) 6:1, 6:1; **ჯილ კრეიბასი (აშშ)**-ლურდეს დომინგეს ლინო (ესპ) 6:1, 2:6, 6:4; **ედინა გალოვიცი (რუმ)**-ვასილისა ბარდინა (რუს) 6:0, 4:0 ბარდინა გამოეთიშა; **ნიკოლ პრატი (ავსტრალ)**-ფლავია პენეტა (იტა) 7:6 (7:3), 6:2; **კატერინა ბონდარენკო (უკრ)**-სუზანა ონდრაშკოვა (ჩეხ) 6:0, 6:1; **ტატიანა პუჩეკი (ბელ)**-იულიანა ფედოსოვა (საფრ) 6:3, 6:2; **ელენა ლიხოვცევა (რუს)**-იუნ-იან ჩანი (ტაივ) 4:6, 7:5, 6:3; **ოლგა პუჩკრვა (რუს)**-ელენი დანილიდუ (საბ) 7:5, 0:6, 6:3; **დომინიკა ჩიბულკოვა (სლვკ)**-ტიანტიან სუნი (ჩინ) 6:4, 3:2

II ᲬᲠᲔ

ჟუსტინ ანეი (ბელგ, 1)-ტამირა პაჩეკი (ავსტ) 7:5, 6:1; **ელენა იანკოვიჩი (სერბ, 4)**-კატალინა კასტანო (კოლუ) 6:3, 6:3; **დინარა საფინა (რუს, 10)**-ციპორა ობზილერი (ისრ) 6:1, 6:0; **ელენა დემენტიევა (რუს, 13)**-მათილდეიოჰანსონი (შვედ) 7:5, 7:5; **მარიონ ბარტოლი (საფრ, 18)**-ანდრეა პეტკოვიჩი (გერ) 0:6, 6:2, 6:3; **ტატიანა გარბინი (იტა, 19)**-ნურია ლაგოსტერა ვივესი (ესპ) 6:4, 6:3; **სიბილ ბამერი (ავსტ, 20)**-ოლგა საგჩუკი (უკრ) 6:0, 6:3; **ფრანჩესკა სკიავონე იტა, 23)**-ტიმეა ბაჩინსკი (შვეი) 6:3, 7:6(5); **ვენუს უილიამსი (აშშ, 26)**-ეშლი ჰერკლროუდი (აშშ) 6:1, 7:6(8); **მარა სანტანჯელო (იტა)**-ტამარინ ტანასუგარნი (ტაი) 6:3, 6:2 ; **სტეფანი კოენ ალორო (საფრ)**-კვეტა პეშკე (ჩეხ) 6:1, 6:1; **მიხაელა კრაიჩეკი (ჰოლ)**-შენაი პერი (აშშ) 6:4, 5:7, 6:1; **ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხ, 6)**-აკგულ ამანმურადოვა (უზბ) 6:2, 6:4; **ნა ლი (ჩინ, 16)**-პაულინ პარმენტიე (საფრ) 6:3, 3:6, 6:4; **სამანტა სტოშური (ავსტრალ, 27)**-მარია კირილენკო (რუს) 6:1, 3:6, 7:5



ვენუს უილიამსი

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ

ᲨᲕᲔᲘᲪᲐᲠᲘᲐ

ᲤᲚᲘᲔᲠᲘ ᲚᲘᲒᲐ

ᲑᲔᲚᲘᲜᲖᲝᲜᲐ-ᲐᲠᲐᲣ	1:2

ᲡᲚᲝᲕᲐᲙᲔᲗᲘ

ᲤᲚᲘᲔᲠᲘ ᲚᲘᲒᲐ

ᲙᲝᲨᲘᲪᲔ-ᲜᲘᲑᲠᲐ	3:0
ᲐᲠᲒᲕᲔᲚᲘᲐ-ᲑᲘᲡᲑᲠᲘᲪᲐ	3:1
ᲡᲚᲝᲕᲐᲜᲘ-ᲨᲕᲔᲘᲪᲘ	4:1
ᲤᲘᲚᲘᲜᲐ-ᲠᲣᲡᲔᲑᲐᲠᲝᲙᲘ	4:0

ᲤᲚᲘᲔᲠᲘ ᲐᲗᲘᲗᲘ

ᲛᲝᲩᲔᲜᲚᲘᲡᲘ-ᲜᲘᲑᲠᲐ	2:0
ᲡᲝᲑᲝᲒᲐ-ᲓᲣᲑᲜᲘᲪᲐ	5:1
ᲑᲠᲜᲐᲕᲐ-ᲓᲣᲡᲚᲝ	1:0
ᲛᲝᲠᲐᲕᲪᲔ-ᲑᲠᲔᲜᲩᲘᲜᲘ	0:0

ᲞᲝᲚᲘᲜᲔᲗᲘᲡ ᲚᲘᲒᲘᲡ ᲗᲐᲡᲘ

ᲙᲝᲠᲝᲜᲐ-ᲑᲔᲚᲩᲐᲒᲝᲕᲘ	1:3

ᲡᲝᲩᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ

ᲤᲚᲘᲔᲠᲘ ᲚᲘᲒᲐ

ᲞᲣᲚᲐ-ᲖᲐᲓᲐᲠᲘ	2:3

ᲡᲔᲠᲑᲔᲗᲘ

ᲑᲐᲜᲐᲒᲘ-ᲑᲝᲠᲐᲩᲘ	2:2
ᲝᲠᲯ-ᲕᲝᲚᲚᲝᲕᲐᲩᲘ	2:3
ᲖᲣᲛᲔᲜᲘ-ᲡᲐᲠᲒᲘᲚᲘ	1:2

ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲘ

ᲡᲐᲑᲭᲠᲝᲜᲘᲡᲘ

ᲤᲚᲘᲔᲠᲘ ᲝᲤᲘ. 1/2 ᲤᲘᲜᲐᲚᲘ

ᲝᲚᲘᲛᲠᲘᲐᲙᲝᲡᲘ-ᲐᲠᲘᲡᲘ	92:68

ᲘᲢᲐᲚᲘᲐ

ᲤᲚᲘᲔᲠᲘ ᲝᲤᲘ. 1/2 ᲤᲘᲜᲐᲚᲘ

ᲛᲘᲚᲐᲜᲘ-ᲕᲘᲠᲢᲣᲡᲘ	71:75
ᲛᲝᲜᲢᲔᲙᲐᲡᲐᲠᲘ-ᲠᲝᲛᲐ	74:88

ᲞᲝᲚᲘᲪᲘᲐ

ᲖᲕᲘᲒᲔᲜᲔᲑᲡ ᲫᲕᲔᲚᲘ ᲛᲬᲕᲠᲗᲜᲔᲚᲘ ᲓᲐᲣᲑᲠᲣᲜᲔᲡ

ᲛᲝᲣᲚᲝᲓᲜᲔᲚᲘ ინფორმაცია გავრცელდა "სან ხოსე შარქსის" ოფიციალურ ვებგვერდზე. ამ ცნობის თანახმად, მომავალ სეზონში გუნდს **რონ უილსონი** გაწვრთნის, რომელიც მარშანაც მუშაობდა ამ პოსტზე.

მოულოდნელობა კი იმაში მდგომარეობს, რომ "ზვიგენების" მფლობელმა - **დუგ უილსონმა**, ამ ცოტა ხნის წინნ სრული შემადგენლობით დაითხოვა "სან ხოსეს" სამწვრთნელო შტაბი და კლუბისთვის ახალი თავეკაცის ძებნას შეუდგა.

რონ უილსონთან ერთად, კლუბში მუშაობას გააგრძელებენ მისი ასისტენტები - **ტიმ ჰანტერი** და **რობ ზეტლერი**.

"ძველი სამწვრთნელო შტაბი კლუბში ბრუნდება. ვფიქრობ, მომავალ სეზონში, ამ მწვრთნელების ხელში კლუბი მაღალ შედეგს მიაღწევს", - განაცხადა დუგ უილსონმა, რომლის "სან ხოსეც", ფლეი ოფის მეორე წრეში "დეტროიტთან" დამარცხდა.

ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲘ

ᲚᲔᲘᲙᲔᲠᲡᲘᲡ ᲛᲔᲞᲐᲢᲠᲝᲜᲔ ᲞᲝᲚᲘᲪᲘᲐᲨᲘ ᲛᲝᲮᲕᲓᲐ

ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ, ლოს ანჯელესის პოლიციამ ადგილობრივი საკალათბურთო კლუბის - "ლეიკერსის" მფლობელი **ჯერი ბასი** დააკავა. 74 წლის ბიზნესმენი ნასვამი მართავდა მანქანას. ის პოლიციის განყოფილებაში მიიყვანეს, შემდეგ კი, სახლში გაუშვეს.

"მართალია, მთვრალს მანქანა დიდხანს არ მიტარებია, მაგრამ ეს ჩემი მხრიდან სამარცხვინო საქციელი იყო. დიდი შეცდომა დავუშვი და ამას მეორედ აღარ გავიმეორებ", - განაცხადა "ლეიკერსის" მეპატრონემ.

ᲑᲠᲐᲣᲜᲡ ᲝᲗᲮᲗᲘᲐᲜᲘ ᲛᲐᲣᲠᲜᲐᲚᲝᲑᲐ ᲔᲚᲘᲡ

ᲐᲛᲐᲡᲗᲐᲜᲐᲛᲔ, "ლოს ანჯელეს ლეიკერსის" ცენტრალურმა თავდამსხმელმა - **კვამე ბრაუნმა** მარცხენა მუხლის ოპერაცია გაიკეთა.

სააგენტო "როიტერის" ცნობით, გამოჯანმრთელების პროცესს დაახლოებით 4 თვე დასჭირდება, რაც იმას ნიშნავს, რომ კალათბურთელი ვერ მოასწრებს ოქტომბრისთვის ოპტიმალური კონდიციების დაბრუნებას. სწორედ ამ თვეში გაიხსნება NBA-ში კლუბების სანვრთნელი ბანაკები.

"ლეიკერსის" ხელმძღვანელობის ოფიციალურ წერილში ნათქვამია, რომ კლუბი მოელენებს არ დააჩქარებს და კალათბურთელს სრულ გამოჯანმრთელებამდე მოედანზე გასვლის უფლებას არ მისცემს.

გასულ სეზონში, 25 წლის ბრაუნმა რუგელარულ ჩემპიონატში 41 მატჩი ჩაატარა და საშუალოდ 8.4 ქულა და 6 მოხსნა დააგროვა.

ბომონდი

ენრიკე ანას დაშორდა

კურნიკოვა საკონცენტრაციო ბანაკში გამოვლილს დაემგვანა

ინგლისური გაზეთი "სანი" იუწყება, რომ 5-წლიანი თანაცხოვრების შემდეგ, ერთმანეთს დაშორდნენ ესპანელი მომღერალი **ენრიკე იგლესიასი** და რუსი ჩოგბურთელი - **ანა კურნიკოვა**.

იგლესიასმა რამდენიმე დღის წინათ, სტოკჰოლმში დაადასტურა, რომ ახლა ის თავისუფალია და ამის გამო, ძალიან ბედნიერადაც გრძნობს თავს. მომღერალმა გადაკვრით აღნიშნა, რომ კურნიკოვასთან ურთიერთობის გაწყვეტა იმით არის გამოწვეული, რომ ენრიკე მამობისთვის მზად არ ყოფილა.

მაგრამ მათი დაშორების მიზეზი შეიძლება სულ სხვა რამ იყოს. ძალიან დიდი ხანი, ქალ ჩოგბურთელთა სამყაროში, კურნიკოვას ფიგურა იდეალურად იყო აღიარებული. მაგრამ ახლა, რუს ჩოგბურთელს ძნელად თუ უწოდებ სექს-სიმბოლოს. უკანასკნელ ფოტოებზე, კურნი ფაშისტთა საკონცენტრაციო ბანაკში ნამყოფს უფრო ჰგავს, ვიდრე იდეალური ფიგურის მქონე ლამაზმანს.

ამბობენ, რომ კურნიკოვა გამუდმებით დიეტას იცავს. ეს ერთგვარი ავადმყოფობაა და მას ანორექსია ეწოდება. საინტერესოა, რაში სჭირდება დიეტა რუს ჩოგბურთელს. შესაძლოა, მას ეშინია, რომ ჩოგბურთიდან წასვლის შემდეგ, რეგულარული დატვირთვებისგან გათავისუფლებული მისი ფიგურა განში წავა. არადა, მცირედი სიმსუქნისკენ მიდრეკილება კურნის ყოველთვის ჰქონდა.

ასეა თუ ისე, კურნიკოვამ აშკარად გადაამეტა და თუ აქტიური კარიერის პერიოდში 56 კილოგრამს იწონიდა, ახლა 173 სანტიმეტრის სიმაღლის ჩოგბურთელი 50 კილოგრამზე ქვემოთ ჩამოვიდა. აქ მოყვანილ სურათზეც კარგად ჩანს ეს "პროგრესი".



ძველი და ახალი კურნიკოვა

ფორმულა 1

ბუქმეიკერები მაკლარენს განუდგნენ

მონაკოს გრან-პრიზე "მაკლარენის" გუნდურმა ტაქტიკამ სერიოზული დარტყმა მიაყენა ბუკმეიკერებს.

როგორც უკვე ვწერდით, რბოლის დროს, ამ გუნდის შეფებმა მეორე ადგილზე მყოფ **ლუის ჰემილტონს, ფერნანდო ალონსოზე** შეტევის უფლება არ მისცეს. ამით მათ თავიდან აიცილეს მოსალოდნელი ავარია.

ამ ინციდენტის გამო, ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციამ გამოძიება დაიწყო და სანამ საქმის მოკვლევა არ დასრულდება, ბუკმეიკერული კანტორა - William Hill ფსონებს არ მიიღებს "მაკლარენის" გამარჯვებაზე. ხოლო, ტოტალიზატორი - Paddy Power, თავის კლიენტებს იმ თანხის დაბრუნებას დაპირდა, რომელიც მათ ჰემილტონის გამარჯვებაზე დადეს.

მელბურნში კორტების საფარს გამოცვლიან

როგორც სააგენტო AP იუწყება, 2008 წელს, ავსტრალიის ღია პირველობა ახალ კორტებზე ჩატარდება.

სეზონში "დიდი სლემის" პირველი ტურნირის ორგანიზატორებმა განაცხადეს, რომ ისინი უარს ამბობენ Rebound Ace-ის საფარზე და მას ჰარდის სხვა ნაირსახეობით შეცვლიან. ახალი საფარი წინამორბედზე უფრო ხისტი იქნება და რაც მთავარია, ის ნაკლებად გახურდება, ამას კი, უდიდესი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან მელბურნის ტურნირის დროს, ჩოგბურთელები აუტანელი სიცხის გამო იტანჯებიან.

აღსანიშნავია, რომ Rebound Ace-ის ტიპის კორტების ერთ-ერთი მთავარი მოწინააღმდეგე, ავსტრალიური ჩოგბურთის ლიდერი - **ლეიტონ ჰიუიტი** იყო. ეს უკანასკნელი აცხადებდა, რომ თავის საყვარელ საშინაო ტურნირზე მას უფრო სწრაფი საფარი სჭირდება. თუმცა, ავსტრალიის ღია პირველობის დირექტორმა - **კრეიგ ტაილიმ** აღნიშნა, რომ ძირითადი მაჩვენებლებით ახალი კორტები ძველისგან დიდად განსხვავებული არ იქნება.

ნავრატილოვა ჩეხი გახდება

ლეგენდარულმა ამერიკელმა ჩოგბურთელმა - **მარტინა ნავრატილოვამ** ინტერვიუ მისცა ჩეხურ პრესას, სადაც აღნიშნა, რომ ამ წლის ბოლოს, ჩეხეთის მოქალაქეობის მიღება აქვს განზრახული.

როგორც იცით, 50 წლის ჩოგბურთელი პრაღაში არის დაბადებული. სამშობლო მან 1975 წელს დატოვა და ამერიკაში გადავიდა საცხოვრებლად. 1981 წელს, მარტინა აშშ-ის მოქალაქე გახდა.



ზიდანი ქველმოქმედებაში გადავარდა

ფორმულა 1

ზიდანი ფორმულაში გადადის

ფრანგი ლეგენდა საფრანგეთის გრან-პრიზე გაისეირნებს, მიკა ჰაკინენი კი ტაქსისტი გახდა

უახლოეს ხანებში, ფორმულა 1-ის მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილეთა რიცხვი შესაძლოა ერთით გაიზარდოს.

1 ივლისს, მანი-კურში საფრანგეთის გრან-პრი უნდა გაიმართოს და იქ ტრასაზე გავა თანამედროვეობის ორი ყველაზე ცნობილი სპორტსმენი - გერმანელი ავტომრბოლი **მიხაელ შუმახერი** და ფრანგი ფეხბურთელი - **ზინედინ ზიდანი**.

ორივე მათგანმა, სპორტული კარიერა პრაქტიკულად, ერთდროულად დასრულა. ზიდანმა ეს 2006 წლის 9 ივლისს, მსოფლიო ჩემპიონატის ფინალის შემდეგ გააკეთა, შუმახერი კი, დიდ სპორტს 22 ოქტომბერს, ბრაზილიის გრან-პრის დასრულების შემდეგ გამოეთხოვა. ორივეს დღემდე თხოვენ დაბრუნებას, რადგან ასეთი სპორტსმენები საუკუნეში ერთხელ იბადებიან.

მოკლედ, ამ ლეგენდებმა სამედიცინო ფონდ ICM-ისთვის დახმარების გაწევა გადაწყვიტეს. ეს ფონდი მძიმე ნერვოლოგიური დაავადებების პროფილაქტიკითა და მკურნალობით არის დაკავებული. გეგმის მიხედვით, შუმახერმა და ზიდანმა საფრანგეთის გრან-პრის კვალიფიკაციას ერთ-ერთი საჯინიბოს ბოქსებიდან უნდა უყურონ (ძნელი მისახვედრი არ არის, რომ ეს გუნდი "ფერარი" იქნება). შემდეგ კი, გერმანელმა და ფრანგმა, "ფერარი FXX"-ით მანი-კურის ტრასაზე უნდა გაისეირნონ. ყველაფერი ეს გულშემატკივართა თვალწინ მოხდება და მათ მიერ შეძენილი ბილეთებიდან შემოსული თანხის ნაწილი, სამედიცინო ფონდის ანგარიშზე ჩაირიცხება.

"ძალიან ამაყი ვარ იმით, რომ ფორმულა 1-ის ეტაპზე დასწრების მიწვევა მივიღე. მით უმეტეს, რომ ავტოსპორტის დიდი მოყვარული გახლავართ და სიამოვნებით ვადევნებ თვალს იმ ბრძოლას, რომელიც წლეულს, ფორმულა 1-ის ჩემპიონობისთვის გაჩაღდა. მაგრამ, მანი-კურზე ჩემი მთავარი ამოცანა არა კვალიფიკაციაში მონაწილეობა, არამედ სამედიცინო ფონდისთვის დახმარების გაწევაა. ამ ორგანიზაციას მხარს უჭერენ ბიზნესმენები, ცნობილი ექიმები, რეჟისორები, ყოფილი მინისტრები, სპორტსმენები... იმედი მაქვს, რომ საფრანგეთის გრან-პრიში ჩემი მონაწილეობა ICM-ის ფონდს მნიშვნელოვნად გაზრდის. მეორეს მხრივ, პირველად ცხოვრებაში, ფორმულა 1-ის ტრასაზე მანქანით გავლის საშუალება მეძლევა, თანაც მსოფლიო ჩემპიონთან ერთად. ასეთ საჩუქარზე ვერც კი ვიოცნებებდი", - ამბობს ზინედინ ზიდანი.

■ ■ ■

სანამ ზიდანი და შუმახერი მანი-კურში გასასამგზავრებლად ემზადებიან, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი, "მაკლარენის" ყოფილი პილოტი - **მიკა ჰაკინენი** მონაკოში ტაქსისტად მოეწყო.

უნდა ვივარაუდოთ, ეს საქმიანობა სარფიანია, ვინაიდან მონტე კარლოში უბრალო ხალხი არ ცხოვრობს, ხოლო ვარსკვლავებს შეუძლიათ თითო გავლილი მეტრისთვის თითო ევრო გადაიხადონ. თუმცა, თავად ფინელი პილოტიც საკმაოდ შეძლებული ადამიანია და ამიტომაც, კლიენტებს უფასოდ ემსახურებოდა.

ეს აქცია მსოფლიოში სახელგანთქმული ვისკის - Johnny Walker-ის მწარმოებელი კომპანიის მიერ იყო ორგანიზებული. ჰაკინენი პროპაგანდას უწევდა ჯანსაღი ცხოვრების წესს. მიკას მანქანაზე ასეთი სლოგანი იყო გამოსახული - *"საჭესთან ფხიზელი დაჯექი"*.

სამუშაო დღის ბოლოს, ჰაკინენმა აღნიშნა, რომ მოხარულია ამ აქციაში მონაწილეობით, თუმცა, თავად საჭესთან არასოდეს დამჯდარა ნასვამი.

■ ■ ■

მიკა ჰაკინენისგან განსხვავებით, მეორე ფინელი პილოტი - **კიმი რაიკონენი** ჯერ კიდევ "მაკლარენში" ყოფნის დროს, ალკოჰოლის დიდი მოყვარული გახლდათ და პოლიციას მისთვის არაერთხელ წაურთმევია მანქანის მართვის მოწმობა.

მონაკოს გრან-პრის წინ, სადაც კიმიმ მხოლოდ მერვე ადგილი დაიკავა, "ფერარის" პილოტმა 2.5 მილიონ ევროდ შეიძინა Princess V70-ის კლასის იახტა. ის ექვს მგზავრზე არის განსაზღვრული.

როგორც ჩანს, რაიკონენს მობეზრდა ტრასებზე პოლიციელებთან შეხვედრა და ახლა, მათ ზღვაში დაემალება. სავარაუდოდ, ფინელი სწორედ აქ მოიოხებს ალკოჰოლით გულს, ბოლო დროს მომრავლებული წარუმატებლობების გამო.

ჰაკინენი მონაკოს გრან-პრიზე

ეროვნული სპორტული გაზეთი

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაბაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
დავით თავართქილაძე
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კოგა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა გიგილაშვილი
გოგა ახალაძე
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუგინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ ბალახაძე, მერაბ გრძელიძე, მამუკა ქანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაყელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კოგა გელაშვილი

კორექტურა
ლელა ხომასურიძე
ლევან ბიგილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე
(დირექტორის მოადგილე),
გივი მეშაპიძე,
ქეთევან დიდგერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ: 46 34 48)
ბაქარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)
შალვა ებანოიძე

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი

გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ გასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

დამფუძნებლები: შპს გაზეთი ლელო, შპს სპორტმედია

პარტნიორი:
საქართველოს ოლიმპიური ფონდი

მისამართები
მ. კოსტავას 14,
0108 თბილისი
ტელეფონი: 99 56 14, 46 30 98, 46 30 56, 46 32 62, 98 23 94, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი).
ახმეტელის 10³,
0159 თბილისი
(დილომი, ახ. კინოსტუდია, პირველი სართული);
ფაქსი: +995. 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge; gazeti_lelo@mail.ru
ინდექსი 66435 INDEX

გამოლის ყოველდღე. გარდა კვირისა